ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოკლე

# რეტორიკა

გინა

# მჭევრ-მეტყველება

სასარგებლოდ ახალ გაზრდა

ყმაწვილ კაცთა.

კოსტანდინეპოლი

ანთუან გვიზალიანის სტამბა

1879

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოკლე რეტორიკა

გინა

# მჭევრ-მეტყველება

სასარგებლოდ ახალ გაზდა

ყმაწვილ კაცთა.

საქართველოს სახ. წიგნის პ...
შემოვიდა 194
3/IV-48. წელ
№ 41

188

კოსტანდინეპოლს

ანთუან ფვიზალიანის სტამბაში.

1879

# წინა სიტყვა

დღემდინ არ ყოფილა რიგიანი ხელად სახმარი მჭევრ-მეტყველების წიგნი ჩვენს დედა ენაზედა, და არც არა ვის მიუქცევია ჯეროვანი ყურადღება ამასა ზედა, რათა საზოგადოებას მისცემოდა რამე საშვალი სწავლის გაადვილებისა; შეხალისებულ იყო დახელოვნებაზე სხვა და სხვა მეცნიერებაში, რომლითაც შეიძლება საზოგადოების დაწინაურება განათლებაში.

ამის გამო იმ შემძლე კერძო პირთა რომელთაც უსარგებლიათ ამ მხრით ევროპიულის ენებითგან, სამწუხროდ ვერც ერთი სარგებლობა ვერ მოუტანიათ მამულისათვის, და ანუ თუ მოუტანიათ, სრულ მცირე მათის შრომისა და თავ გაწირულობის დაგვარ. ამიტომ რომ როდის თავისი დედა ენისა არ იცის მან არც ღრამატიკა, არც რიტორიკა და არცა რა ლოღიკა, ძნელად მოსდის თავისი სწავლის ქართულად გარდმოცემა; რადგან რა სთქვას, რაც ვერ მოუხერხებია თავისუფალ მისახვედრელად? თუ დასწეროს კიდევაც, ცივია და კაცის გულის გამწვრიმალებელი. აი, ეს ფოლხია, რომელიც აკოჭლებს ჩვენს დაწინაურებასა სწავლაში.

ამისთვის შევუდეგით ამ ხელად სახმარი მჭევრმეტყველების გამოცემის შრომასა, და სწავლულ პირთა მიბაძვით გამოვკრიბეთ ძველი ქართული წერილების ადგილებითგან სახმარნი მაგალითები, რაც შეიძლებოდა; რაც არა და გარდმოვიღეთ ქართულად, როგორც ოქრო პირისა და რომაელთ მწერლებისა ადგილები, რათა სასარგებლოდ დაუშთეს ესე საზოგადოებასა და მიეცეს შემწეობა წარსამატებლად სწავლაში. ამისთანა მოკლე რიტორიკაში რადგან არ შეიძლებოდა, უფრო ვრცლად ლაპარაკი სა-

მჭევრმეტყველო კანონებზედ, გსთხოვთ მასწავლებელთა რათა თვით უფრო განუმარტონ ესენი მოსწავლეთა; უჩვენონ ისიც თუ თვინიერ მჭევრ-მეტყველებრივი ფორმისა, რა სახით შეიძლებოდა მოყვანილი მაგალითების თქმა მარტივად, და რასა და რაში მდგომარეობს თვითეული მაგალითის მშვენიერება.

შემდგომ ქართული გრამატიკის სწავლისა, ფრიად საჭირო და სასარგებლოა მჭევრ მეტყველობის სწავლაც, და მის შემდგომ ფილოსოფიისა, (რომელი ამასთანავე იბეჭდება), ვითარცა ჰყოფენ ევროპიის განათლებულნი საზოგადოებანი, მჭევრ-მეტყველება ასწავლის კაცს მშვენიერს და გამკვეთს ლაპარაკსა, რათა საჭიროების დროს შეიძლოს ნათლად ჩვენება თავისი სიმართლისა და დამტკიცება მისი გამკვეთი ფაქტების მოტანით; ხოლო წრფელი ფილოსოფიის სწავლაც ასწავლის საფუძვლიანათ და ჭკუით ლაპარაკს, და გარჩევას ჭეშმარიტებისა სიცრუისაგან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



«ხოლო თვითოეულსა ჩვენსა მიცემულ არს გამოცხადება იგი სულისა უმჯობესისათჳს : რომელსამე სულისა მისგან მიცემულ არს სიტყვა სიბრძნისა , ხოლო სხვასა სიტყვა მეცნიერებისა მითვე სულითა . . . . რომელსამე შეწევნანი ძალთანი , რომელსამე წინასწარმეტყველება , რომელსამე განკითხვა სულთა , ჲ სხვასა თესლად თესლადი ენათა , ჲ სხვასა თარგმნება ენათა . »
კორინთ . ა იბ . 7 .

# რეტორიკა

## გინა

## მჭევრ-მეტყველება (Réthorique)

## ნაწილი პირველი.

მჭევრ-მეტყველების საზოგადოთ და საკუთართ ადგილთა ზედა, გინა პოვნისათვის ფაქტებისა (invention).

### თავი ა.

### საზოგადო ცნობა მჭევრ-მეტყველებაზედ

კითხვა. რა არის მჭევრ-მეტყველება თუ რეტორიკა ?
მიგება. ხელოვნება კარგად და მშვენიერად ლაპარაკისა.

კ. რამდენი რამე საჭირო არის კარგად და მშვენიერად ლაპარაკისათვის ?

მ. სამი რამე, სიმარტივე, მშვენიერება და ძალი (გამკვეთილობა).

კ. როგორ გაიწყობა სიმარტივე ლაპარაკში ?

მ. როცა თავისი გვარის წარჩინებული ძველი მწერლების ლექსებსა ბუნებითი მნიშვნელობისაებრ და იმათი სიტყვის სქესსა (კილოს) იხმარებს, და არა შემოსულს, ახალ გამოგონილს და რიგ გარეთსა.

მით მჭევრ-მეტყველი ხშირად უნდა კითხულობდეს ძველებური კარგი მწერლების თხზულებაებსა, რათა დახელოვნდეს დედა ენაში.

კ. მაშ თუ აგრე, არ შეიძლება შემჭევრება ლექსებისა,

რაც ჩინებული მწერლების მატიანებში არ იპოვება?

მ. დიაღ შეიძლება ზომიერად გააწყოს სხმით გარდასვლითი და რთულ ჭყოს ლექსები; მაგრამ დიდად კი უნდა უფრთხილდებოდეს, არ იხმაროს გრამმატიკის ახირებული კანონები.

კ. საკმაოა სიმარტივისათვის სრულიად მიბაძვა წინა პართადმი ლექსებში და სიტყვის სქესში (კილოში)?

მ. არ არის საკმაო, რადგან ეგ მარტო ნივთიერი სიმარტივე არის, უმთვრო საჭიროება თხოულობს აზრების სიმარტივესა: ამის გამო მჭევრმეტყველმან ჯერ კარგად უნდა გამოისახოს გონებაში აზრები და მერმე წარმოსთქვას. მოლაპარაკემ, თუ კარგად არ გამოხატოს აზრები, შეუძლებელია რომ ნათლად გააგებინოს ის აზრი მას, ვისაც ე ელაპარაკება.

ამისთვის უნდა უფრთხილდებოდეს ძლიერ შემოკლებულ საუბარსა აზრების ასახსნელად, და აგრეთვე გრძელ და გაზვიადებულს საუბარსაც.

კ. მოჩვენე მაგალითით ეგ საგნები?

მ. «ზამთრის არეს, როდისაც შეყრილ შეგროვილ იყო დიდ ძალი სიმრავლე თოვლთა და შკავებისა, შეჭედილ შესიპულ იყვნენ საზამთრო ყინვითა მთეები, მაშინ იმ მთეებთა ზედა მისიანა დროსა უნდოდა წასვლა სადამე მგზავრად.» ბუზანდი. ნახე აქ როგორი გაზვიადებით აყრუვებს აზრსა; შეეძლო ეთქვა, ცხარი ზამთრის დღეებში ფიქრობდა გარდაევლო დათოვლილი მთები და წასულ იყო სადმე.

კვალად ნამდვილი თავისი მნიშვნელობის შემნახი ლექსებიც უნდა იხმარებოდეს უბნობაში და გაუფრთხილდეს თვითეული აზრების მეტად დაშორებასა, გაზვიადებულ ლაპარაკსა და ძლიერ შემოკლებულ ლაპარაკსაც; აგრეთვე ორჭოფოვანი ლექსების ხმარებასა, რადგან ამიებით

დაიკარგება სიმარტივე ლაპარაკისა.

კვალად რადგან მდარე თხზულობისაგანაც ხშირად და-იკარგება სიმარტივე სიტყვისა, ამისთვის მუდამ უნდა ახსოვდეს მჭევრმეტყველსა ძველთაგან დატოვებული გრამატიკის კანონები; რადგან გრამატიკა არის ცოდნა თხზულობის იმ კანონებისა რომელნიც მოლექსეთა და მწე-რალთაგან თითქმის მრავალჯერ ხმარებულან და თქმულ-ან; ამისთვის არა თუ უნდა ვიხმაროთ განურჩევლად ყო-ველი სიტყვის სქესები ძველთა მწერალთა, არამედ იმათ-გან ხშირად ხმარებული სქესები, და კილონი სიტყვისა.

კ. მშვენიერად და ძლიერად როგორ შეითხზება სიტყ-ვა?

მ. არ შეიძლება მოკლედ პასუხის გება მაგაზედა, რად-გან ეგე მოითხოვს ჭევრმეტყველობის თეატრის (სამ-ნახველოჲს) ყოველ ნაირი სცენის წარმოდგენასა; იმ-ათი თვითეულის შესაფერი ფორმების წარმოდგენასაც განსამშვენებლად და განსაძლიერებლად სიტყვისა, და აგ-რეთვე ცოტა ბევრად წარმოდგენას მოლექსობის კანო-ნებისაცა, რომლებზედ ვილაპარაკებთ შემდეგში.

## თ ა ვ ი ბ.

სამ ნაირი ლაპარაკი რიტორისა: წინა სიტყვა, წინა და-დება, და განწილვა.

კ. რომელნი არიან ქვემდებარე, ნივთი, და აღსასრული მჭევრ-მეტყველებისა?

მ. ქვემდებარე არის გონება კაცობრივი, რამეთუ მას-შიდ განიცხვრებს იგი, ნივთნი არიან არსნი ყოველნი, რამეთუ მათ ზედა ძალ უძს უბნობა და აღსასრულიცა მი-სი თნება მსმენელთა გინა დამტკიცება ნათქვამთა თვის-

თა .

კ. რაოდენნი არიან ის საგანნი რომელთა ზედაცა იგუ-ნებს რიტორი ?

მ. არიან სამნი : ა . არის შესხმითი , რომელი დასჭვრეტს საქმეთა აწმდგომთა და ესრეთვე განვლილთა ; რადგან არა მარტო აწმდგომთა , არამედ განვლილთა საქმეთათვისცა შევიძლებთ წართქმასა ქებისა ანუ ძაგებისასა . ბ . არის რჩევითი , რომელი დასჭვრეტს საქმეთა მოსასვლელთა . გ . არის სამსჯავრო , რომელი დასჭვრეტს საქმეთა განვლილთა ; ამის გამო სამ ნაირი არის მჭევრმეტყველებაც : შესხმითი , რჩევითი , და სამსჯავრო .

კ. რა არის შესხმითი ?

მ. ძაგება ანუ ქება რამისა : მით შესხმითია ქებისა და სასამარო (სასაფლაოს) სიტყვა , და რაც შობაზედ , ქორწილზედ მადლობის წართქმაზედ და მილოცვაზედ შეითხზება და წარმოითქმება .

კ. რა არის რჩევითი ?

მ. შეაგულიანებს კაცისა სასარგებლოზედ და მოცილებას საზიანოსაგან . მით რჩევითია ყოველი მწურთველობითი და შეგონებითი სიტყვა , რომელთაც მჭევრმეტყველნი ხმარობენ შეყრილობაებში , სამსჯავროებში და სათემ ქვეყნო საქმების საგამგებლოდ ; როგორც ხმარობდნენ ამას დემოსთენე , კიკერონი , და სხვანი მრავალნი .

კ. რა არის სასამსჯავრო ?

მ. მაბეზღებლობის და ანუ მოსარჩლობის სიტყვა , რაცკი სამსჯავროში მსაჯულების განსაგონად წარითქმება .

კ. რასათვის საჭიროა ესრეთი გარჩეულობა ამათი ?

მ. მისთვის რათა განისაზღვროს სასაგნო აზრი მჭევრმეტყველისა ; რადგან შესხმითში და რჩევითში უნდა ეცადოს, რომ მსმენელის ნება და გული აღძრას ; ხოლო სასამჯავროში , დაიცოდის მისი გონება , და იმის დაჯარ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესაფერად იხმარონ მჭევრმეტყველებითი ფორმები და გაასწყონ წინადადების მიმდეგი სიტყვის სქესი.

კ. რამდენი არიან ის ნაწილნი რომელნიც ამ ყველას სხვა და სხვა ნაირ სიტყვებსა განურჩევლად მოეწყობიან?

მ. არიან ექვსნი ნაწილნი: წინა სიტყვა, წინადადება, მოთხრობა, (დამტკიცება) ჩვენება თუ შემოწმება, შეგულიანება, და სიტყვის დაბოლოვება (დასკვნა).

გარნა არა თუ ეს ყოველნი ნაწილნი ყოველს სიტყვაში მიუცილებლად საჭირონი არიან, არამედ კანონიერს სიტყვაში კი უდიდესი ნაწილი მათი უნდა იხმარებოდეს.

კ. რა არის წინა სიტყვა თუ წინა მეტყველება?

მ. ის, რომელიც მოამზადებს გონებასა ყურის მგდებელთა მოსასმენლად მრთელის სიტყვისა.

კ. რას მოითხოვს წინა სიტყვა?

მ. ამას რომ თავ და პირველად სიტყვისაგანვე უნდა იყოს ადვილი იგი და კარგად შეწყობილი იმასთან, როგორც გვასწავლებს კიკერონი; ამისთვის რიტორმა პირველად უნდა წარმოიდგინოს მრთლიობა სიტყვისა და მერმე ისე უნდა გააწყოს წინასიტყვა, როგორც ჰყო პავლე მოციქულმა: «ყოველთათვის რომელითა მაბრალებენ მე ურიანი, მეფევ აგრიპა, შემირაცხიეს თავი ჩემი ნეტარად, რამეთუ შენს წინაშე მეგულების დღეს სიტყვის გებად უფროისღა რამეთუ მეცნიერ ხარ შენ ყოველთა მათ ჩვეულებათა და ძიებათა ურიათასა; ამისთვის გევედრები სულ გრძელებით ისმინე ჩემი.» აგრეთვე კიკერონმა: «რისათვის არ მინდა მშვიდობა? რადგან შეუფერებელია, რადგან საცდურობანია და რადგან არ შეიძლება; ამ სამი რამის ახსნაზედ გიხოვ უმორჩილესად თქვენის გულკეთილის სულგრძელებითა ყურად დება მომაქციოთ მე» ფილიპელთ სიტყვაში. კვლავ სამებით ღმერთმან, არსებით ერთმან მომცეს მე სწავლა თქვენდა შემკობად.

გიძღვის ქებანი, მწადს აქ გბანი, დავითის დავითს გუ-ჯდე მუსიკობად. იე. შავთელი.

აწ ერა მინდა გამოთქმად, გული და ხელოვანებსა,
ძალი მომეც და შეწევნა შენგნით მაქვს, მივსცე გონებსა,
მით შევეწივნეთ ტარიელს, ტურფადცა უნდა ხსენებსა,
და მათ სამთა გმირთა მნათობთა სჭირსთ ერთმან ერთის მონებსა . . . შოთა რუსთაველი.

ზოგჯერაც წინა სიტყვაობაში უნდა აღუთქვას რიტო-რმა მსმენელთა რომ მოუთხრობს დიდ დიდთა და ანუ განსაკვირვებელთა, საჭიროთა, სასარგებლოთა და უახ-ლესთა საქმეთა, რათა უფრო კარგად ყური მიუგდონ ლაპარაკსა მისსა.

მეორედ უნდა უფრთხილდეს რათა წინა სიტყვაში ნათ-ლად წარმოადგინოს აზრები კარგის თხიზულობითა; რადგან დასაწყისში მალე დაუჭერენ შეცთომილებასა მს-მენელნი ყურმახვილობითა. აგრეთვე უმფრო უნდა ერი-დებოდეს წინა სიტყვაში ლაპარაკის მიპრანჭვ მოპრან-ჭვასაცა, რადგან ბუნებითად მოწყობილი სიმარტივე საჭიროა წინა სიტყვაში.

მესამედ წინა სიტყვა უნდა იყოს წყნარი და რბილი, უკეთუ უვიცმა შემთხვევამ არ მისცეს მოულოდნელი მი-ზეზი წინა სიტყვასა: მაშინაც მიმართულობა ყოველი სიტყვისა, უნდა მიუდგეს წინა სიტყვას, თვარემ ღირსება წაერთმევა სიტყვასა მას.

მეოთხედ არა ფერი არ უნდა მოიხსენიოს ძლიერ და-მამტკიცებელი მიზეზთაგანი წინა სიტყვაში, რადგან მერმე იმას თავის ადგილს არა ფერი გავლენა არ ექმ-ნება. ხოლო ქადაგების წინა სიტყვა სათაურითგან უნ-და გამოიყვანოს გავრცელებითა მისის აზრებისა და ნა-ირ ნაირი ჭევრმეტყველური ხელოვნებითა, და შემოკლე-ბით წარმოადგინოს მით მთელი ნივთები ქადაგებისა;

რადგან კანონიერი სათავური სხვა არა არის რა თვინიერ შემოკლებული წარმოდგენა ქადაგებისა, რომელშიც არის მისი თესლები.

მეხუთედ წინა სიტყვა უნდა შეედაროს სიტყვის სივრცესა და სიმშვენიერესა; თვარემ თუ კარი მშვენიერია ქალაქისაგან, ქალაქი იქიდგან გაქცევის საცთურში ჩავარდება; როგორც დიოგენმა გასცინა მინდურთა.

კ. რა არის წინა დადება?

მ. მჭევრმეტყველი წინა სიტყვის დასასრულსვე წარმოუდგენს იმ სიტყვის თქმის მიზეზებსა, და იმას ჰქვიან წინა დადება.

ამისთვის წინა დადება უნდა იყოს გარჩეული და ნამდვილი, რადგან მთელი სიტყვის მიმართულობა იმაში იმყოფება.

ხოლო თუ სიტყვის მიზეზი იყოს ყოვლად ცხადი, შეიძლება ახალი სახის წინა დადებით გამოაღვიძოს მსმენელნი, როგორც პ. სენიერმან სთქვა ქრისტეს ღვთაებაზედა: «უკეთუ ქრისტე არ ყოფილიყო ღმერთი, ვერ იქმოდა იგოდენთა სასწაულთა.»

მშვენიერია ლუკიო მღვდლის წინა დადებაც ქრისტეს ვნებაზედა. «აწ არს სასჯელი ამის სოფლისა, აწ მთავარი ამის სოფლისა განვარდეს გარე, და მე ოდეს აღვმაღლდე ქვეყნით ყოველნი მოვიზიდნე ჩემდა.» ივ. იბ. 31.

ძლიერ შეეწევა განწილვაცა განსამარტებლად წინა დადებისა და სიტყვისა.

კ. რა კანონით განიწილება?

მ. პირველად თვითოეული ნაწილთაგანი არ უნდა შეიცვოდეს ერთი მეორეში, არამედ უნდა ირჩეოდნენ ერთმანერთისაგან.

მეორედ ნაწილთა მათ ერთიან უნდა შეიცვან წინა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადება .

მესამედ არ უნდა იყოს მრავალ ნაწილი, რადგან სამ ნაწილზედ მომეტება იშვიათად შეიძლება .

მეოთხედ განწილება არ უნდა იყოს ხელოვნური, არამედ იმავე წინა დადებისაგან წარმოდგენილი .

ეს ყოველი საზღვარი კარგად დაცულია მასილიონის სიტყვაში ქრისტეს ვნებისა : სათაური, «ყოველივე აღსრულებულ არს . ა სამად განსწილავს ასრე ; რადგან აღსრულდა სიმართლე ღვთისაგან, ბოროტობა კაცთაგან და სიყვარული ქრისტესაგან .

## თ ა ვ ი ბ .

მოთხრობა, დამტკიცება გინა ჩვენება, შინაგანი ადგილებისაგან, საზღვარი, აღრიცხვა ნაწილებისა და ნამდვილი დამტკიცება .

კ. რა არის მოთხრობა, რომელი მესამე ნაწილად სთქვი ?

მ. მოთხრობა რომელიც უმეტეს ეკუთვნის მსჯელობით (სამსაჯულო) საუბარსა, არის ერთი უსაჭიროეს და უძნელეს ნაწილთაგანი სიტყვისა ; სადაც ყოვლიფერი სიმართლით უნდა სთქვას ჭევრმეტყველმან, და არა ფერი საგნად თავისი სჯისა (დავისა) .

თავს და ბარკლად თავისი სიტყვის დამტკიცების საფუძვლის დასადებლად, უნდა განმარტოს თავისი სამოსარჩლოს სარჯო გარემოებანი და მოაუძლურონ გარემოებანი მოწინააღმდეგისა მოპირდაპირისა .

განსარკვევლად და ნამდვილად ჩვენებისათვის მოთხრობისა, გარდა წინათქმულ ბაქმანთას უმეტეს საჭიროება მოითხოვს წარმოაჩინოს და წარმოსთქვას პირნი,

დრო, ადგილი და სხვა საჭირო გარემოებანი საჩივრისა და მოთხრობისა .

კვლავ ჭკვა განსაჭრელ საქმედ და მოკლედ უნდა შეადგინოს მოთხრობა და გაუზვიადებელი გარემოებებით. ხოლო სამოძღვრო სიტყვაში კი მოთხრობის ადგილს დაიჭერს ახსნა საგნებისა, რამზედაც რომ საუბარი იქმნება.

კ. რა არის დამტკიცება გინა ჩვენება, რომელიც სიტყვის მეოთხე ნაწილად სთქვი?

მ. გამტყუნება ვისმესი, განძიება რამისა, ანუ დამტკიცება საბუთებით ფაქტებით საქმისა და სიტყვისა თვისისა. რადგან ჰმართებს ჭევრმეტყველსა წინ მოტანის შემდეგ წინა დადებისა თვისისა, დაამტკიცოს იგი ძლიერის ფაქტების შოვნითა და იმ ნაშოვნთ კარგად განწყობითაცა.

კ. რას უნდა ცდილობდეს რიტორი ფაქტების ძებნის დროს?

მ. ამ ორს რამესა: პირველად რომ გამოძებნოს და იპოვნოს იმ ნაირი აზრები და მიზეზები, რომელთაც შეეძლოსთ თრევა მსმენელთა, გინა დამტკიცება ნათქვამებისა თვისისა, რათა ამით მოინადიროს გულის ზმისყოფა (გონება) მსმენელთა. მეორედ იპოვნოს იმ ნაირი ლექსები და აზრები, რომელთაც სიუხვესა და განვრცობასა შინა მიზეზთა, შეეძლოსთ განღვიძება მსმენელთა და აღძვრა ნებისა მათისა, რათა იმით მოინადიროს ნებაცა მსმენელთა. რადგან მსმენელი არს მქონი ამ ორი ძალისა, ვითამც გულის-ზმის-ყოფისა, და ნებელობისა, ამისთვის თანა-აცს რიტორსა რათა ჰსძლიოს ორსავესაცა, და უღელსა ქვეშე მორჩილობისა სიტყვათა თვისთასა მოიყვანოს იგინი; ამის გარდა უნდა დაჭვრიტოს ის მიზეზნიცა, რომლებისაცა შესაძლებელ არიან წინამდგომთაგან წინა დადებად და წინ და წინვე

განმზადებად პასუხისა მათისა, რათა უეცრივ არა დაჰრჩეს რიტორი. ესრეთვე საჭიროა ცოდნა სჯულთა (ზაკონისა) აღნაწერთა, ჩვეულებათა, და ისტორიათა, რომელთაგანაც შესაძლო არს მოღება დამტკიცებათა.

სხოლიო. აქ საუწყებელ არს ესეც ვითარმედ რეტორიკა ასწავლის კაცს ამ ფერს დახელოვნებულსა და გამკვეთს ლაპარაკსა, არა იმისათვის, რათა მოიხმაროს ესე ბოროტზედ, ვითამც ამ სახის ოსტატური ლაპარაკითა დაატყვევოს ვინმე და ზიანი მისცეს, რომლით დიდად შესცოდავს, და იმ ზიანის შებრუნებისაც მოვალე გახდება დამტყვევებელი; არამედ ასწავლის ამას მხოლოდ იმისთვის, რათა მოიხმაროს ესე კეთილზედ ვითამც, რათა არ დატყვევდეს სხვისაგან, და არ ივნოს უსამართლო კაცის ცრუ და მზაკვრული ლაპარაკისაგან; და ოდესაც ჰქონდეს სიმართლე, შეეძლოს ნათლად ჩვენება თავისი სიმართლისა და დამტკიცება მისი ძლიერი ფაქტების მოტანითა; ესრეთვე შეეძლოს შეგულიანება მოყვასისაც კეთილმოქმედებაზედ, და განრიდებით უკან დაყენება მისი სიბოროტისაგან.

კ. სად უნდა მოინახებოს ფაქტები?

მ. იმ ადგილებში, რომლებშიაც ფაქტები მოიძევიან: რომელთაგან ზოგნი არიან საზოგადონი, რომელთ ეწოდებათ შინაგანნი და გარეგანნი ადგილნი, და ზოგნიც არიან საკუთარი ადგილები მჭევრ-მეტყველებისა.

კ. რომელნი არიან შინაგანნი ადგილნი მჭევრ-მეტყველებისა?

მ. შინაგანნი ადგილნი არიან იგინი, რომელნიც თვით წინადადებულ საგნებისაგანვე წარმოვლენ და მოსცემენ შემოწმებასა (დამტკიცებასა) ვითამც, საზღვარი, აღრიცხვა ნაწილთა, ეტიმოლოგია გინა სახელის მნიშვნელობა, შენაუღლნი, ნათესავი, და სახე, მიზეზი, და იქმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გან წამოსული საქმე, მსგავსება და უმსგავსობა ურთიე-რება, წინააღმდგომადება, წინამავალი, შემდეგი, და თანა მიმყოლნი გარემოებანი.

გ. რა არის საზღვარი?

მ. არის სიტყვა განმომცხადებელი რაჲმის (საგნის) ბუ-ნებისა, რომელს ფილოსოფოსნი მოკლედ შეადგენენ ნათესავისა და სახისაგან. მაგალითად: საზღვარი კაცისა არის, ცხოველი სიტყვიერი. ცეცხლი არის სხეული მხუ-რვალე და ხმელი. აქ სიტყვანი ესენი უმეტესად აცხადე-ბენ ბუნებასა კაცისა, და ცეცხლისასა, ვინემდე ლექსნი (კა-ცი და ცეცხლი). ხოლო საზღვარსა შინა საჭიროარს პოვნა ორი ლექსისა: პირველად ყოვლადობითისა, რომლითა განსაზღვრებული იგი ეთანასწორების სხვიებსა, და მეო-რე კერძობითი, რომლისაგან განესხვაოს იგი სხვათა-გან, ვითარცა კაცის საზღვარში, ცხოველის თქმით კაცი ეთანასწორების ლომსა, ცხენსა და სხ. და თქმით, სიტყ-ვიერი, განსხვავდების იგი სხვა ყოველთა ცხოველთაგან. კაცი არს ცხოველი შემდგარი ბუნებითი სხეულისაგან და სულისაგან სიტყვიერისა, დაბადებული ღვთისაგან მო-ნებისათვის მისისა და თანაზიარებისათვის დიდებისა მის-ისა. ნების მიდრეკა არს რაჲმე ტარტაროსი, რომელსა შინა დანთქმულნი ძნიად განმოვალნენ. ხოლო ეგე რომ-ლისათვისაც შენ მწე მექმარობ, არის ნების მიმდრეკი; მაშა სადამე უძნელესად შესაძლო არს აღმართებად.

სიმდაბლე არს სათნოება რაჲმე, რომლისა წინამდღვ-ომ არს მეძიებლობა კაცთაგან დიდებისა; ხოლო პეტრე მარადის ეძიებს დიდებასა კაცთაგან, მაშა სადამე არა ძალ უძს ქონვად სიმდაბლეჲ. ანგაჭარი არს უწყალო გლახაკთა მიმართ, ხოლო პავლე არავისმეს გლახაკთა განუტევებს თვინიერ წყალობის მიცემისა, მაშა სადამე პავლე არა არს ანგაარი.

სიმდაბლე არს საფუძველი ყოველთა სათნოებათა; ხო-
ლო ვითარცა არა აქუს სიმდაბლეჲ, მაშა საღამე არა
რაჲმე სათნოებასა ძალ უძს დგომად მის შორის. სათ-
ნოება არა არს საკიცხველი, არამედ გარე გამჴდელი კი-
ცხვისა, არა თუ წადილ მზიდველობა, არამედ ალვირი
წადილ მზიდველობისა და არა მსახურება ნებისა; არამედ
სიკვდილი ნებისა მსახურებისა. ნების მადრეკა არს შე-
ცდუნება და ამის წინამძღვრობი შედგომა სწავლათა.

ხოლო მჭევრმეტყველნი შეადგენენ საზღვარსა, არა ნა-
თესავისა და სახისაგან, არამედ საქმეებისა, მიზეზებისა და
სხვა გარემოებისაგან ვრცლად რომელსაც ჰქვიან ქვე-
წარწერითი საზღვარი. — ასრე წასწერს იე. ოქრო
პირი ვეცხლის მოყვარესა.

«არა საღა ვინ არის უბადრუკესი უმაძღროს ქონების მო-
ნისა: ჰგონია ვითარმედ უფლობდეს, და მფლობელი
თავს აღგია; ჰგონია ვითარმედ უფალი იყოს და მონებას
უწევს; კრულებით თავს იბლარდნავს, და უხარიან, მხე-
ცს მოირქვამს და განსცხრების, ტყვედ მიეცემის, იშვებს
და ფართფარებს, ბრაზიან ძაღლსა ხედავს მიტევებულს
სულსა ზედა თვისსა და არა საღა ზრუნავს, რომლისაცა
ჯერ იყო დაბაწვრა და სიყმილით მოსპოლვა, ნამეტნავ-
ის სალაფავითა ასუქებს, რათამცა უმძღრო და უმძღრო
თავის ზედა წარქეზებითა გაამძვინოს.»

კ. რა არის აღრიცხვა ნაწილთა?

მ. სიტყვის ფორმა, რომლითა რიტორი ყოველ ნაწილს
ჩამოსთვლის, რაც მრთელზედ სათქმელია, მაგალითად:
«მიჰბაძვიდე ბასკაჲ ქცევასა წმიდათასა, რომლისამე ღვთი-
ის მოშიშებასა, იმისსა წესიერებასა და ამისსა სიმდა-
ბლესა, სხვისა დაჭყნარებასა და სხვისა პატიოსნებასა,
ვითარ რომელიმე თავისა თვისისა შემასმენელ იქმნების,
რომელიმე თავსა თვისსა შეურაცხ-ჰყოფს და ავნებს,

სხვისა ჭნაძევდ სიდამშესა, სხვისა მოღვაწებასა, სხვისა მყუდროებასა, სხვისა სიმშვიდესა, სხვისა სულგრძელებასა, სხვისა ძვირის უხსენებლობასა, ამისსა მამშვიდებლობასა, იმისსა მოყვარულობასა, ამისსა ერთხმობასა» ეფრემ ასური.

«ანუ არა უწყითა ცრუთა სასუფეველი ღვთისა ვერ დაიმკვიდრონ. ნუ სცდებით: არცა მეძავთა, არცა კერპთ-მსახურთა, არცა მემრუშეთა, არცა ჩუკენთა, არცა მამათ-მავალთა, არცა ანგაართა, არცა მპარავთა, არცა მომთვრალეთა, არცა მაგინებელთა, არცა მტაცებელთა სასუფეველი ღვთისა ვერ დაიმკვიდრონ. ა. კორ. ვ. 9.

არა იბრძანების თქვენდა განზრახვად ლომი, ძლევად დათვი, დამორჩილებად სპილოთა, რათა მოიგოთმცა სათნოება და დაიმკვიდროთ ცხოვრება საუკუნო; არამედ ამისთვის ოდენ რათა მოჰკვდინოთმცა აღძრვა სენთა და წადილ მზიდველობათა რომელნიც გამოვალნ თქვენ შორის, აჰა ამაში (ძლევად) რომელიც არის მრთელი აღირიცხვიან მასთან მსგავსადვე ნაწილნიცა მისნი.

შენ გონიერო, გულის ხმიერო, თვით მეცნიერო მეფევ ძლიერო,

. . . . . . . . . . .

. . . . . . . . .

განათლებულო, განახლებულო, განბრწყინებულო მზეო ციერო,
გალაღებულო, გალომებულო, კვლავ გოლიათო, გულ ღმობიერო.

იე. შავთელი.

კ. რა არის ეტიმოლოგია ვინა სახელის მნიშვნელობა?

მ. რაც სახელის მნიშვნელობისაგან დამტკიცდება, როგორც ფილოსოფოზი ვინა სიბრძნის მოყვარე, უნდა იყოს მოყვარე სიბრძნისა. ღმერთი (ღრმა ერთი). ქმარი (მომქმედი). ცოლი (ცალი). ცა (დამცველი). ასრევზე

ჰკიცხავს აბიგია თავის ქმარსა სახელითა. «რაჲთა არა განსდვას უფალმან ჩემმან გული თვისი ნაბალს ბოროტსა კაცსა ზედა, რამეთუ სახელისა თვისისა ებრ არს იგი, ნაბალ სახელი მისი და უგუნურებაჲ მისთანა.» დაბ.

და ოქროპირი ესრედ ჰქიქამს ლაზღარობასა: «და რაჲთა ისწავო დაკვირდი: ლაზღარობისა სახელსაცა რომელი შამხილებელი არს ბასრობისა; ცხად არს ვითარმედ არა არს წრფელ ბასრობაცა, პირველად თავსა თვისსა ჰბასრამს, რამეთუ ეგულვების დაღმეჭა სახისა, და ცვალება პირისა და თვალთა; იმიერიდგან სახესა, გაცინვას და მოძრაობასა განასხვავებს. გოდლოჲს და ჰბაძავს ყოველთა, და სხვა და სხვა მკიცხაობასა შემოიღებს, შორ იყავნ ქრისტიანეთაგან სიტყვანი მგოსნობისანი.»

თ ა ვ ი დ.

შენაუღლნი — ნათესავი და სახე — მიზეზნი და საქმენი — მსგავსება და უმსგავსოება — შედარება.

კ. რანი არიან შენაუღლნი გინა თან უღლვილებანი?

მ. რანიც თავით თვისით იმავე ლექსისაგან წარმოებულნი არიან და შეუღლვილდებიან იმავე ფესვთანა. აწ როგორც სახელის მნიშვნელობისაგან, ეტიმოლოგიისაგან აგრეთვე შენაუღლი ლექსებისაგანაც მოიყვანებენ მჭევრმეტყველნი დამტკიცებასა, როგორც კიკერონი სწერს; «როგორ შეუძლიან იმასა, ვისაც სჭირდეს მრისხანობა, არ იყოს მრისხავი, და რა გაცნაცა შიშმოშობა, არ იყოს მოშიში.?» ასრევე ოქროპირი. «რამეთუ განსწმინდა მან ცოდვანი ჩვენნი, დავსდგეთ ვეყვნეთ წმიდანნი, და არა რაჲ ბიწი შევაცხოთ სულთა

ჩვენთა; არამედ სიტურფე და მშვენიერება რომელნიცა უკვე შეგვმოსნა ჩვენ, დავიცვათ შეუმწიკვლელად, რათამცა არა რაჲ იპოვოს მანკი და ბრძვილი, ანუ თუ ეგე ვითარი სხვა რაჲმე.»

პეტრე არს ბრძენ, რამეთუ სიბრძნით მეტყველებს, და ბრძნად იქცევის. აქა ამასა შინა (სიბრძნით და ბრძნად) იწარმოებიან ძირისაგან (ბრძენი) ლექსისა, და არიან მეორე ლექსებითურთ თანა შეუღლებულნი მასთანა. გარნა საუწყებელ არს ვითარმედ ლექსნი თანა უღლვილნი არა თუ მარტო ხმითა, არამედ მნიშვნელობითაც იმავე ნაირნი უნდა იყვნენ, რომლისათვის ბრუდე იქმნების თუ სთქვას ვინმემ ესრედ: პეტრე არს სათნოებით შემოსვილი ვინაიდგან სცნობს სათნოებასა და ნიადაგ მოძღვარებს სათნოებასა ზედა.

გ. რა არის ნათესავი, და სახე?

მ. ნათესავს ვეტყვით იმ მრთელ რამესა, რომელიც შეიცვიდეს თავისში მრავალს სხვა და სხვა ნაირ საგანთა სახით განყოფილთა; და სახესა ვეტყვით იმას, რომელიც შეიცვიდეს თავისში მრავალთა განუკვეთელთა ნათესავსა შინა მყოფთა. მაგ: ცხოველი არს ნათესავი, რამეთუ ქვეშე მისსა შეიცვიან მრავალნი სხვა და სხვა სახის ცხოველნი, მაგ: კაცი, ლომი, ცხენი და სხ.

ნათესავისა და სახისაგანაც გამოიღება დამტკიცება ესრედ მაგ. სათნოება არს სატრფიალო, მაშ აბა სიყვარული ღვთისა და მოყვასისა, სიმდაბლე, და სიმართლეცა არიან სატრფიალონი. გკვალად რომლისა ნათესავი ბოროტი და საძულველია, ესრეთვე სახეცა მისი. აწ ცოდვა არს ბოროტი და საძულველი, სადამე სიძულილი, შური და უსამართლობაცა არიან ბოროტნი და საძულველნი. ესრეთვე, კაცი არს მოკვდავი, მაშა სადამე პეტრეცა და პავლეცა.

ზოგჯერმე რიტორი პირველად ილაპარაკებს იმ საზ-ოგადო გარემოებაებზედ, რომელნიც ეკუთვნიან ნათესავსა ანუ სახესა, და მერმედ მოიტანს წინადადებასა; ვითარცა ქვემორედ წმიდა ესტატის ღვთის სიყვარულის ნაყოფებზედ შესხმის წართქმის უწინ, ღვთის სიყვარულზედ საზოგადოდ წართქვამს რიტორი შესხმას, და მერმედ მოიტანს წინა დადებას. მაგალითად:

«უდიდეს არს სიყვარული ღვთისა უფროს ყოვლისა ქვეყნიური რაჲმებისა, რომელი მსგავსად უხორცოთა ძალთა ჰყოფს კაცთა უშიშრად. ვითარცა დასაბამითვე ხილულ არს მაგალითნი მისნი მრავალ გზის, მრავალთა შორის და მრავალს ადგილს, ვითარმედ კაცნი, რომელნიცა შეჭურვილნი ყოფილან სიყვარულითა ღვთისათა, არა სადა შეშინებიათ არცა თავიანთთა სიკვდილისაგან, არცა თავიანთი საცხოვრებელის აკლებისაგან, არცა ხმალთ ქვეშ გატარებისაგან საყვარელთა თვისთა, არცა ტყვეთ მიცემისაგან სახლეულთა თვისთა, და არცა მამულისა თვისისა განსვლისაგან და შთავარდნისა მონებრივს უცხოობასა შინა, ვითარცა ვხედავთ ამას წმიდა ევსტატესაცა ზედა. ოდეს მოიქცა წმიდა ევსტათე» და სხვაც. ამავ ნაირად სწერს გი. მღვდელ მონაზონი მამა იოვანესათვის ევთიმის მამისა, ღვთის სიყვარულზედ მამათ ცხოვრებაში:

«ხოლო ვინათგან ცეცხლი იგი ქრისტეს სიყვარულისა გულსა მისსა მძაფრად აღეტყინა, ყოველივე დიდება ამის სოფლისა შეურაცხყო და ნაგავად შეჰრაცხა მონაგები და სიმდიდრე და განსვენება, მეუღლე და შვილნი თვისნი და ნათესავნი, და რაოდენიცა რა არს ამის სოფლისა სრულიად მოიძაგა და უგულებელს ჰყო, მერმე გვალად თავიცა თვისი სიტყვისაებრ უფლისა; აღიღო ჯვარი მხართა თვისთა ზედა და ფარულად ყოველთაგან სივლტოლა იხუმა და მხოლოდ ლავრასა დიდებულსა ოთხია ეგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლესიათასა შევიდა. »

კ. რომელნი არიან მიზეზნი?

მ. მიზეზნი არიან იგინი რომელთაგანაც დამოკიდებულ არს საქმე, ამათგანი ზოგი არის მოქმედებითი მიზეზი რომლისაგანაც გამოვალს საქმე. მაგ: მშობელნი არიან მიზეზნი ძისა, ცეცხლი განხურებისა, და ხურო სახლის აღშენებულისა; გარნა საუწყებელ არს ვითარმედ მოქმედებითთა მიზეზთაგანი პირველი არის მიზეზი უმიზეზო, დამოუკიდებელი, და პირველი მიზეზი ყოველთა დაბადებულთა, და ესე არს ღმერთი, რომელმან დაჰბადა არა რაჲსაგან ცანი და ქვეყანა, და რაოდცა არს მათ შორის ხილული თუ უხილავი; და მეორე მიზეზი არს მიზეზი მიზეზებული და დამოკიდებული, და ეს მეორე გინა ამნაირნი მიზეზნი არიან დაბადებულნი. მაგალითად: მზე, რომელიცა განანათლებს, წყალი, რომელიცა დაარბილებს, გარეცხს და განჰსწმედს, მიწა, რომელიცა აღმოაცენებს მცენარეთა, და ხე, რომელიცა გამოსცემს ნაყოფსა, და სხვაც. რომელთაც არ შეუძლიათ გარ გამოცემა საქმეთა და ნაყოფთა თვისთა, უკეთუ არ დამოკიდებულობისა ებრ ღვთისაგან, და იმ ნაირათ, რა ნაირათაც თვითეული მათგანისათვის მიუცია ღმერთს წინაგანგებულობითა თვისითა შეძლება იმ ნაყოფების გამოცემისა, და ამის გამო ღმერთი ითქმის დამბადებელობით მიზეზად ყოველთა არსთა. მით რამეთუ არა რაჲსაგან და თვინიერ პირველ მდგომის ნივთისა მოიყვანა მან იგინი არსად. ხოლო მეორე გინა. მახლობელნი მიზეზნი იწოდებიან მეორე მიზეზებად, და არა დამბადებლობითად; რადგან არ შეუძლიათ მათ ქმნა რაჲმისა თვინიერ ნივთისა. მაგ. კალატოზს არ შეუძლია აშენება კედლისა თვინიერ ქვისა, ტალახისა, და სხ. ამ მეორე მიზეზთაგანიც ზოგი იწოდება უმთავრეს მიზეზად, და ზოგი ორგანებრი

მიზეზად მაგ. მწერალი არს მთავარი მიზეზი წიგნისა, ხოლო კალამი და მწერლობითი ხელოვნება მისი არიან ორგანებრივნი მიზეზნი მისნი. ამათ გარდა სხვა არის დასასრულებითი მიზეზი და სხვა სასოებითი. დასასრულებითი (აზრითი) მიზეზი არს იგი, რისთჳსაც იქმნების საქმე. მაგ. პეტრე მიიღებს წამალსა სიმრთელისათვის და ჰნებავს სიმრთელეცა იგი, ღვთის მსახურებისათვის, და სასოებითი მიზეზიცა არს იგი, რომლის შეძენისათვისაც იქმნების საქმე, ვითარცა მართალთა კაცთა შრომა, რომელნიც შეიყვარებენ ღმერთსა და დაიცვენ მცნებათა მისთა, არის იმისთვის, რათა მოიგონ ღმერთი და მით დაიმკვიდრონ სასუფეველი ზეცისა.

ხოლო საქმენი დასასრულებითი გინა აზრითი მიზეზისანი არიან იგინი, რომელნიცა ზემოხსენებულთა მიზეზთაგან იწარმოებიან. მაგ. გიორგი ილოცავს დიდებისათვის კაცთასა, მაშა სადამე იქმს ორგულობასა. სტეფანემ მისცა მოწყალება ვისამე დიდებისათვის ღვთისა; მაშა სადამე ჰქმნა საქმე კეთილი. რიტორი გვაჩვენებს კეთილობასა ანუ ბოროტებასა საგნისასა, იმისაგანვე წინ წარმოსულთა კეთილთა ანუ ბოროტთა საქმეთაგანაც. მაგ. რომლისაგანაც იწარმოებიან ბოროტნი მრავალნი, თვით იგიცა არს ბოროტი. ხოლო ამპარტავნებისაგან იწარმოებიან შური, სიძულვილი, შურის მ-მარხველობა, განუსვენლობა და სხვანი ბოროტნი მრავალნი, მაშა სადამე თვით იგი ამპარტავნებაცა არს ბოროტი.

ფესვი ყოვლისა სიბოროტისა არს ანგაარება, რამეთუ არა რაჲ ბოროტი არს, რომელიცა არ იშობებოდეს მისგან: სიძულვილი კაცთა, შფოთი, ჩხუბი, სიძვა, მპარაობა, და სხვა აღურაცხველნი სიბოროტენი.

ვ. მიზეზთაგან თუ საქმეთაგან როგორ მოიყვანება შე-

მოწმება ?

მ. მრავალი გზის ჭვრმეტყველი მიზეზების გარემოებისაგან საქმის სიკეთეს და ქებას ანუ სიმდარეს და ძაგებას წარმოადგენს და ანუ წინაღმდეგს, როგორც სწერს სოლომონი სიბრძნეში კერპთ მსახურებისათვის : «რომელთა უკვე მშვენიერებითა დატკბობილნი, უკეთუ მათ ღმერთად ჰგონებდეს, სცნან ვითარმედ რაოდენ ამათთა უფალი უმეტეს უმჯობეს არს ? რამეთუ მშვენიერებისა დამბადებელმან შეჰქმნა იგინი. ხოლო უკეთუ ძალნი და მოქმედებანი განაკვირვებდეს, ამათგან გულის ხმა ჰყონ ვიდრემე რაბამ შემომქმედი ამათი უძლიერეს არს.»

«ესე საქმენი (ქრთამი) ვეცხლის მოყვარებისაგან იქმნებიან : ხოლო ვეცხლის მოყვარება ძირი არის ყოვლისა ბოროტისა და ეწოდების მას კერპთ მსახურება. აწ უკვე მცირედისა ვეცხლისათვის ნუმცა ვინ აღირჩევს კერპთ მსახურებასა, ნუმცა კვალად ჰბაძავს იუდასა და ფასის მიღებითა მით მეორედ განსცემს უფალსა, რომელი იგი ერთ გზის ჩუენთვის ჯვარს ეცვა.» სჯულ-კანონი.

გ. შეიძლება მსგავსიერებისაგან და უმსგავსიერებისაგან მაჩვენო მაგალითი ?

მ. დიად შეიძლება, მაგრამ კი გულს მოსულობაში იშვიათად იხმარება ეს სქესი და არც რიგია უცნობი რამისაგან აღება მსგავსებისა ანუ უმსგავსებისა.

მსგავსება არს მათ შორის, რომელნიცა რითამე ითანხმავებიან ურთიერთისათანა. მაგ : რაოდენ არს სიდიდე ერთისა ხელისა ეგოდენ მეორისაცა. ვითარცა ელვარებს ოქრო ბრმედსა შინა, ესრეთვე კაცი მართალი დაკვეთებასა შინა ჭირთასა. ბზინვარებდიან მახვილნი მათნი ვითა შარავანდედნი მზისანი. მსგავსება არის სამ ნაირი : ა. იგავებითი. მაგ. ვითარ იგი ცეცხლი განსდევს შეშასა, ეგე სახედვე შური გულსა. ვითარცა ჰსწყალობს მამა შვი-

ღთა, შეიწყალენა უფალმან მოშიშნი მისნი, ვითარცა ჴსურის ირემსა წყაროთა მიმართ წყალთასა, ეგრეთ სუ-რის სულსა ჩემსა შენდამი ღმერთო. ვითარ დაივე შვილე მწყუდარი და ცოფიერი ქძიეჳს მაგნეტიულთა თჳსისა განმ-ძარცვად, ეგ სახედ ცუდ მედიდურებელიცა ქძიეჳს განიძარც-ვად დამკვიდრებულთა დიდებათა თჳსისა.

ი. არს სახითი მსგავსება, ანუ თანასწორისაგან თანა-სწორთა მიმართ და ანუ უდიდესისაგან მცირისა მიმართ მაგ.: ვითარცა ძმა შენი უმნობს მშვიდად და ტკბილად, ეგ სახედ გჳხამს შენცა უმნობად. ვითარცა ტკბილ-მეტყ-ველი და ემრიელ-მქცევი იყო მამა შენი, ეგ სახედ გი-ღირს შენცა ყოფად. ძე შენი ახშირებს ქველესისასა შინა სმენად ლიტურღიისა, ეგრეთ ჴხამს შენდაცა დახშირებ-ად. პეტრემან შეუძლო თმენად კელინისა (ოთახსა) მაგვარსა შინა, და წერადცა, შემძლებელ იქმნენ პავლე და იოვანეცა, მაშა საღამე ეგრეთვე ძალ გიძს შენცა თმენად და წერად.

ხოლო უმსგავსება არს მათ შორის, რომელნიცა რო-თამე განიყოფვიან ურთი ერთისაგან, მაგ.: უკეთუ გაცთა ხჳრეშთა (ბოროტთა) ჴსურისთ ცოდვ-სიტყვაობა, მაშა საღამე თქვენ კეთილთა მაგათ გაცთა გიხმსთ მოძაგება უქმ-სიტყვაობისა. თუ საღამე სოფლიერნი ჰყვარობენ სიმდიდრეთა, ჩვენ მონაზონთა აჲათ გვხამს შეყვარება სიხლახაკისა. ვინაჲდგან ამპარტავანთა თჳსი არს მოშ-ურნეობა მოყვასის კეთილისა, თქვენ მდაბალთაცა გიხმსთ სიხარული კეთილთა მისთათჳს. თუ საღამე მიუტევლობ-ცა თანანადებნი მოყვასისანი, იქმნებიან მოტევებანიცა ცოდვათანი, მაშა საღამე არაოდეს მიეტევნენ ცოდვანი მათნი, რომელნი თავით თჳსით შურის მეძიებელ-იქმნე-ბიან.

«ჰჴვდავა ხორციელთა თვალთაცა, ოდეს გგამლის შინა ეჯვნენ, ცრემლობენ: და რომლისა წმიდა ჰგორსა შინა

და ველსა შინა და წყაროთა და სამოთხესა შინა მოსავარდობილნი უმრთელესნი და მახვილ მხედველ არიან. აგრეთვე გონების თვალიცა უკეთუ სულიერთა სიტყვათა რწყულებში მიმოვიდოდეს, წმიდა მოწმენდილი და თვალ მახვილი იქმნების; ხოლო უკეთუ ქვეყნიერსა რომელთამე გვამთა შინა მიმოვიდოდეს თვალ სველი ცრემლიანი იქმნების და სხვა და სხვა ტირილით მტირალი სასაქაოდ და სასაქაოდ.» იო. ოქროპირი.

«ხე რა მართლად არ დანერგილ იყოს, სიმრუდე მაშინვე აჩნია, შეეტყობის ბოლოს ჟამსა; საქმე რა არ გარყვნილ იყოს, თავისავე ზედა გამოსჩნდების. რა გვარ წელიწადი გვალვის მოვიდოდეს ზამთარს შეეტყობის. ისარი რა მართლად არ მივიდოდეს, მშვილდის მოზიდვას შეეტყობის; რა ხის ზედა ნაყოფი ცოტა გამოვიდოდეს გაზაფხულის აყვავებისა ზედა გამოსჩნდების, აგრეთვე ვისის საქმე მასვე დღესა გამოსჩნდა, სამწარე და არ საჭიანობა. სარგის თმოგველი.

აგრეთვე გული კაცისა მოსაგვარებლად ძნელია,
ჭირსა და ლხინზედ ორზედავე ზედან მართ ვითა ხელია,
მარადის სწყლულდების, საწყალო მისი არადეს მრთელია,
და იგი მიენდოს სოფელსა, ვინცა თავისა მტერია.
რუსთაველი.

ხოლო უმსგავსოებისათვის ასრე სწერს თმოგველი: «მე ამა ჩემთა სიყმაწვილითა ღვთისაგან საუკუნოსათვის მეშინიან, შენ შენითა სიბერითა ღმერთს რად დაავიწყებ?»

«დავითი მოიმრავლა ცოდვათა თვისითა განმართლდა. ხოლო ვინც არ შეინანებს წარწყმდება.» აგერ უმსგავსოების უმსგავსო სიტყვა.

რა არის ჩვენება შედარებისაგან?

მ. როცა ჭეჳრმეტყუელი უდიდესისაგან მცირესა ანუ უმცირესისაგან დიდს ანუ თანასწორისაგან თანასწორს წარმოადგენს. მაგ. «რაჲ ზიარება არს ნათლისა და ბნელისა, ანუ რაჲ შეტყუება არს ქრისტესი ბელიარისთანა ანუ რაჲ სწორება არს ტაძრისა ღვთისა კერპთა თანა, ანუ რაჲ მოჭყვასობა არს სიმართლისა უსჯულოებისა.»
პ. მოციქული.

ეგრე ჰგონიეს ვითარმედ გალილეველნი ესე უმძვროს ყოველთა გალილეველთა იყვნეს ცოდვილ, რამეთუ ესე ვითარი ვნო მათ? გეტყვი თქვენ: არა, არამედ უკეთუ არა შეინანოთ, ეგრეთვე სახედ ყოველნი წარწყმდეთ.» ლუკ. იგ. 2.

ვითარცა თანამოასაკე მეგობარი შენი ემორჩილების სიტყვასა და არა ლიჩბებს, ეგ სახედვე გიხმს შენცა დამორჩილებად სიტყვისა. უკეთუ მრავალ სახით მით მეცნიერებითა შემკობილნი ბრძენნი შეჰსცთენ წერილთა შორის თვისთა, მაშა სადამე უფრორე შეჰსცდებიან ძგინი რომელთაც აქვსთ ერთი ოდენ მეცნიერება ბუნებითთა საგანთა. თუ სადამე დედანი უძლურისა ძალისანი გამხნევდნენ, ეგზომ ვიდრეღა წმიდისა სარწმუნოებისათვის მისცეს თავნი თვისნი სასიკვდილოდ, ფრიად უმეტეს მღვდელთა, მოძღვართა, მონაზონთა და მამა კაცთა ჯხამსთ ყოფად უგანმზადებულეს მოკვდომად ჭეშმარიტებისათვის წმიდისა სარწმუნოებისა და აღსარებისა მისისათვის. თუ სადამე კმა არიანმცა ანგაჭარნი მცირითა სახმარითა ხორცთათა განმრავლებისათვის ვერცხლისა, მაშ ფრიად უფრო სათანადო არს მონაზონთად მცირედითა კმა ყოფად განმრავლებისათვის სათნოებისა.

## თ ა ვ ი ე.

წინასწარმეტყველება — წინამძღვარი — შემდეგი, და მარად მიმყოლნი გარემოებანი.

კ. რა არის წინასწარმეტყველებისაგან ჩვენისა (დამტკიცების განმარტება ?)

მ. არს იგი, რომელსა შინა შორის შორ ლმობიერ ორსი გრძნობასა სიტყვასა შინა, მაგ.: სიტკბოება და სიმწარე. სიბნელე და სინათლე. მჩვალეულობა და სიმრმე. რიტორი ამათგან გამოიყვანს დამტკიცებასა ესრედ: უკეთუ მჩურვალება არს სარგებელ მაგისა, მაშა სადამე სიგრილე არს მაგრილებელ. უკეთუ ტკბილი გეწოდება შენი ადამიანის მოყვასსა შენსა, მაშა სადამე მწარ-ეკნობა შენი დაათრგოლების მას. შენ შეურაცხ ჰყოფდა სიბრძნესა, მაშა სწავლობდა სისულელესა. ვგალად მიმართობითადაც იტყვის ესრედ. უკეთუ არს მამა, მაშა სადამე ჰყავს მას ძე, და უკეთუ უფალი, ჰყავს მონა. უკეთუ მოძღვარი მოუძლურებს ამას თავსა თვისსა, რისათვის არ მოუძლურებს თავსა მოწაფე ? უკეთუ არს მონა, მაშა სადამე თანა აქვს მონებად უფლისა და სხ.

ვგალად ჭეშმარიტებული წინამძღვრისდადებით ერთურთ თან დიდ ძალსა დაისძენს თავის სიტყვასა. მაგ. „არა სადა ვის დასდგომიან თავსა მერხლშე გვერდებისა მწვალებელი შესაწირად მსხვერპლისა იძულებითა; არამედ მოწევნილ არს ჩვენზედა ფიცხელი გულის თქმა ქონებისა და ანგაარებისა და გვითხრის თვალთა. არა ვის მხედართაგანსა არა შეუსხი ვარტ ცეცხლსა შინა და არცა დაუდგენი ვარტ ზედადგარსა ზედა: გარნა აღგზნილნი ალი ხორცისა უმეტროს მისა სწვავს სულსა ჩვენსა. არ გვიქის ახლოს მეუფე, მრავლისა ნიჭისა მქადებელი განს-

რინებად, ზედა გვადგიან მაცთურნი დიდებანი, რომე-ლნიცა უკვე უბოროტეს უფროს მისა გულს გვიხვევენ.»

იე. ოქროპირი.

«მე თქვენმან კეთილმან მზემან მათი ქორწილი ზრუ-ნვად მიჩნდა, მათი სიმღერა მოთქმად და ტირილად, სძა და სიხარული მე ჩუმად ოხვად მიჩნდა, და მათი სამოთხი-სეური შეკაზმილი დარბაზი ბნელად საკანად მიჩნდა და მუტრიბითა ხმა წყენისაგან გინებად შესმოდა რუ სთხა-რეთ, ჭირი თქვენ ნახეთ, მაგრამ წყალს სხვანი სმენ.

ს. თმოგველი.

«პირველ ცდომითა განშიშვლებულთა სამოსელი უხრ-წნელებისა შეჰკმოსა შობილმან შენმან, და ცოდვისა ბნ-ელსა შინა მსხდომართა, ნათელი ვიხილეთ, ნათლისა სა-მკვიდრებულთ სძალთ... მკვდარნი შენ მიერ განცოც-ხლდებიან, რამეთუ ცხოვრება გვამოსანი ჰშეჰ, უტყუნი კეთილად მეტყველებენ, კეთროვანნი განიწმიდებიან ქალ-წულო, კაცთა ცხოვრებაო. დაუჯდომელი.

გ. რა არის წინამავალისა, შედეგისა და თან მიმყოლი გარემოებისაგან ჩვენება (დამტკიცების გამოდება)?

პ. მრავალჯერ ამ გარემოებისაგან ცხადს ანუ სარწმუნო შემოწმებაებს გამოიყვანს ჭევრმეტყველი: როგორც მზის ამოსვლისა უნდა დღე იყოს, და თუ დღეა, მზე უნ-და ამოსული იყოს.

კვალად შეიმოსა მღვდელი, სადამე მღვდელ მოქმედე-ბად არს, შეიმკო პალატი სადამე მეფე შემოსვლად არს, პავლემან ინება ვნება მისი, მაშ აბა სარგებლობისა მი-სისათვის არაოდეს მეცადინობს. მდიდარი ვინმე იყო ეგე, რომელმან იპარა, მაშ აბა ფიცხელად დასასჯელ არს. ეკკლესიასა შინა ჰქმნა ბოროტი ეგე, მაშ აბა უმ-ძიმესად იუსჯულოვა. აღუთქვა არა ვნებად მისა, და ავნო, მაშა სადამე იუსამართლოვა უდიდესად. რაჟამს იგი ეძ-

ჲებდიან მომქმედსა მას ბოროტისასა, ფერი პირისა ამ-ისი შეიცვალა და ძრწოდა, მაშა საღამე უქმნიეს ამას ბოროტი იგი. ამისი ოდენ იპოვა მახვილი შესვრილი სისხლითა ადგილსა მას შინა, რომელსაცა შორის იქმნა მკვლელობა, მაშა საღამე მოკლა ამან.

ესრედ ს. თომაველი შეადგენს წინამავალი გარემოებისაგან: რა ბეჭედი აღილეს და გახსნეს წიგნი, თუმცა ამონი სიტყვანი ეწერნეს, მარო ეგრეცა ვითა მოყვარული ვირი ტალახსა შიგან, ეგრე სირცხვილისა და შეჭირვებისაგან თავის გზა გაუდებელი დამთა, რომელ მისგან დაწერილი საფიცი მოაბადის წიგნსა შინა იცნა თავისი დაწერილი და ესპომი ფიცი, რომელ პირველ სამართალსა იქს და სამართალსა უბრძანებს კაცთაცა და ქვეყანა დაბადა სამართლით, ერთისა მის ოდენი სიმრუდე არ გვამცნო ვით ქვეყანა სიმართლით შეამკო; კაცთაგან ეგრეთვე მართლის თქმა ითხოვა და ქმნა, ვინცა სიმართლით მატებასა ექებს, გაიმარჯვებს მიწყით წინამძღვარ ექმნების, სიმართლისაებრ ქვეყანაზედ არა არის რა, სიმართლის მატებასა დაკლება არა აქვს.

ხოლო თან მიმყოლნი გარემოებანი, თუმცა არა ერთიან, მაგრამ ხშირად საფერად მოუხდებიან ჭკვრმეტყველსა და არიან ესენი, ვინ? რაჲ? სად? რითა? რამდენჯერ? რისთვის? როგორ? როდის?

მრავალ ამათთაგანსა მშვენიერად ხმარობს ბრძენი ესრედ. «რა წყნარსა დუმილსა ყოველნი შეეპყრნეს. და ღამე თვისითა სრბითა განახევრდებოდა, ყოვლისა შემძლებელი სიტყვა შენი ზეცით საყდრითგან სამეუფოსათა ფიცხელი მბრძოლი შორის მომსვრელისა ქვეყნისა გარდამოხდა. მახვილი მკვეთრი შეურგულებელი ბრძანებისა შენისა მქონებელი დადგა, აღასრულა ყოველი სიკვდილისა, და ცასა უკვე შეეხებოდა ხოლო მდგომარებდა

ქუეყანასა ზედა, მაშინ მეყსეულად ოცნებანი საზაროთა სიზმართანი შეაძრწუნებდა მათ. და მოულოდებელი შიში წარმოუდგებოდეს, და სხვა სხვაითა შთავარდა ზეთს ცხოველს (ცოცხალ მკ დარად, რომლის მიზეზისათვის მოჰკვდიდეს, გამოეცხადა, რამეთუ სიზმარნი შეაძრწუნებდეს მათ, ესე წინა მოასწავებდა რათა არა უცნაურად რომლისათვის ბოროტად ევნებოდიან, წარწყმდენ.»

მითხარ უსახო რა ქმნილა, სულნი რად ამოგხდებიან? და არ იცი ვარდი უმზეოდ არავის მოუკრებიან. რუსთ.

## თ ა ვ ი ვ.

### გარე ადგილთა ზედა მჭევრმეტყველებისათა.

კ. რომელნი არიან გარე ადგილნი?

მ. სჯული, განსჯელობა, ტანჯვანი, ძველი წერილი, ფიცი და მოწამენი, რომლებისაგან მჭევრმეტყველმან გარეგი დამტკიცება უნდა გამოიყვანოს საქმეებისა.

პირველი არს სჯული, რომელი განიყოფვის სამად: ვითამც საღმრთოდ, ბუნებითად და კაცობრივად. ა. საღმრთო სჯული არს ნება ღვთისა განწროველებული საღმრთოჲსა ცნობისაგან, და ეს სჯული არს პირველი და თვით თავით თვისით ჭეშმარიტი, რომლისა მიმართ სათანადო არს სხვა ყოველნი სჯულნი თანა-ხატ ყოფად; რათა შეიწყნარონ ძალი და ჭტებაჲ, სჯული ესე ითქმის საუკუნო, ამისთვის რამეთუ საუკუნოდ ჰგიებს სიტყვა ღვთისა, და არ შეიცვლების არასოდეს. ითქმის ეს ღვთ-იულიცა, რამეთუ ღვთისაგან გამოცხადებულ იქმნა ჩვენდა. ითქმის მოსესებრივი, რამეთუ მოსეს მიერ მოგვეცა ათნი მცნებანი ღვთისანი და ქადაგებულ იქმნა წინას-

წარმეტყველთაგან: ითქმის ქრისტიანებრივი, რამეთუ განიმარტა და განცხადდა ქრისტესაგან, ითქმის სახარებრივი და წმიდა წერილებრივი, რამეთუ შთაწერილ არს მათ შინა; და ამას სჯულსა ზედა დაფუძნილ არიან სიტყვანი და სიტყვის დასასრულნი (დასკვნანი) ღვთის-მეტყველებისანი.

მოწმობა მოტანილი სამღრთო სჯულისაგან უაღრეს და უძლიერეს არს უფრო ყოველთა მოწმობათაგან, რამეთუ სწამებს მას სჯული ღვთისა რომლის ავქსონობა არს გამოუთქმელი, რომლის სიბრძნე და ცნობა განუზომელი, და განუზომელად აჭარბებს ყოველს კაცობრივს სიბრძნესა და ცნობასა, და რომლისა სიტყვა არს შეუცილებელი, რომლის გამო ცნობა ჩვენი შეცდომად შესაძლებელ არს, მაგრამ სამღრთო სიტყვა კი არაოდეს შესცდების.

ბ. ბუნებითი სჯული, არის ბუნებითი ნათელი იგი, რომელიცა დანერგა ღმრთმან სიტყვიერთა დაბადებულთა შორის და არიან ესენი ა. სცანი ღმერთი, რომელიც მიაგებს მართალთა სასუფეველსა, და ცოდვილთა საუკნო ჯოჯოხეთისა, ბ. შეიყვარე ღმერთი უფროს ყოვლისა რაჲმისაგან. შეიყვარე მოყვასიცა შენი ვითარცა თავი შენი. ყოველი რომელი გინდეს თქვენ რათა გიყონ კაცთა, ეგრეთცა თქვენ ჰყავთ მათდა მიმართ. რაჲსაცადა არა მნებავ ხარ შენთვის, გილირს არა მნებავ ყოფად სხვათათვისცა, და სხ. მოძღვარება ესე ბუნებითისა სჯულისა, არს ჭეშმარიტ და საზოგადო ყოველთა ნათესავთა; ამისთვის ამისგან წარმოებულ მოწმობასა აქვს ძლიერება და შესაწყნარებელ არიან დასკვნანიცა მისნი.

გ. კაცობრივი სჯული არს განსაზღვრილება კაცისა, და მაშინ ძლიერ არს, ოდეს იგი თანა-ხმა იქმნების სამღრთოჲსა სჯულისა, და არ იქმნების იგი წინამდეგი ღვ-

თიული სჯულისა ; და განიყოფვის ესე საეკკლესიოდ და მოქალაქობითად : საეკკლესიო სჯულისათვის უბნობენ ღვთის მეტყველნი; ხოლო მოქალაქობითი სჯული, ოდ-ეს დამტკიცებული არის კეისრისაგან ანუ მეფისაგან ; შთაწერილი არს იგი სჯულის წიგნთა შინა . ხოლო სჯ-ული იგი, რომელი თუმცა არ არის შთაწერილი წიგნთა შინა, გარნა იცვების და ხმარებულ არს იგი თვითეულთა-გან, იმას ეწოდების ჩვეულება, და ესე ვითართა სჯულთა და ჩვეულებათაგან იწარმოებიან მოწმობანი (საბუთები) მაგ : ღამე ვიდოდა დავითი მეექვსესა ჟამსა შინა შორის ქალაქისა ჩვენისა განსხვავებული შესამოსლითა, რომე-ლიც იყო წინამღმდგომ სჯულისა და ჩვეულებისა ქალა-ქისა ამის ჩვენისა, მაშა სადამე ღირს არს იგი მიღებად პატიჟისა .

ი . განმსჯელობა არს სამართალი ქმნილი სხვა დროს მსაჯულთაგან, რომელს თუ დახედავს რიტორი რომ არგების დასამტკიცებლად მიზეზისა თვისისა, იტყვის ესრედ : მსაჯულნო წარსულსა სამართალსა თქვენსა მი-ზეზმან პეტრესამან, რომელი იყო მსგავსი მიზეზისა ჩემისა, ყოვლითურთ მიიღო მსჯავრნი, მაშა სადამე მი-ზეზსაცა ჩემსა უხმს მიღებად მსჯავრისა . ანუ განკვლ-ილად სხვათა მსაჯულთაგან ამოვერი მპარავისა განვრდ-ომა ექსორიად მამულისაგან განიჩინა, მაშა სადამე აწ-ცა მპარავისა ეგე სათანადო არს განვრდომად მამული-საგან . ანუ თქვენ ოდესმე თანამდებისა ამის ბრალისა ჰსაჯეთ ღირსად განტევებისა, მაშა სადამე ჯერ არს ჰს-ჯად ესეცა ღირსად განტევებისა

კ . ამბავი არს სიტყვა თქმული მრავალთაგან ვისმესთ-ვის რომ იგი არის მპარავი, ანუ წმიდა, ანუ ბრძენი, და სხ. რომელი თუმცა მრავალ ჯერ იქმნების ცრუ, გარნა რად-გან მრავალჯერცა იქმნების ნამდვილი, რიტორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტყვის ესრედ: პავლე არს ბრძენი, რამეთუ ესრედ არს ამბავი მის ზედა.

დ. ტანჯვანი არიან რომლითაცა იძულებიან ბოროტ მომქმედნი რათა აღიარონ მართალი, და ამით რიტორი გამოიყვანს დამტკიცებას ესრედ: არს ეგე მპარავი, რამეთუ ტანჯვასა შინა აღიარა იგი. ანუ არს ეგე უბრალო საქმისა მისგან ვითარმედ ეგზომ ტანჯვათა შინა არა რაჲმე განაცხადა, რომლითაცა თვით იგი ზიარ გამოჩნდამცა საქმისა მაგის.

ე. ძეგლ-წერილი არს წიგნი იგი საურაკპარაკო, რომელსა შინა შთაიწერებიან საქვეყნო (პუბლიკო) საქმენი და წამებანი. ამით დამტკიცებას გამოიყვანს რიტორი ესრედ: კაცი ეგე არს მზაკვარი უფროსი ერთი ადვოქათობასა შინა, ვინაითგან შთაწერილ არს მაგისთვის ძეგლ წერილსა შინა. ანუ ამას რაჲსაცა ვიტყვი, არს ჭეშმარიტი და შესაწყნობელი, რადგან დაამტკიცებს ამას ძეგლ-წერილი იგი.

ვ. ფიცი არს სახელითა ღვთისა წართქმა ანუ უკუთქმა რაჲსამე საქმისა, და ამისგან რიტორი გამოიყვანს დამტკიცებასა ესრედ: გიორგის არა მიუღიეს იოვანესაგან ნივთი რაჲმე, არს ჭეშმარიტი, ვითარმედ მომზრახობს ფიცით თავისა თვისისათვის არა მიმღებელ ყოფად. ანუ ჭეშმარიტი არს ვითარმედ მონაგებნი ჩემნი დატაცებულ იქმნენ ავაზაკთაგან, მით რამეთუ ფიცით დაამტკიცებენ ამას კაცნი ღვთის მოშიშნი.

ზ. მოწამენი არიან იგინი, რომელნი წართქმით და ანუ უკუთქმით სწამებენ საქმისა რისათვისმე. ესენი თუ იყვნენ თვალით მხილველნი, და ანუ ფიცებულნი უფრო ძლიერ არს წამება მათი, ვიდრემც მათი რომელნიც არიან ყურით მსმენელნი და ანუ არა ფიცებულნი. და აქედგან რიტორი გამოიყვანს დამტკიცებასა ესრედ: გიორგი არა

არს უთანამდებო სისხლისაგან მოკლულისა მის, მათ რამეთუ სამნი სარწმუნო კაცნი ვითა თვალით მხილველნი ქმნილისანი, ფიცით დაამტკიცებენ მას.

კ. როგორ საჭირო არის ფაქტების გაწყობა?

მ. ჯერ პირველად რომელიმე ძლიერი ფაქტითა უნდა დაიყოლიოს გონება, და მერე ისრე უძლიერისისაგან უძლიერესზედ გარდავიდეს; დასძინოს თვითეულთა შესაფერი მაგალითები და მოწმობანი. არ უნდა აურიოს მიუყენებელი ფაქტები ერთმან ერთთან, არამედ საკუთრად შესაშვენი, სასარგებლო და ჯეროვანნი შეაწყოს, ესრედვე ახსნას და განაძიოს ხოლმე მოწინამღდეგისაგან მოტანილი ფაქტები, ნჩვენებით გინა დამტკიცებით მათი სიცრუისა, შეუძლებლობისა, უჯერობისა, და სხვა. ამასთანვე უნდა აღსძრას ხოლმე ნებაცა მსმენელისა უხვ-მეტყველებითა, რომელზედაც ვილაპარაკებთ შემდეგს თავშიდ.

## თავი ზ.

## უხვ მეტყველებასა ზედა.

კ. რაჲ არს უხვ-მეტყველება?

მ. უხვ-მეტყველება არს უმწვერვალესი წართქმა, რომლითაცა მსმენელი მიიდრიკების თანახმაობაზედ სიტყვისა, მოტანილთა მიზეზთა გამო. რამეთუ რაჟამს საშუალობითა გულის ხმის-ყოფისა იცნობს მსმენელი ზემოდ შინაგანის და გარე ადგილების მოყვანილთა მიზეზთა, და მათ გამო მოიზიდების იგი თანახმობაზედ რიტორის სიტყვისა მიმართ; შემდგომ უხვ მეტყველებისა მიერცა განიღვიძებიან მის შორის აღძრანი ნებათანი და ამითი რეცა თუ ძალდატანებული გახდების მსმენელი

შეწყნარებად მიზეზთა და დამტკიცებათა რიტორისათა.

გ. რავდენს მჭევრმეტყველების ადგილსა ზედა იქმნების უხვ-მეტყველება ?

მ. თუმც კი შეიძლების უხვ-მეტყველობა ყოველთა ადგილთა ზედა მჭევრმეტყველობისათა, გარნა უმეტესად ადგილნი მისნი არიან ზემოდ თქმულნი ექვსნი მინაგანნი ადგილნი მჭევრმეტყველებისანი: ვითამც, საზღვარი მიზეზი, მსგავსება, წინაღმდგომ დადება, და შემდეგნი გარემოებანი.

გ. როდის იქმნების უხვ-მეტყველება საზღვართაგან ?

მ. მაშინ ოდესაც ერთისა და იმავე საქმისათვის ერთობამად შეიკრიბებიან მრავალნი და სხვა და სხვა ნაირნი საზღვარნი მაგ.: სათნოება არს ანაგები კეთილი გონებისა, განმაწრთველებელი ცხოვრებისა, წინამძღვარი ჭეშმარიტებისა, ძირი უკვდავებისა, განსვენება სულიერი, სვეტი სასოებისა, კარი სიბრძნისა და შვენიერება კაცობრივთა ქმნულებათა; მაშა სადამე ვინ იკადრებს ლტოლვად ამისგან!

გ. როდის იქმნების უხვ-მეტყველება მიზეზთაგან ?

მ. მაშინ ოდესაც ერთი და იმავე საქმის მიზეზნი და მოქმედებანი მრავალნი შეიკრიბებიან იმაშიდ, მაგ.: ვიკვირსა, ვითარმედ მრავლითარე უძღებებითა შენასვარ იყოს კაცი იგი? გარნა ჰსჭვრეტდ მიზეზსა ბოროტ ვნებულობისა მისისასა, მით რამეთუ ეყვლნეს სულისა მისსა სენნი ცუდ დიდებობისანი; განშირდეს მის შორის ნების მიმდრეკილობანი, რომლით გონება მისი არა ჰსცნობდალა სხვასა რაჲმესა კეთილს და სარგებელსა კიდეგან მისა რაჲვესადა შეცდომილობითა ხედვიდა თვით სასარგებლოდ; ნება მისი არა ემორჩილებოდისლა მას, რაჲსაცა ეტყოდიან მოძღვარნი, გარეშე მისა, რაჲსაცა სათნოდ თვისსა ჰხედვიდის; ხოლო ჰაზრი და მეცადინე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობა მისი არა თუ მოკვდინებისათვის სენისა (შეცდომილებისა) თვისისა მოცალე იყო, არამედ რათა ჩვენებულ ჰყოსმცა თავი თვისი თვისდამი, და სხვათადმი უბრალოდ და უცდომელ. მაშა სადამე უღირს მას რათა შეშინდეს უდიდესითა ბოროტითა მათგან; რამეთუ დღითი დღე მოაკლდების მის შორის ყოველნი სახენი საქმეთა კეთილთანი; შეიცვლების მყუდროება სვინიდისისა მისისა აღშფოთებასა და მოუსვენლობასა ზედა; განირყვნების წესი სიტყვათა და საქმეთა მისთა, დაკნინდების მის შორის სათნოება სასოებისა, რომლისაცა სათანადო არს დაღებად ღვთისა მიმართ, რომლების გამოცა ქვეშე შევრდომად არს იგი სამღრთოჲსა რისხვისა და საშინელისა სასჯელისა მისისა თანამდებ ყოფისა.

კ. როდის იქმნების უხვმეტყველება მსგავსებისაგან?

მ. იქმნების მაშინ, ოდეს შეკრბებიან ერთობამად მრავალნი მსგავსნი საქმენი და მაგალითნი, მაგ: ჰხედვა მდაბალ გონებისა მხნესა მაგას, რომელი მოკვდინებისათვის სენისა (ვნებისა) თვისისა დაკვეთებასა (ომსა) შინა არაოდეს მიაქცევს ბეჭთა თვისთა? ჰრაცხე ეგე ვითარცა ლომი, რომელიცა შეაძრწუნებს ხმობითა აღსარებისა უძლეურებისა თვისისათა და განლტოლვითა მიზეზთა და განსაცდელთაგან ცოდვისათა დიდთა ცხოველთა მათ გამამცდელთა სენისა თვისისათა; ჰრაცხე ეგე ვითარცა არწივი, რომელიცა უკუნ აქცევს მათ მარად განზრახვითა საბოლოოთა თვისთა; ესე იგი სიკვდილისა, ღვთის სამართლისა, ჯოჯოხეთისა და სასუფეველისა! ჰრაცხე ეგე ვითარცა სპილოჲ გუნდრუკით მრავალი სახის ღვაწლისათა ჭურვილად, რომელიცა მრავალ გუნდთა უხილავისა მტრისათა განაბნევს დღითი დღე გულს მოდგინე შრომით, წინ წასვლისათვის სათნოებასა და სისრულესა შინა, მსგავსად წმიდათა მამათა მათ დიდისა ან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტონ მეუდაბნოელისა, პავლესი, ილარიონისა, და სხვათა წმიდათა ღვთისათა, რომელთაც მიიღეს უკვდავების გვირგვინი სასყიდლად ძლევა-შემოსვილებისა ბათისა ეშმაკისა, სოფლისა და ხორცთა ზედა თვისთა.

კ. როდის იქმნების უხვ-მეტყველება უმსგავსებისაგან?

მ. მაშინ ოდეს შეიკრიბებიან მის შორის ერთბამად მრავალნი საქმენი უმსგავსონი, და ჰსხნან მრავალთა შორის წინა აღმდგომად ურთი ერთას, მაგ: ფრიად საცინელ სხან-ხარ თქმობასა მაგას შინა არა მტკიცე მყოფი სიტყვასა შინა შენსა; რამეთუ ცუდ-დიდებობასა, რომელსაცა წინარე შეურაცხ-ჰყოფდი, აწ ვითარცა დიდ სულობასა ემწე-მქებარები (ესარჩლები) ხოლო სიმდაბლესა, რომელსაცა ვითა საფუძველსა ყოველთა სათნოებათასა აქებდი, ვითარცა შეურაცხსა რასამესა უდარეს მომზრახობ, და იმას, რომელსაცა ვითარცა მადლნისტსა მიმზიდველად სამღრთოთა მადლთა უწოდებდი, აწ ვითა მიზეზსა შეურაცხისასა ფერხითა მთრგუნავ ხარ; და რომელსაცა ჰრჩეულ ყოფად მრავალთა შორის სათნოებათა უხვ-სიტყვაობდი, ვითა უხმარსა და ურგებსა გიობ-სიტყვაობ.

კ. როდის იქმნების უხვ-მეტყველება წინამდგომ დადებისაგან?

მ. მაშინ ოდესაც პირის-პირ იბძვიან მრავალნი წინამდგომნი, მაგ: რად მეტყვი მაგას? ვითარმედ იაკობი შეუდგების სათნოებასა, რომელიცა გულს მოდგინებს ამაო სიტყვაობად, ვიდრედა თავისა თვისისა ზომისა ცნობად? პირველ აღძრვად სიტყვათა თვისთა, ვიდრედა სხვათა სიტყვათა ადგილის ცემად; პატივისა და სიყვარულისა თავისადმი მიზიდვად, ვიდრედა სხვათა პატივის ცემად და შეყვარებად; ძიებად სარგებელისა თავისა თვისისა, ვიდრედა კეთილის ზრახვად საზოგადოებისათვის;

თავისა თვისისა პირველ სხვათა დაწუნებად, ვითარცა სხვათა სწორ თავისა შერაცხვად; წინამძღვრად თავისა თვისისა დიდებად მისი რაჲცა სასიამოვნო არს ბუნებისა მისისა, კიდრედა შედგომად ნათლისადმი სიტყვიერობისა და ძლევად თავისა თვისისა?

კ. როდის იქმნების უხვ-მეტყველება შემდგომთა გარემოებათაგან?

პ. მაშინ ოდეს შეკრბებიან ერთბამად მას შინა ერთისა და იმავე საქმისაგან მრავალნი საქმენი უკან შედგომილნი, მაგ.: უკეთუ უმხურვალებისა შენისაგან იქმნების შენ შორის დახსნილება სათნოებისა წარმატებად საქმისა მიმართ კეთილისა, აღძვრანი ვნებათანი, ნელ-ტფილობა ღვთის სიყვარულისა, დაკნინება სასოებისა, მწუხარება სულისა, მოწყინება კეთილისა, და მიზიდვა ამაოჲსა მიმართ, მსწრაფლ მიჰმართე ღმერთსა ლოცვითა, ითხოვე მისგან შეწევნა და მხნეობითა განაძე შენგან ესე ვითარნი განსაცდელნი მავნენი სულისა შენისანი.

კვალად თუ სადამე ემორჩილებოდე სარწმუნოდ უმძვროსსა შენსა, გაქუნდეს უკუჱ მადლი ღვთისა, მხიარულება გულისა, შვება სულისა, მყუდროება სვინიდისისა, და ყოვლად სრული ნუგეშის ცემაჲ.

## თ ა ვ ი . ჲ

### შეგონება - სიტყვის დასასრული.

კ. რა არის შეგონება, რომელიც სიტყვის მეხუთე ნაწილად ჰსთქვი?

პ. ჭევრმეტყველმან არა მარტო გონება უნდა განუღოს ყურის მგდებელთა, არამედ ნებაცა მათი უნდა მიითვისოს მათი ვნებაების აღძვრითა.

კ. რომელნი არიან უმთავრესნი ვნებანი, რომელნიც ჭე-ვრ̃მეტყველმან უნდა აღუძრას მართებულად მსმენელთა ?

მ. სიყვარული და სიმძულვარე, მრისხანება და სიმშვიდე, სიხარული და სიმწუხრე, შიში და სიმამაცე, მოწყალება ღმობიერობა და ნუგეში.

კ. ეგე ვნებაები თვითო თვითოდ როგორ უნდა აღუძრას ?

მ. სიყვარული, აღწერითა პირისა ანუ საქმების მშვენიერის გარემოებაებისა, როგორც საჭიროება თხოულობს საყვარლად წარუდგინოს და აგრეთვე აჩვენოს მისგან საიმედო სიკეთე და სარგებლობა. სიმძულვარე კი წინამდეგისაგან აიღოს, გამოხატვითა მისი სიმდარისა და მისგან წარმომდგარი სასაშიშრო ბოროტებაებისა.

მრისხანება, მოხსენებითა გამოვლილი უსამართლობაებისა; ხოლო სიმშვიდე ბრალის გულ უმანკო აღიარებითა, მისი აზრის უბოროტობითა და მისი კეთილ მოღვაწობის მოგონებითა.

სიხარული, სიკეთის უდიდესობითა სიმდიდრითა და მრავალი ხნის მომლოდინელობითა, ანუ უიცარის გამარჯვებითა; სიმწუხრე კი ამათი წინამდეგებითა.

შიში, განსაცდელის მახლობლობითა და მიუცილებელ ბოროტობაების შემდეგობითა; ხოლო გამამაცება გამარჯვების იმედითა. აღვილად და სარწმუნოდ უნდა აჩვენოს საქმის გამარჯვებულობა.

მოწყალება და ღმობიერობა, დაწვრილებით მოუთხრობს შეწუხებულის სისაწყლესა; აჩვენებს რომ არ ყოფილა ღირსი იმ ბოროტებისა, არამედ შეწყალებისა, დიდებისა და კეთილისა.

ნუგეში, აღუმსუბუქებს რაც შეიძლება ბოროტობის (ზიანის) სიმძიმესა; დააიმედოვნებს სანაცვლო მისაგებელზედ აქ თუ საიქაოდ, ჩახვდენით მოთმინების სიმ-

ჩნისა, დიდებისა ჲ სარგებლობისა.

კ. არიან იმისთანა კანონები, რომ საკმაოდ აღძრან საზოგადოდ ყოველი ვნებაები?

მ. დიახ არიან: პირველად თვითან ჭევრმეტყველი უნდა იყოს აღგზნილი იმ ვნებაებითა, რანიც სხვათ უნდა გარდასცეს, ჲ უწინარეს აღძვრისა მსმენელთა, თვით რიტორმან უნდა იწყოს აღძვრა.

მეორედ: ჯერ უნდა შეაგულიანოს გონება ფაქტებითა ჲ მერმე ეცადოს აღძრას გული.

მესამედ: შესაშვენს ადგილას უნდა შეაგონოს რომ აღძრას ვნებაები, რომელიც ჩვეულებითად სიტყვის დასასრულს ხმარებულია.

მეოთხედ: არ უნდა გააგებინოს მსმენელთა, რომ აგერ შეგონებას იწყობს; არამედ ანაზდად ზედ მოიყვანოს აღძრულს ვნებაებზედ, რომ შერჩეს მასზედ მომზადებული გული.

მეხუთედ: უნდა იცოდეს ენა ჲ საუბარი ვნებაებისა, რომელსაც არ ეჭირება სრულიად დახელოვნება, მცხარეა ჲ თავის თვისით ფორმიანი, თვინიერ მორთულობისა ჲ მაღალ მეტყველებისა.

მეექვსედ: არ უნდა განსწყვიტოს სიტყვა ვნების მოძრაობაში სხვა რამის მოტანითა, ჲ არცა რა უნდა დააქროს აღგზნილი ვნებანი ახალი ლაპარაკის შემოსული მორთულობით, ანუ ახალი მაგალითებითა.

მეშვიდედ: მეტად არ შეიყოვნოს შეგონებაში, რადგან სიცხარე ვნებაებისა დიდ ხანს არ გასტანდება.

ხშირად მოიძევიან ოქრო პირის სიტყვებში საუცხოვო მაგალითნი აღმძვრელად ვნებაებისა, როგორც წმიდა ზიარებაზედ მოგვითხრობს:

«მით ჯერ არს ყოვლად ფრთხილ იყო; რამეთუ არა მცირე ტანჯვანი ეგულების უკვე მათ, რომელნიცა უღ-

ირსოებითა გზიარებოდნენ. მოიხსენიე უკვე ვითარ იგი რისხვა მიმცემელსა და ჯვარმცმელთა მიემთხვია; განეკრძალე ნუ უკვე შენცა თანამდებ იქმნა ხორცისა და სისხლისა მისისა! მათ ხორცითა მოჰკლეს, და შენ შემწიკვლებულსა სულსა შინა შენსა მიიღებ, შემდგომად, ეგზომი სახიერებისა მისისა. რამეთუ არა ოდენ ჯერ იჩინა განკაცება, ცემა ყურიმალსა და სიკვდილი; არამედ კვალადცა თავსა თვისსა განგვიზავებს ჩვენ, არაოდენ მხოლოდ სარწმუნოებითა; არამედ ნამდვილსა უკვე ხორცსა თვისსა გვიმზადებს ჩვენ. რაჲ უკვე ეზების სხვა ვინმე უნდა იყოს უწმიდეს უფროს მისა, რომელიც მისის მსხვერპლითა იზრდებოდეს? რომელნი შარავანდნი უნდა უუბრწყინვალესობდნენ უმეტეს ხელისა მის, რომელიცა დაანაწილებს ხორცსა მისსა, და ენისა, რომელი ყოვლადვე შედებულ არს მეწამულად საშინელითა მით სისხლითა. მოიხსენიე უკვე ვითარ ღირსებასა ზედა აღმაღლებულ ხარ, ანუ რომელი ტაბლისაგან იმშვენებ? რომლისა იგი ხილვითა ანგელოზნიცა შეძრწუნდებიან და ვერ იკადნიერებენ პირის პირ განცდად ელვარე ნათელ ბრწყინვალებისაგან მისისა; ხოლო ჩვენ მის მიერ ვიზრდებით ერთობ, ერთ ხორც და ერთ სულ ვიქმნებით. ვინ მიუთხრას ძალნი უფლისანი, სასმენელ ჰყოს ყოველნი კურთხევანი მისნი? რომელი მწყემსი ნასხამითგან თვისთა გამოზრდის ცხოვართა თვისთა? რაჲ ვამბობ მწყემსა, არამედ მრავალ გზის დედანიცა შემდგომად შობიერობითის სალმობათა მისცემენ ძეთა თვისთა მეძუძურთა. ხოლო მან არა სადა თავს იდვა ამის ქმნად; არამედ თავადი გამოგვზრდის ჩვენ სისხლითა თვისითა და ყოვლადვე ხვევნითა შეგვიტკბობს ჩვენ... და აწ ნუ სადა ვმცონარობთ, რომელ ესზომ ღირს ვიქმენით საყვარულისა და პატივისა მისისა. არა ჰხედავთა ჩჩვილთ

ყრმათა რაჲსამ გულს მოდგინებითა ეკონებიან ძუძუთა ზედა დედათა თვისთა? რაჲსამ გულსმოდგინებითა მიე-ბერენ უგვე ბაგეთა ბაგეთა ზედა დედათა თვისთა? ესე ვითარი გულს მოდგინებითა მივეახლოთ ტაბლასა მას და მშობლიურსა სულიერს სასუმეველსა. უმეტესადრე უმ-ფროს ყრმათა უხვებითა მოვიღოთ მადლი სულისა წმ-იდისა, და მხოლოდ ოდენ ვსწუხდეთ რა არა განმოვიზ-რდებოდეთ საზრდელითა მით; რამეთუ არა არს საქმე კაცებრივის ძალისა, წინამდებარე, რომელმანცა მაშინ სერობა ჰყო, აწცა სამე იგი მოქმედობს. ჩვენ ოდენ მონათა აღსავალსა ვართ, განმწმედელი და მრჩობლ შთა-მკმაზველი იგივე არს.»

კ. რა არის სიტყვის დასასრული თუ დასკვნა?

მ. ბოლო ნაწილი სიტყვისა, რომელში მჭევრმეტყველი ცდილობს რომ ყოველი თავისი სიტყვა გასავლენი ჰყოს.

მით სიტყვის დასასრულში უნდა შემოამოკლოს ყოველი ფაქტები და აღბეჭდოს ძლიერად.

მაგრამ საქმე იცის, დროების დაგვარ მიეცემა აღსასრული სიტყვასა; წინადადების წინად შედეგზედ გარდასვლა სასაცილოა, კვალად მჭევრმეტყველებითი ლაპარაკიც სიტყვის გარემოების დაგვარ მშვენიერად უნდა შეერთოს სიტყვის დასასრულში, რომ მით მჭევრმეტყველიცა თავის სიტყვასთან ერთად სასიამოვნოდ დარჩესთ მსმენელთა.

## თ ა ვ ი თ.

### მჭევრმეტყველების სამივე სახის საკუთარნი ადგილნი ით

კ. შინაგანი და გარე ადგილების გარდა არიან სხვა მჭევრ-

მეტყველებითი გარჩეულნი ადგილებიცა?

მ. დიაღ არიან, რადგან ის რაც ვსთქვით აქამდინ მჭ-ევრმეტყველების საზოგადო ადგილებად იწოდებიან; ხოლო მჭევრმეტყველების საკუთარი ადგილებიცა არიან სამნი ესენი ვითარმედ: ადგილები შესხმითი მჭევრმეტყველებისა, ადგილები რჩევითი მჭევრმეტყველებისა, და ადგილები სამსჯავრო მჭევრმეტყველებისა.

კ. რომელნი არიან შესხმითი მჭევრმეტყველების საკუთარი ადგილები?

მ. პირველად: ნათესავი ანუ მამული, უკეთუ აზნაური იყოს საქებელი, ხოლო უკეთუ მდაბრე მოდგმითგან განაზნაურებულ იყოს; მისი კეთილ მოღვაწება და შრომა უნდა დავაფასოთ, რომლითაც განაზნაურებულ იყოს.

მეორედ: უნდა დავაფასოთ კარგი ზრდილობა საქებარისა, და უფროსი ერთად მისი სათნოებანი ვითარმედ: ღვთის მსახურება, მშობელთ პატივის ცემა, მოყვასის სიყვარული, სიმართლე ყოველთა მიმართ, მშვიდობის მყოფელობა, სიმდაბლე, მორჩილობა, გლახაკთ შეწევნა; სისაპატიურე და სხვაც.

მესამედ: სიმდიდრე, თუ კარგად მოიხმაროს, და დაზარალება არ დაეჩნიოს გულზედ ნაღვლად.

მეოთხედ შემოკლებითი უნდა დავიწყოთ მშვენიერ შეხედულება ზედ ქება და აგრეთვე ძაგებაც უშნო შეხედულობისა ზედა მისსა.

მეხუთედ: ბუნებითი ნიჭიერობაცა მისი იქება თუ რომ კეთილად მოიხმაროს სადამე, და შენაძენი ნიჭიერებაც საქებია, უკეთუ დიდის შრომით შეეძინოს.

მეექვსედ: საქებური საქმენია, განათლებულობა და სხვა მისთანა კეთილ-ცხოვ[illegible]ის სასარგებლო მიმართულობანი, რანიცა სახელს [illegible] ამსახურებენ კაცსა.

მეშვიდედ: დიდი ღირსება და გამარჯვება, რაც შეეძინოს.

მეერვედ: სიკვდილის გარემოებანი, თუ რომ სარწმუნოებისათვის ან ქვეყნის სასარგებლოდ და ანუ მამულისათვის სიკვდილი თავზე აედოს; კვალად კეთილ-მოქმედებანი მისნი, რომელნიცა ექმნას, კეთილ-მზრდელობა შვილთა, უადრესობა ხელოვნებათა, ანუ თუ სკოლა ან საავადმყოფო დაეფუძნოს და ანუ ამის მსგავსი საზოგადოების სასარგებლო რაიმე საქმე ექმნას სიცოცხლეში.

ამ გვარადვე იქება ქალაქი დამფუძვნელისაგან, სიძველისაგან, მდებარეობისაგან, ფორმისაგან, სივრცისაგან, მშვენიერი ფოლორცების და მეიდნებისაგან, დიდებული შენობაებისაგან, ხიდებისაგან, რკინის გზებისაგან, ნავთ სადგურისაგან, ძველის დავედრებაებისაგან, შეუვალის სიმაგრისაგან, უშფოთო მშვიდობიანობისაგან, კარგის გამგებლობისაგან, სიმდიდრისაგან, დიდი ამღებ მიმცემლობისაგან, გონიერის მემკვიდრებისაგან, სახელოვანის კაცებისაგან, გინდ იყვნენ, მრთელი და წმიდა ჭარისგან, ქვეყნის მოსავლიანობისაგან და მისთანანი.

რაც ქებაზედ ითქვა, იგივე შეიძლება ძაგებისათვისაც; სრულიად ქების უღირსად უნდა აჩვენოს საძაგებელი.

კ. რომელნი არიან რჩევითი მჭევრმეტყველების საგუთარი ადგილები?

მ. პირველად უნდა აჩვენოს სიმართლე წინადადებისა; რომ საქმე იგი არს შესაძლო და არ სწინაღმდეგობს ბუნებითს სჯულსა, არც სამოქალაქოსა, არც ღვთიულსა, და არც კაცთადებულობითი სჯულსა, არც ძველ ჩვეულებათა ანუ მოაზრებათა, რომელთაც აქვსთ გავლენა სჯულისა.

მეორედ აჩვენოს სარგებლოვანობა, რომელიც უმფრო შემგულიანებელია, ვითარმედ საქმე ესე არს სასარგებ-

ბიბლიოთეკა

ლო შესაშვენი, დიდად შესარაცხი და არა რაჲ [illegible] ლი და იწროება არს მას შინა და არცაღა შეუდგების მას იგი და ზღვევა (ზარალიცა) რომელიც მისი უგულვებელ მყოფელობისაგან წარმოსდგება; ხოლო უკეთუ უკეთე-სი რამ მოიძიოდეს კეთილ-ცხოვრებისა და კეთილ-დღე-ობისათვის, ისიც უმფრო უძლიერესად უნდა წარადგინ-ოს.

მესამედ: აჩვენოს დიდება და სიქადული, რანიც იქიდგან წარმოსდგებოდნენ; რადგან უმფრო უმრავლესნი დიდებ-ის ნატვრითა და სახელის გატეხის შიშითა, უმფრო შე-გულიანდებიან, ვირემც თუ სარგებლობითა.

მეოთხედ: არა თუ საქმის მოხერხიანებულობა მარტო, არამედ მისი სიადვილეც უნდა აჩვენოს. გარნა თუ ძნე-ლი იყოს, უნდა დაუმალოს სიქადული გამარჯვებისა სი-ძნელეზედა, კვალად რომ ვითარებისაებრ მსმენელთასა უნდა ილაპარაკოს რიტორმან, რადგან სხვა ნაირი სიტყ-ვით აღიძრებიან მდაბიურნი და სხვა ნაირითა ბრძენნი, სხვითა ჩვილნი გულითა და სხვითა გულ მაგარნი; კვალად მძიმედ და შესაბამად შეაფეროს სიტყვათა მოძრაობ-ანიც ასოთა და გვამისათა, რათა სიტყვათა და მოძრაობა-თა აჩვენონ ძალა ერთმანერთისა.

ესენი შეგონებაზედ; ხოლო რამის განძიებაზედ გამ-ტყუნებაზე ამისი წინამდეგის ღონის ძიებით უნდა მოიქცეს, უსამართლოდ, სავნოდ, უსარგებლოდ, შეუ-საბამოდ, ძნელად და შეუძლებელ რამედ, უნდა აჩვენოს საქმე იგი.

რჩევით მსჯელობაში შეიცვიან ზნეობითი სწავლანი და ქადაგებანიცა; მაგრამ ამაში მჭევრმეტყველმან უნდა აჩვენოს მსმენელთა მოვალეობა საძღითო და სამოქალაქო სჯულისა და რისხვის დაქადებითაცა შეაშინოს ისინი. და მერმე მოწმობების მოტანით, გინა ფაქტებით, უნდა აჩ-

ვენოს და დაუმტკიცოს მსმენელთა თუ ვითარ მშვენიერნი არიან მცნებანი, ბრძანებანი და სჯულნი ღვთისანი და ეკკლესიისანი! ვითარ ფრიად სასარგებლონი, და ვითარ ადვილად შესასრულებელნიც არიან ეს მცნებანი შეწევნითა ღვთისათა, და რაოდენს სიხარულს და ნუგეშის-ცემას აძიზეზებენ კაცთა, ამ ბრძანებაების ერთგულად შესრულება და ვითარ უხვნი სასყიდელნი დაპირებულნი არიან ღვთისაგან, თვისი სჯულისა და მცნების აღმსრულებელთათვის, ჯერედ ამიერი სულიერის აღთქმებითა და მერმე სახორციელოჲთა, მსმენელთა განმხნევების შემდგომ შეგონებითა, დასრულოს სიტყვა თვისი მოქადაგემან.

თ ა ვ ი ი.

## სამსჯავრო მჭევრმეტყველების ადგილები

კ. რომელნი არიან სამსჯავრო მჭევრმეტყველების საკუთარი ადგილები?

მ. სამსჯავროში მოსაუბრეს თუ შემწევარს (ადვოქატის) ორ გვარი თანამდებობა აქვს ვითარმც: ანუ მომჩივარობისა და ანუ მოსარჩლობისა, რომელნიც უნდა აღასრულოს სიმართლით და ფულის აღებისათვის არ უნდა გაამრუდოს სამართალი; არც უნდა იკისროს უსამართლო დავა და არ გახდეს მოვალე ვისმესი ღვთის წინაშე.

აწ მომჩივარმან ყველაზედ უწინ უნდა აჩვენოს ბრალიერობის სინამდვილე მოწინამდეგისა, მისი საქმების გარემოებისაგან, როგორც კაცის კვლა სისხლიანის ტანისამოსისა ან სატევარისაგან, იარაღის ტანისამოს ქვეშ შენახვისაგან, წინა წინ დამუქარებისაგან სახის ცვლილებისაგან, გაქცევისაგან და სხვაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორედ: თვალით მნახველი მოწმებისაგან.
მესამედ: ბრალიერის გამოტეხისაგან

გარნა უფრო ბევრჯერ ხდების, რომ ცხადი ნიშანი არა გამოსჩნდების რა ხოლმე; მაშინ კი მიაზრებით უნდა მოეპყრას მომჩივარი. მიაზრების ადგილები არიან წინამავალი, თან მიმყოლი და შემდეგნი გარემოებანი. როგორც კაცის კვლის სჯაში წინ მავალი გარემოებანი არიან, თუ დაბეზღებული (ნამჩივნი) მტრად უდგა მოკლულსა, თუ სიკვდილს დაჰქადებოდეს, თუ უსამართლობა ექმნას, თუ ჩვეულებად ჰქონდეს დაკოდვა და მისთანა უწესოების მოხდენა. თან მიმყოლნი არიან, თუ შეიძლებოდა დაუსჯელად გარდარჩენა? თუ მოჰკრეს ყური ყვირილსა და ვაი ვაგლახსა და სხვაც ამისთანა მიმკვლევანი. ხოლო შემდეგნი არიან შეშლილობა ადგილობრივ, გაქცევა, სახის გადაყვითლება, ტანის სამოსქვეშ საჭურველის ქონვა, მაგიბ მოკიბვა პასუხისა და მისთანანი.

მოსარჩლემ უნდა უარ-ჰყოს პირველად ბრალი ნაჩივარისა: თავითგანვე მისი გარემოებებისაგან შეუძლებელად აჩვენოს და მისი მდგომარეობის რიგ გარედადაც; ანუ მოდებულნი საქმენი წინამდეგისაგან არიან საეჭვონი, ანუ ცრუნი გარნა მომსგავსებულნი მართალსავით; მცირენი, გარნა გაზვიადებულნი და განივეროვნებულნი დიდ დიდ საქმებად; ამასთანვე საჭიროა ახსნაცა თვითეულად სიტყვათა წინამდგომისათა. მაგრამ თუ მართლა ბრალიერი იყოს, მაშინ მოსარჩლემ უნდა შეუმსუბუქოს ბრალი, რაც შეიძლებოდეს, აჩვენოს რომ ნამჩივნს ჰქონია სიმართლე გინა მიზეზი, ანუ მისცემია მას მისთანა მიზეზი, რომ იმ საქმეზედ მიწევნილა; მის გამო მოსარჩლე კარგად უნდა მოადგილე იყოს სჯულისა სამართლისა და ჩვეულებათა. ხოლო თუ სრულიად ვერ

შეიძლოს გამართლება საქმისა, ისე უნდა აჩვენოს ბრალიერი როგორც თუ ნებით არ მოსვლოდეს, შემთხვევით მოხდენოდეს, ან გამოშტერებულობით, ან სიმთვრალით, ანუ უიცი გულ-მოსულობით, ანუ სხვის შეგიზგიზებით და მისთანებითა.

ერთის სიტყვით, სრულიად სხვა და სხვა არიან ერთმანერთისაგან მომჩივარის და მოსარჩლის საქმები. ძნელის მეორის საქმე, უმფროს პირველისა. ამან უნდა აჩვენოს თავის წინასიტყვაში, რომ არ არის აღძრული სიმძულვარისა და სხვა ვნებებისაგან, არამედ მხოლოდ სიყვარულისა, სიმართლისა და ჭეშმარიტებისაგან. ხოლო მოსარჩლე უნდა ცდილობდეს თავისკენ მიიზიდოს სასმენელი მდაბალის სიტყვითა, საყონუმნოდ და საეჭოდ დასტოვოს სიტყვანი მოწინამღდეგისანი იმათ აზრში. მომჩივარმან ძლიერად და გარკვევით უნდა შეადგინოს მოთხრობა; ხოლო მოსარჩლემ რბილად და ალაგ ალაგ ზეწარ ქვეშ. მომჩივარმან თან და თან უნდა გააცხაროს ფაქტები და უძლიერესი ფაქტის ბეჭედი ზედ უნდა დაასვას; ხოლო მოსარჩლემ უნდა გაუმტყუნოს მოწინამღდეგეს უძლიერეს ფაქტებთაგანი ხოლმე, და არას დროს არ უნდა მოარიდოს პასუხის მგებელობა, არამედ თვითო თვითოდ გამოძებნოს მოწინამღდეგის ფაქტები და გულ გაუწვრილებლად მისდგეს იმ მოწინამღდეგის ფაქტებსა და გაუმტყუვნოს. ხოლო სიტყვის დასასრულში თვითეული სიტყვები ცხარედ უნდა მოაწყონ მომჩივარემ და მოსარჩლემანცა. პირველმან შურის საძიებლად და მეორემ სმენელების ლმობიერებაზედ აღსაძვრელად, რომელში მოსარჩლეს დიდ შემწეობას მისცემს დაბეზღებულის შრომა და კეთილ მოღვაწებანი. ესრეთვე რიტორმან უნდა გაშინჯოს თუ რომელსა ანუ ვითარსა სამსჯავროსა შინა მომჩივარობს ანუ მოსარჩლობს იგი,

და მისაებრ გამოძებნოს მიზეზნიცა (ფაქტები) სამჭევრ-მეტყველო ადგილთაგან, ადგილობრივის სჯულისა, დრო-ოჲსა და სხვა გარემოებათაებრ სამსჯავროჲსა; რამეთუ ერთსა დაბასა შინა შეიძლება მომჩივარობა რომელიმე საქმისათვის, რომლისაც შეუძლებელ არს ქმნა მეორე დაბასა შინა.

## ნაწილი მეორე.

## მჭევრ-მეტყველებრივი ფორმები (Figures) გინა სქესნი თქმაობჲთანი

### თავი ა.

### ფორმები ლექსებისა.

გ. აქამდის თვითეულ სიტყვის სხვა და სხვა ნაწილზედ და იმათ კანონების განმარტებაზედ დავრჩით, ახლა მითხარ მე არიან სხვა იმ ნაირი ნაწილებიცა, რომელნიც ყოველს ნაწილებს შეესაბამებოდნენ, და რომელნი არიან იგინი!

მ. გრამმატიკოსის ვალია შეუცდომელად გაასწყოს სიტყვები, და მხოლოდ ნივთიერს გამშვენებაზედ თვალი ჰქონდეს; ხოლო მჭევრმეტყველს ჭმართებს შესანიშნი მშვენიერება რამე დასძინოს იმაზედა. ამის გამო უნდა იხმაროს იმან ის ფორმებიცა, რომელთაც სიტყვის ყოველს ნაწილში აქვსთ ადგილი.

გ. რომელნი არიან ის ფორმები?

ფორმები ესენი არიან ახალ ნაირი მიმართულობანი და ახალ ნაირი გამოთქმანი სიტყვისა, რომლით მიეცემა სიტყვას ზედმოქმედება გინა გამკვეთილობა მაიგან ზოგთ ჭქვიანთ ლექსების ფორმები მაგალითად: აღხდა, ამაღლდა, ალფრინდა, როგორც რუსთაველი დახოცვის მაგიერ ამბობს: «კაცს შუბი ვჰკარ ცხენი დავეც მართ ორნივე მიხვდნენ მზესა.» — ჩაიცვა ტანსა აბჯარი ქცევითა ვეფხვებრ მკრჩხალითა — ვითამც სასწრაფოდ. და კვალად ზოგთაც ჭქვიანთ აზრის ფორმები სიკვდილი (ქრისტესი) იქმნა სიკვდილი სიკვდილისა. ვითამც, ცოდვის სიკვდილისა. «მათვე რისხვით გარდუბრუნდათ ბორბალი და სიმგვრგლე ცისა.» ვითამც კარგი ცხოვრება ავად შეეცვალათ.» — მათნი ყმანი ამტირნა, მისნი ყმანი ამაყარნა.» იგინი დაალონა და თავსნი გაახარა» და სხვაც ამისთანები.

კ. რამდენი არიან ფორმები ლექსებისა.

მ. უფროსიერთი ოთხნი: დამატება, გადაფარება, მრავალ კანკლედობა, და მსგავს ხმოვანება.

კ. რა არის დამატება?

მ. განმეორება იმავე და ანუ სხვა ერთ მნიშვნელი ლექსისა, სხვა და სხვა ფორმით, მაგალითად: განმეორებით თავში.

ცოდვანი გვყოფენ ჩვენ მონად სიკვდილისა, მიზეზითა ცოდვისათა დავეცით ჩვენ დასაბამობითისაგან სიმართლისა; შეუდეგით რა ცოდვასა, განვეშორენით ღვთისაგან, ვიმოქმედეთ რა ცოდვა; ღირს ვიქმენით მით საუკუნოჲსა ჯოჯოხეთისა; არა მლტოლვარენი ცოდვათაგან, პყრობილ ვიქმენით მახითა ეშმაკთაგან, ცოდვამან დანთქმულ გვყვნა პირად პირადთა სენთა და შეცდობილებათა შინა; ცოდვითა წარვჰკსწყმიდეთ მადლი ღვთისა და მემკვიდრობაჲ ზეციერისა სასუფეველისა; მაშა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



სადამე შენ, ჳოი ცოდვაო, რომელმანცა ესოდენი ვნება დ ბოროტი გვამიზეზე ჩვენ, ამიერით შორს უნდა ვიყოთ ჩვენ შენგან მარადის.

«გული კრულია კაცისა ხარბი დ გაუძღომელი
გული ყამყამად ყოველთა ჭირთა მთმო ლხინთა მდომელი
გული ბრმა ურჩი ხედვისა, თვით ვერას ვერ გამზომელი
ვერცა პატრონობს სიკვდილი, ვერცა მეფეა რომელი.»

შოთა რუსთაველი.

«ესე არს სარწმუნოება მოციქულთა, ესე არს სარწმუნოება მამათა, ესე არს სარწმუნოება მართლ მადიდებელთა დ ესე სარწმუნოება დაამტკიცა კათოლიკე ეკლესიასა შინა, წმიდამან სამებამან.» სჯულის. კანონი.

კვალად განმეორებით ბოლოშიდ, მაკალიიად: ვინ განჰხადა პირველი მამა ჩვენი ადამი მარად სამხიარულო სამოთხისაგან ედემისა? ცოდვამან ურჩობისამან. ვინ შეაყენა წყევასა ქვეშე ქვეყანა კეთილ ვენახიერი დ ნაყოფიერი? ცოდვამან ურჩებისამან. ვინ შეჰკრა დ შემჭსჭვალა ძე ღვთისა ჯვარსა ზედა? ცოდვამან ურჩებისამან.

«რამეთუ სამოთხესა შინა განეწესა მარხვა: პირველი მცნება ესე მიიღო ადამ, არა ჭამად ხისა მისგან ცნობადისა; რომელ ესე მცნება იყო მარხვისა: უკეთუმცა მაშინ ადამს დ ევასა ემარხათ, არღამცა ჩვენდა სახმარ იყო მარხვაჲ; ხოლო ვინათგან მათ არ იმარხეს, გამოვარდდით სამოთხით დ მიერითგან სახმარ იქმნა ჩვენდა მარხვაჲ.» სჯულ. კან.

სერობასა შენსა ქრისტე ღმერთო, მოწაფეთა შენთა წინასწარ ეტყოდი ვითარმედ: ერთმან თქვენგანმან მიმცეს მე. ხოლო უსჯულომან იუდა, არა ინება შეგონებად.

იოვანე გკითხა რა, უფალო, ვითარმედ მიმცემელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შური ვინ არს, და შენ მიცემითა პურისათა უწყინე იგი; ხოლო უსჯულომან იუდა არა ინება შეგონებად.

ბჳალად არეული განმეორებითა:

«ბრძენი ვინ ბრძენი, რა ბრძენი ხელი ვითა იქმს ბრძნობასა.»

რუსთაველი.

ბჳალად მსგავსი მნიშვნელობის მქონე ლექსების განმეორებითა:

რომელიცა არა შორავს მიზეზთაგან ცოდვათასა, ვერ სადამე შემძლებელ არს ყოფად თვინერ ცოდვათა.

მოთმინებითა და სულ-გრძელობითა, სიწმიდითა და უბიწოებითა, მოყვასის სიყვარულითა და კეთილი ყოფა-ქცევითა, სიმდაბლითა და მორჩილებითა, და მრავალი სხვა და სხვა სახის ღვაწლითა და სათნოებითა აღყვავდებოდიან ქრისტიანენი წინანდელისა ეკკლესიისანი.

ნელ-ტფილებამან მცონარებაჲ, მცონარებამან, თანაწარხდომაჲ სამღთოთა მცნებათა, თანა-წარხდომამან მიდრეკაჲ ცოდვისადმი, მიდრეკამან საქმეჲ ცოდვისა, ხოლო საქმემან ცოდვისამან საუკუნო წარწყმედაჲ იმოქმედა ჩვენ შორის.

ეგოდენ უსარგებლო არს ანგაარისა მიმართ იგი, რომელი აქვს, რაოდენ იგი, რომელიც არა აქვს.

არა თუ ვიმყოფები ჭამისათვის, არამედ ვჰსჭამ ყოფისათვის.

თავში ან ბოლოში მყოფი: (ერთი ზმნის ძიებანი) მონებასა შინა დაადგინებს ვეცხლი ანგაარსა, დედაკაცი არაწმიდასა, საჭმელი ნაყროვანსა, ღვინო მემთვრალესა, და ეშმაკი ცოდვის მოყვარესა.

კრძალულება ყრმათა, მორცხვობა დედათა, სიმართლე მსაჯულთა. ტკბილ-მქცეველობა წინამძღვართა და მორჩილობა მონაზონთა შეამკობს.

«მის მონისა არა ესმა სიტყვა არცა ნაუბარი,
მათ ლაშქართა ზახილისა იყო ერთობ უგრძნობარი,
უცხოდ რამე ამოსკნოდა გული ცეცხლთა ნადებარი,
დ~ ცრემლსა სისხლი ერეოდა, გასდის ვითა ნაგუბარი.»

რუსთაველი.

არა რამე არს ამას ცხოვრებასა შინა უფროს სასარგებლო დ~ უკეთილესი ვიდრე ცხოვრების კეთილი საქმეებითა, არცა უმყუდროესი დ~ უშიშარი, ვიდრე ცხოვრება თვინიერ ცოდვისა, დ~ არცა უნეტარესი დ~ უსაყვარლესი, ვიდრე ცხოვრება მადლსა დ~ მეგობრობასა შინა ღვთისასა, რომელიც შეიძინება კეთილი დ~ უცოდველო ცხოვრებითა.

კ. რა არის გადაივარება?

მ. დატოვება სიტყვის რომელიმე ნაწილებისა ნაირნაირის ფორმებითა, როგორც დაჰხსნა, დაარღვია, დააქცია, მოაოხრა. აქ ისმობის კავშირი დ~.

გამოიძია (მავნე) აღმოხნდა, განიბნატია, მოისრა ხმლითა. მაკაბ.

ფორმები ლექსებისა

სიყვარულითა მოტყინარითა, მგზნებარითა გულითა დ~ მხურვალითა სასოებითა ითხოვდა მოტევებასა. ვითამცა: ძლიერი სიყვარულით, დიდის სასოებით დ~ ყოვლითა გულითა.

სული მონაზონებითი საზოგადოებისა არს მორჩილება. ვითამცა: სიმტკიცე ანუ კავშირი საზოგადოებისა მის.

დააკლდება კვლავ ზმნა; მან გულის-ხმობით, თვით გულის ხმობით კარი სიბრძნისა სულელთა ცნობად. ვითამც გაღექსა.

კ. რა არის მრავალ კანკლედობა?

მ. განმეორება იმავე ლექსისა სხვა და სხვა ბრუნვაში ანუ ზმნის სხვა და სხვა დროში და სქესში.

«და სამნი ლორნი შეცვივნულ იყვნენ ვენახსა შინა და შესულ იყვნენ შინაგან ვენახსა, ჰხრწნიდნენ ვენახსა მას და ბუგვიდნენ...» ბუზანდი.

რომელსა მოჰზრახობ, რომელსა იქმ, და რომელსა სტრფვი, ყოველსა სადიდებლად ღვთისა მოქმედებდე.

შენ დასნი ანგელოსთა და ანგელოზთ მთავართანი, შენ გუნდნი წინასწარმეტყველთანი, და კრებულნი მოციქულთანი და ყოველთა წმიდათანი პირად პირადითა შესხმითა გაქებენ ჰოი ყოვლად წმიდაო ღვთის მშობელო ქალწულო მარიამ!

რომლისა მიმართ ტკბილ არს სიყვარული სამღთოჲ, მასა მიმართ, გემიერ არს მცნებანიცა მისნი.

დედაკაცი არს მახვილი ეშმაკთა, საბრხე ჭაბუკთა და კლდე დაცემისა, ნების მიმდრეკ გონებითა მისდამი მხედველთა.

თვინიერ ვნებათა ისურვებდა და სასურველ იყო, იწადებდა და საწადელ იყო, იქებოდა და საქებელ იყო, ნატრიდეს და სანატრელ იყო. ქართლის. ცხოვ.

კ. რა არის მსგავს ხმოვანება?

მ. ლექსებისა ანუ მათი დაბოლოვებისა ურთიერთისათანა მსგავსება, როგორც:

(უკავშირო) ჰოი ქალწულო, შენ ხარ ალ-შემოსილი მაყვალი, ბჭე განუვლელი, გიხაროდენებული, დიდებული, ელვებული, ვარდ-აღყვავებული, ზამბაკ-მარგარიტოვანი, თვალ-პატიოსანი, ირისე საშვიდებელი, კრეტ საბმელი, ლომთ-საშუალ-საყდარი, მტილი დახშული, ნეტარებული, ოქროვან მოსილ, პირად-პირადად შემკულ, საწმისი ცვაროვანი, ტაძარი განწმედილი, უფროსად კურთხეული, ფიცარი ღვთივ-დაწერილი, ღვთის-

მშობელი, ყოვლად საგალობელი მშვენიერ-ჩინებული

## თ ა ვ ი   ბ.

### ფ ო რ მ ე ბ ი   ა ზ რ ე ბ ი ს ა.

კ. რომელნი არიან ფორმები აზრებისა?

პ. ყოველი სიტყვა ჩვეულებითი ლაპარაკის გარეთ გამოთქმული, გინდ გარდასხვაფერებულად იყოს იგი თქმული, გინდ გარდაქართულებულად და თუ გინდ სხვა გვარის სახით.

კ. რა არის გარდასხვაფერება?

პ. ლექსის მნიშვნელობის სხვა მნიშვნელობაზედ შეცვლა, მსგავსებისა ანუ შეფერებულობის დაგვარ, როგორც წოდება მელნის ტბად თვალებისა, კიშრის სარებად წამწამებისა, ღვარძლის მთესველად, მზრახვამკილავის გინა პირმოთნესი და სხვაც.

ორთავე ლაშქართა ერთმან ერთს შეუტიეს, თუ ჰსთქვა ორნი მთანი ბარისანი ერთმან ერთსა შეეტაკნენ, მათ შუა ელვად ქორაფისა ისრები არწივისა ფრთოსანი პირბასრნი მიდიოდეს და მოდიოდეს; საყვარელნი მოციქულნი (ელჩები) იყვიან რომელ გულსა შიგან დაესობოდიან და თვალთა ზედა, სხვა ადგილი არა მოეწონებოდა, და რომელსაცა სახლსა შინა მისთანა მოციქული მივიდოდის, მის სახლისა პატრონსა და მასპინძელსა კიდეც წაიყვანდის, ესრედ გაძნელდა ომი რომელ საუკუნო თვალით დაინახეს . . . ზოგთა ჯაჭვსა შინა ხმალი შევიდოდის ვითა წყალი, და ზოგსა თვალთა შინა ისარი შევიდის ვითა ძილი, ზოგსა გულსა შინა ვითა სიყვარული . . .

დრუშელსა ჰქვანდა ლურჯსა ბასრი ხმალი, წვიმდა და ღვარი მისი წითელი იყვის; ომსა შინა ისარი მკერვალ-

ნა ჰყვანდა, მკერვალისაებრ შეკერის ხორცი უნაგირისა... მათი ალერსი შუბი, ხმალი და ისარი იყო, ერთმანერთისა მოყვარე მტრისა უარესი იყო შუბი შამფურს ჰყვანდა, მწვადის ნაცვლად კაცი ეგის, და მიწა სისხლისა დინარეობითა საწნეხელს ჰყვანდა. თუ ჰსთქვა სიკვდილი ძლიერი ქარი იყო რომე კაცსა ვითა ხისა ფურცელსა ჩამოჰყრიდა, და მეომართა თავი ბურთისა ჰყვანდის მოედანსა შინა და მათი ტანი ბტვერთა შიგან წამოქცეულ ხეთა. ს. თმოგველი.

კ. რა არს ნაცვალ სახელობა?

მ. როცა მიზეზი საქმის მაგიერ დაიდება ანუ საქმე მიზეზის მაგიერ ანუ შეცული შემცმელის მაგიერ, ან მის წინააღმდეგ, ანუ დრო გარდასავალის მაგიერ, და ანუ ამ ნაირში გარდმოტანებაები: როგორც ძალ-გიძსით შესმად სასუმელი, რომელი მე მეგულების შესმად. სახარ. ე. ი. რაც სასუმელში არის. ჰქონან მოსე და წინასწარ მეტყველნი. ვითამც, წერილნი მათნი.

ისმენდა მისსა ვითარ იგი იკითხვიდა ესაია წინასწარმეტყველსა ე. ი. წიგნსა მისსა. ჰსძლო მაკედონელმან ვითამც, ალექსანდრემ.

წარდგომად წინაშე მხცოვანთა. ე. ი. მოხუცებულთა.

დაიმონებდა ამპარტავანსა და ფიცხელსა განდგომილებასა მათსა. ე. ი. განდგომილ კაცთა. მომზრახობდა წინასწარმეტყველი. ვითამც, იესია.

წარტაცებულ იქმნა რათა არა უკეთურებამან ცვალოს გული მისი. ე. ი. უკეთურთა.

კაცები გმონებს და გაპატრონებს ვეფხვთა კლდოვანი, ლომთა შამბნარი. ჩახრ. კლდოვანთ მკვიდრნი ვეფხვებრნი და შამბნართ მკვიდრნი ლომებრნი. მტერმან გარე მომიცვა ჩვენ, ვითამც მტერთა.

ვერ მიგწვდნენ ქებად, თვითვე სხდნენ ვნებად, პლატ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ონის ენა, ვირგილის ქნარი. ჩანჩ. ე. ი. სიბრძნის მოყვარება და მოლექსობა.

არ ზარ მოსულესა, ეთქვა მოსულსა, ქაფურსა ნახამ გაბასრებულად. ჩანჩ. რა ქვეყანასაც (ინდოეთს) ქაფური გამოდის.

უსჯულოებანი განიპატიჟნეს და ურჩებანი მოისპეს. ვითამც, უსჯულონი და ურჩნი.

«გარდაიხვეწა მესხებში, იმერლებში, ქართველებში, კახელებში, მეგრელებში. ე. ი. იმათ ქვეყანასა.

«წარღვნა საუკუნოება ნოისა. ე. ი. კაცნი მისის საუკუნოებისა.

«ყოველი ასაკი ყრმათა მოსწყვიტნა. ე. ი. ყოველნი ყრმანი.

«შეურაცხყო გვირგვინი. ე. ი. მეფობა.

გ. რა არის მიმხდურობა?

მ. თვითქმის ნაცვალი სახელისავით უნდა იხმარონ, ნაწილი მრთელის მაგიერ, ნათესავი სახის მაგიერ, მხოლობითი მრავლობითის მაგიერ და სხვაც ეგრედ როგორც:

«აჰა ესერა ფერხნი დამფლველთა ქმრისა შენისა კართა ზედა, განგიყვანონ შენცა.» საქმე მოც.

«ამისთვისაცა უმცირესსა ძალსა არწმუნებენ კაცნი სულთა თვისთა.» სიბრძ. ე. ი. ხომალდსა.

«და იხილოს ყოველმან ხორცმან მაცხოვარება ღვთისა, რამეთუ უფალი იტყოდა.» ე. ი. ყოველმან კაცმან. რომელი არის სახე ნათესაობითი ლექსისა ამის, ხორცმან.

«ნუ იყოფით ვითარცა ცხენი და ჯორი, რომელთა თანა არა არს გულის ხმა.» ფსალ. ე. ი. პირუტყვივით.

«უძლური იტყოდედ ვითარმედ ძლიერ ვარმე, მშვიდი იყავნ მებრძოლი. ე. ი. უძლურთ შეაგულიანონ, წყნარნი ჰბრძოდნენ.»

«მოსრვად ქეტელი და ამოურეველი. ე. ი. ქეტელნი და ამოურეველნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თ ა ვ ი ზ.

გაცინვა — ჰასრობა — სესხვა — სახელმზადებლობა.

კ. რა არის გაცინვა? თუ კიცხვა?

მ. რაც ლექსი წინააღმდეგი აზრისაა. როგორც:

«ვინ უარჰყოფს ნერონისათვის დიდის ქნიასაგან შთამომავლობასა, რადგან მოჰკლა მამა და მოჰკლა დედაცა თვისი.»

აგრეთვე მჭაში ჩავარდნილ კაცს ამხანაგი გასცინის.

«ეგრე უთხრა ამხანაგო, იყავ მანდა მომიცადე.
წავალ თოკთა მოსასხმელად, მწადსო თუცა ამოგზიდე,
მას ქვეშეთსა გაეცინა გაუკვირდა მეტად კიდე,
და შემოჰყივლა არ გელოდე, სად გაგექცე, სად წავიდე?
რუსთაველი.

«ხოლო შენ სთქვი გულსა შინა შენსა ზეცად მიმართ აღვიდე ზედათ ვარსკვლავთა ცისათა დავსდვა საყდარნი ჩემი; დავსჯდე მთასა ზედა მაღალსა მაღალთა ჩრდილოდ, აღვიდე ღრუბელთა ზედა და ვიყო მსგავს მაღლისა; ხოლო აწ ჯოჯოხეთადმდე შთახდე და საფუძველთა მიმართ ქვეყანისათა.»

კ. რა არის ჰასრობა?

მ. მეტის მეტი განკიცხვა: როგორც:

ეჰა რომელი დაარღვევდი ტაძარსა ამას და მესამესა დღესა აღაშენებდი, იხსენ თავი თვისი და გარდამოხედ მაგიერ ჯვარით... სხვანი აცხოვნა თავი თვისი ვერ ძალუძს ცხოვნებად?

ამასთან შეიცვის ლანძღვაცა რომ მჭევრმეტყველი წა-

აყვედრებს ლანძღვითა როგორც, იე. ნათლის მცემელმან ურიათა:

«ნაშობნო იქედნეთანო! ვინ გიჩვენნა თქვენ სივლტოლა მერმისა მისგან რისხვისა?»

უთხრა: მოციქულსა აწ რა შემოთვლილობა მოვისმინე უგემოა და გველისა ზარსა ჰგავს, შენ წავედ უტვინოსა და დამჭალს მოაბადს ეგრე უთხარ ჩემ მაგიერ, თუ ფათერაკისა მოედანსა შიგან ნუ ჩაიგდებ ბურთსა, ჩემითა თქმედითა უსარგებლოსა ჭირსა ნუ ნახამ და შენსა საჭურჭლესა ცუდსა საქმესა უკან ნუ წააგებ. ს. თმოგ.

არის გარდათვარებული ყვედრებაცა. როგორც სწერს პავლე მოც. კორინთ:

«მაგასა ზედა არ გაქებ თქვენ. ე. ი. გაძაგებ.

«რაცა მიწვრთიხარ იწვართე, გკადრო უწვრთელი ვირია.» რუსთაველი.

ოქრო პირსაც ხშირად თავის თავი შეაქვს და სხვებთან ერთად იყვედრება.

«რაზომ სიბოროტითა აღვსილვართ და არა ვჰგრძნობთ? ურთიერთითა ვარდებით, ურთიერთითა ვსჭამთ, ვსცოდამთ, ვუჩივით, შევასმენთ, დიდება მოყვისთა გვშურს.»

კ. რა არის სუსხვა?

მ. ერთის რამის გარემოებასა სხვას გარდავსცემთ მიყენებისა ანუ მსგავსების დაგვარ, როგორც ამბობს კიკერონი:

«შთააგდო იგი მარადმწუხრს ღრუდესა შინა.» (ბნელესა) და ვირგილი «რამდენისამე მკის შემდგომ ვნახო ხელმწიფობა ჩემი.» ე. ი. ზაფხულისა, ზაფხულთ წელიწადი.

ჰხედავცა ჩემო სოფელო რათა საქმეთა მქმნელისა? რაზომა ჰხნათობს სინათლე ჩემთვის ეგრეცა ბნელია. რუსთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ. ი. ყოველი რაც ლხინი და სიხარულია, ჩემთვის ჭირად არისო.

«მათ ვერა მარგეს მე გულსა ბინდი დამეცა ბნელისა,
სხვამან ვერავინ შემატყო დევნა ცეცხლისა ცხელისა.»

რუსთაველი.

ქ. ი. ნაღველი და ჭირი.

კ. რა არის გადაქართულება ანუ სხვა სიტყვაობა? (ალლეგორია)

მ. სიტყვა მრავალ გარდასხვაფერებულობით მოწყობილი, გინა სიტყვა რომელი წარმოადგენს ერთს რასმესა რათა მით აღნიშნოს და შეატყობინოს სხვა რამე, ვითარცა ქვემორედ წარმოდგენილი ვენახი ჰნიშნავს ისრაელის გვარსა. მაგალითად:

«ვენახი ეგვიპტით სცვალე, განასხენ წარმართნი და დაასხენ იგი, გზა უყავ წინაშე მისსა და დანერგენ ძირნი მისნი და აღავსო ქვეყანა: დაფარა მთანი ჩრდილმან მისმან, და ბაბილოთა მისითა ნაძვნი ღვთისანი; მისწვდნა რქანი მისნი ზღვადმდე და მდინარედმდე მწვერვალნი მისნი. აწ რად მოჰხადე ზღუდე მისი? მოჰყურძნიან მას ყოველნი თანაწარმავალნი გზისანი; განჰრყვნა იგი ეშვმან მაღნარისამან და ბრანგვმან (ნადირმან) ველისამან მოძოვა იგი. უფალო ღმერთო ძალთაო, მოიქეც გარდმოიხილე ზეცით და იხილე, მოხედე ვენახსა ამას და დაამტკიცე ესე, რომელ დაასხა მარჯვენემან შენმან.»

ფსალმუნი.

მოქცევამან დამთქა მე. ვითამც დევნამან დამთქა. ნუ დამთქამნ მე მორევი წყალთა, ნუმც შთამნთქამნ მე უფსკრული, ნუმცა შეიყოფინ ჩემ ზედა ჯურღმული პირსა მისსა. ვითამც დევნანი და განსაცდელნი. ცეცხლი აღატყდა იაკობსა შორის. ვითამც პატიჟნი განხმირდნენ ისრაიტელთა შორის.

«ღრუბელნი ურწყულნი ქარისაგან მიმოტაცებულნი, ხენი ზამთრისანი უნაყოფონი, ორგზის მოწყუდარნი ძირითურთ, მოფხვრილნი, ღელვანი ზღვისანი განძვინებულნი, რომელნი ჰერად აღაფრქვევენ თავისა თვისისათვის სირცხვილსა, ვარსკვლავნი ცთომილნი, რომელთათვის წყუდიადი იგი ბნელისა საუკუნოდ დამარხულ არს.» იუდა კათოლ.

ესრეთვე ალლეგორიად შეირაცხებიან კვალად იგავნი, ანდაზანი, და ზღაპრული ლაპარაკნი მაგ: იგავნი ეზოპოსანი, იგავნი და ზღაპარნი სიბრძნე სიცრუის წიგნში მოხსენებულნი და სხვანი.

განსაკუთრებულობის და განსხვავებების მეტაფორიული ლაპარაკის კანონი ერთი და იგივეა, მაგრამ აქ უნდა უფრთხილდეს რიტორი რომ აქეთ იქით არ გადიტან გარდმოიტანოს, არამედ სიდამაც, რისაგანაც და რა ნაირადაც დაეწყოს მსგავსება, ისევე დაასრულოს.

ამა მეტაფორიული ლაპარაკით სიყვარული მიემსგავსების კავშირსა, და ითქმის კავშირი ერთობისა, ყმაწვილი მიემსგავსების ახალ ყვავილსა და სხვანი.

გ. რა არის სახელ მბაძებლობა?

მ. მეწყობა ლექსებისა აზრისანა, როგორც, ჭივჭივი სირისა, ზზუვილი ფუტკრებისა, ზრაგუნი ფიცრისა, ჩხაპუნი წყლისა, ჭრიალი კარისა. ეკლისა თუ წაბლის ტკაცა ტკუცი ცეცხლზედა, შრიალი ხის ფოთლებისა, წიწინი ქარისა, ზუზუნი და სხვანი.

«დაკვეთებასა ორთაგვეთგან კერძოთა იყო ფართა ძგრანი და მახვილთა ხდილობანი და ისართა ტყორცნანი და ოქროვანთა სამოსელთა ელვარებანი. ბ. მაკაბ.

«დევთა ყვირილი ზახილი ზეცამდინ აიწეოდა
მათითა ლახტის ცემითა ქვეყანა შეირყეოდა,
მზე დააბნელეს მტვერითა, ალვის შტო შეირხეოდა,

და ასნი ერთ გვერძთ მომიხდეს, დავიწროწე დაიხურდომოდ
ანაზდად ცხენი გაქუსლეს, მათრახმან შექმნა წრიალი
რა ნახეს კარნი გააჴვრეს ქალაქით გაჴდა ზრიალი,
სამთავე სამკნით მიჰმართეს, თავსა მით უყვეს რიალი
და იკრეს ნობსა და დაბდაბსა, შეიქმნა ბუკთა ტკრციალი.
რუსთაველი.

ასეა: ბუ, კაჭკაჭი, ყვავი, ყორანი, შოშია, წყერი, გაგაბი, ჭივჭავი, როჭო, მერცხალი და მისთანანი.

## თ ა ვ ი დ.

### ნაცვალ სახელობა და გარმოვლით მეტყველება — ზომის გარდმეტებულობა — გახმამაღლება.

კ. რა არის ნაცვალ სახელობა თუ გარმოვლით მეტყველება?

მ. სახელის მაგიერ სხვა საზოგადო სახელის განსაკუთრება. როგორც: საყვირი ტარსონისა (პავლე); ბერწის ძე (იე. ნათლის მცემელი); ძე წარწყმედისა (იუდა), ანუ ვეფხვის ტყაოსანი (ტარიელი); თმოგველი, რუსთაველი ანუ პოეტი (შოთა); ფილოსოფოზი (ს. თმოგველი).

ამავ ნაირად იქმნების გარდმოვლით ლაპარაკიცა: ვითამც, რაჲცა მოკლე სიტყვითა შეიძლება ითქვას, იმას რიტორი წარმოსთქვამს ვრცლად და მრავალი ლექსებითა. მაგალითად:

«რა წყნარსა დუმილსა ყოველნი შეეპყრნეს და ღამე თვისთა სრბითა განახევრდებოდა. ე. ი. რა დაღამდა.»
სიბრძნე.

«ხოლო იგი წარვიდა წინაშე უფლისა ნათელსა მას მიუაჩრდილებელსა ყოველთა წმიდათა თანა, რომელნი

საუკუნითგან სათნო ეყვნეს ღმერთსა და მეოხ არს ცხო-ვრებისათვის სულთა ჩვენთასა წინაშე სამებისა წმი-დისა . »

«რა ჭირი კაცსა სოფელმან მოუთმოს მოუთმინამან,
ქაცვი ლერწამმან ზაფრანა იმსგავსოს ფერად მინამან,
ავთანდილ მისმა მხსენებმან, ლაწვი ცრემლითა მინამან,
და წვრილად უამბო ამბავი მან მისმან მონას მინამან . »

«მე ვითა ვსთქვა უებრობა, სიკეთე და ქება მისი,
კაცი იყო საქმისაცა შესაფერი შესატყვისი,
ასრე უნდა სამსახური, ჰკავიდოდეს ვისცა ვისი,
და ოდეს კაცსა დაეჭიროს, მაშინ უნდა ძმა და თვისი . »

რუსთაველი .

«ტკბილსა მას უღელსა მონაზონებისასა მქედი თვისი მოუდრიკა . »

გ. რა არის ზომის გარდამეტებულობა ?

რიგისგარედ სიტყვის ძალის გარდამეტება ანუ შემცი-რება .

«მართლიად ვიდრემე გვიღირს მრავალი ვაება, მრა-ვალი გლოვა : დაღათუმცა ყოველი ქვეყანა ზარგანხდით გვიგლოვდეს, ქვანი, ძელნი, ხენი, ნადირნი, მფრინ-ველნი და თევზნი, და ყოველი სოფელი ერთბამად სამ-წუხაროითა ხმითა მგლოვარენი გვიგლოვდნენ, რა სადა ღირს მგლოვარება მგლოვარებად . »

იე . ოქრო პირი .

«რა ესმოდის მღერა ყმისა, სმენად მხეცნი მოვიდიან,
მისვე ხმისა სიტკბოსაგან წყლით ქვანიცა გამოხდიან,
ისმენდიან განჰკვირდიან, რა ატირდის ატირდიან,
და იმღერს ლექსთა საბრალოთა, ღვარისაებრ ცრემლნი სდიან,
მოვიდიან შესამკობლად ქვეყნით ყოვლნი სულიერნი,
ტყით ნადირნი, წყალში თევზნი, ზღვით ნიანგნი, ცით

ფრინველნი, | ბელნი,
ინდოთ, არაბთ, საბერძნეთით, მაშრიყნი და მაღრი-
და მოფრანგენი, რუსნი, სპარსნი და მისრეთით ეგვიპ-
ტელნი. შოთა რუსთაველი.

თამარ შენ გიცნობ, ასულად გიცნობ, მზე დაუვალი
შუქ მომფინარი, | მაღნარი,
ელვა ეთერი, და სიტყვიერი, დარმანის ველი, ედემს-
არს ცნობად მოთხე, ვითა სამოთხე, წყლად წყალი მრ-
წყველი მუნჯე მდინარი,
სიუხვედ ზღვებრი, სიმაღლით ცებრი მდაბლად მოწყა-
ლე, ჭკრეტად ნარნარი,
მძლეთა მძლეველი, თვით უძლეველი კედრით კედრამდი
მძლედ სასმინარი. ჩახრუხიძე.

«და არიან სხვანიცა მრავალნი, რომელ ჰქმნა იესომ, რომელნი თუმცა დაიწერებოდეს თვითეულად არცაღა ვჰგონებ ვითარმცა სოფელმან ამან დაიტია აღწერილი წიგნები.» იე.

არა რაჲ იყო სხვა კეთილი, რაცა იგი არა იყო მის შორის. ქართ. ცხ.

კ. რა არის გახმამაღლება?

მ. ლაპარაკი გამომცხადებელი უფიცხელესის გულის მღელვარებისა.

«რა მეფემან მოისმინა დაიზახნა მეტის მეტნი.
მოსთქვამს იტყვის ვაჲ გაზრდილო ვეღარ გიჭვრეტნ
თვალნი რეტნი! | ტნი.
პირის ხოკით წვერის გლეჯით გააკვირნა მისნი მჭვრე-
და სად წაჰხვედ და სად დაგკარგენ სინათლისა ეგე სვეტნი.
შოთა რუსთაველი.

«ტირილი და ზახილი დაიწყო და მტირალი ძიძასა ეუბნებოდა: დღეს ლურჯსა ცასა ქვეშე და შავსა ქვეყანასა ზედა ჩემგან უმფრო საბრალო და გულ წყლული არა ვინ

არისო და არ ვიცი თუ ჩემი ჭირი ვის მოვახსენო, ჩემი ღონე ვისგან ვსძებნო, ასეთსა ჟამსა სამართალი ვის ვსთხოვო და უსამართლოსა მომქმედისა საწუთოსა-გან ვის შევსჩივლო ? სარქის თმოგველი.

«ჭოი მამაო წმიდაო! მთასა მაგას საკვირველსა, რომელი ეგე ცხოვრებითა საკვირველითა იპოვები ვითარცა სირი მხოლო სართულსა შინა მცირესა და ქვაბსა შინა იწროსა და ფიცხელსა, მსგავსად ტრედისა მის უმანკოსა და გვრიტისა უბიწოსა.

ამასვე ეკუთვნის ხმის მიცემა, რომელიც სიტყვის დასასრულს იხმარება და იგივე გახმამაღლების ძალა აქვს.

როგორც თმოგველი და რუსთაველი აჩვენებენ თავ თავიანთ ლაპარაკში ქვეყნის უბედურობასა.

«აჰა მათ ზედა განგება ღვთისა და მუხთლობა დაუთვალავი საწუთროსი, თუ როგორ ხვანჯითა შეჰკრამს, რომელ ათასი ცნობა და გონება ჰქონდეს ვეღარ გახსნის.»

სარქ. თმოგველი.

ესე ასეთი სოფელი არ ვისგან მისანდობელი,
წამის კაცთა თვალისა და წამწამისა მსწრობელი,
რასა? ვის ეძებთ? რას აქნევთ? ბედია მაყივნებელი!
და ვის არ შეუცვლის კარგია, ორისავ იყოს მხლებელი.

შოთა რუსთაველი.

ხშირად არის მამათ ცხოვრებაებში რომ მათ სათნოებაებს მოუკიდამს ესრედ მოუთხრობი. ესე არს სიმდაბლე: — აგრეთვე მორჩილობა.

«ესრედ აღამაღლებს სიმდაბლე მომგებელთა თვისთა ადიდებს აქაცა და უფროსად საუკუნოსა.» მამათ ცხოვ.

## თ ა ვ ი ქ.

### იჭვნეულება — ვედრება — წყევლა.

გ. რა არის იჭვნეულება?

მ. მჭევრმეტყველის თათბირი ყოვნყმნობისა, რომ მოაყოლოს ზედ გასავალი გზა იჭვნეულობისა როგორც:

«განცვიფრებულ განკვირვებულმან გონებითა, არა სადა ვუწყი ვიდრე თანა მაქს დ მიდირს დაწყებად სიტყვისა ამის ჩემისა?» ბასილი.

«აწ უკვე რომლითა დაგარწმუნო თქვენ? არა ვუწყი: იგი ვსთქვა ვითარმედ მატლი მათი არ მოკვდება დ ცეცხლი იგი არ დაშრტება, ანუ მეორე რომელ იტყვის ვითარმედ წარვიდნენ ცეცხლსა მას საუკუნოსა? უკეთუ მდიდარი იგი წარმოგიდგინნე, კვალადცა იტყვით დაქადებისათვის თქმულ არს. მაშა სადამე რაჲთა დაგარწმუნნე თქვენ? ეშმაკისა გონებანი არიან ეგენი უსარგებლო მადლი მოგცემიათ, რომელიც გაჩოლივოტებს თქვენ: ხოლო აწ რით უკვე მოვსპოთ ესე შუიდგან? რაზომცა ვიტყოდე წერილთაგან, იტყვით სამე დაქადებისათვის არს დ არა სადა ნამდვილ მომავალისა დ თავს გარდასახადისათვის. ისმინეთ წყალრღვნაცა, ნუ თუ რომელიმე დაქადებისათვის ითქვა, არ მოხდა დ არ აღსრულდა?» იე. ოქროპირი.

რომელსა ეტლსა მშობა დედამან, რომელ რა დავბადებულ ვარ ჭირსა შინა ვყოფილ ვარ? რად არ მოვკვდი მამისა ჩემისა წინა, რომელ იგი მტრისა ხელითა მოკლული ვნახე? მამა მომიკლეს, ქმარი მომშორდა დ დავრჩი ესეთ უღონო ქმნილი, სნეული გულ მტკივნული; თუ ავსტირდე დ ვიკვნესნე, კვნესასა დ ტირილსა ჩემსა ვინ მომისმენს? არცა ვინ მეშველი, მწე დ მარ-

ტკბილი მიჩნს! რა ვშობილ ვარ ჭირი და ფათერაკი; ბოროტი დია მინახამს და წაღმართისა თვით არა ვიცი თუ რას ვნახავ? ამის უარესი რა წამეკიდების, რომელ უნებლივ ხელითა მივხვდე ჩემსა მტერსა და მესისხლე-სა?»
სარგ. თმოგ.

მერმე ვიშიშვი მეფეო, თქვენად კადრებად ამისად,
ჴსცდების და ჴსცდების სიკვდილსა, ვინ არ მოელის წა-
მისად,
მოვა შემყრელი ყოველთათვის ერთგან დღისა და ღამისად
და თუ ვერა გნახენ ცოცხალმან, სიცოცხლე მქონდეს უა-
მისად.
თუ საწუთრომან დამამხოს ყოველთა დამამხობელმან,
ღარიბი მოვჰკვდე ღარიბად, ვერ დამიტიროს მშობელ-
მან, | მან
ველარ შემსუდრონ დაზრდილთა და ვერცა მისანდობელ-
და მუნ შემიწყალოს თქვენმავე გულმან მოწყალე მლბო-
ბელმან;
შოთა რუსთაველი.

კ. რა არის ვედრება?

მ. ხვეწნა ფაქტებით და მიზეზ მეტყველებასთან ერთად დასაყოლიებლად. ეს ფორმა ძლიერ გამკვეთია სიტყვის დასასრულს სახმარი, როგორც:

«მამაო წმიდაო დაიცვენ ესენი სახელითა შენითა რომელნი მომცენ მე, რათა იყვნენ ერთ ვითარცა ჩვენ.... წმიდა ჰყვენ ესენი ჭეშმარიტებითა, რამეთუ სიტყვა შენი ჭეშმარიტ არს... და არა ხოლო ამათთვის გკითხავ, არამედ ყოველთათვის, რომელთა ჰრწმენეს სიტყვითა მათითა ჩემდა მომართ, რამეთუ ყოველნი ერთ იყვნენ ვითარცა შენ მამაო ჩემდამო და მე შენდამი; რათა იგინიცა ჩვენ შორის ერთ იყვნენ.» იე.

ღმერთო ღმერთო მოწყალეო, არ ვინ მივის შენგან

გიდე

შენგან ვითხოვ შეწევნასა, რაზომსაცა გზასა ვლიდე, მტერთა ძლევა, ზღვათა ღელვა, დამით მავნე განმარიდე და თუღა დავრჩე გმსახურებდე, შენდა მსხვერპლსა შევს-წირვიდე.

შოთა რუსთაველი.

«წმიდაო მეუფეო, ესე ობოლნი აღმოსავლეთის შემი-კრებიან, სახელი ღვთისა მისწავებიან და აწ წინაშე მეფობისა თქვენისა მომიყვანებიან, ვითარცა ჯერ გინდ-ეს აღზარდენ და შეიწყალენ მლოცველად სულისა თქვენ-ისა და შვილთა თქვენთა მზეგრძელობისათვის: შემდ-გომად ღვთისა ხელთა შენთა შევავედრებ ობოლთა ამ-ათ. მ. გიორგი. მამათ ცხ.

კ. რა არის წყევლა?

პ. სიმწყრალისაგან სარგვლა სხვათა ანუ თავისა თვის-ისა.

წარწყმდეს დღე იგი რომელსა შინა ვიშვევ, და ღამე იგი რომელსა შინა სთქვეს, აჰა არს წული; ღამე იგი იყავნ ბნელ და არა მოიძიოს იგი უფალმან ზეგარდამო; არა მოვიდეს მას ზედა ნათელი და შეიპყრეს იგი ბნელ-მან და აჩრდილმან სიკვდილისამან, მოვიდეს მას ზედა ნისლი. წყეულ იყავნ დღე იგი და ღამე იგი და ეწიოს მას წყუდიადი: არა იქმნეს დღესა შინა წლისასა, და არცა აღირიცხულ დღეთა შინა თთვეთასა; არამედ ღამე იგი იყოს სალმობისა და არა მოვიდეს მას ზედა შვება და სიხარული. დაბნელდნენ ვარსკვლავნიცა მის ღამისანი; დაითმენდეს და არ მოვიდეს განათლებად, და არა იხილ-ოს მთიებნი აღმობრწყინებული.» იობ.

ცეცხლი ბნელისა, გარესკნელისა, მატლი ღრჭენისა, წამლიანისა,
მისვრა ნეფხვისა, ბრელთა სეტყვისა, თოვლთა წვიმისა
ღვარ ნაფშვენისა, | ხტის თქვენისა,
ორგულთ ეწიოს, ვერგანეწიოს, ურჩი ვინც იყოს ტა-

ღელე გლოვისა, ექმნას გლოვისა ჟამნი მოუხდეს ცრე-მლთა დენისა. იე. შავთ.

«თქვენნი მტერნი თქვენითა ხრმლითა მოკლულნი და დამონებულნი და მიწყიიცა მათსა ქვეყანასა შურმძვირო-ბა და სიტყვა, მათიმცა ქარი ჴირისა, მთვარე ბოროტ-ისა, მზე მათი სიკვდილისა, ღრუბელი უწვიმო და მიწა უნაყოფო.» სარქ. თმოგ.

## თ ა ვ ი ვ.

დაკითხვა — გამზიარებლობა — დუმილი — მი-მადლება.

კ. რა არის დაკითხვა?

მ დაკითხვითი ფორმა, არა გამოსაძიებლად იჭვნეულ-ობის ახსნისა, არამედ ძალდასატანებლად მსმენელთა და უფიცხელესად მოხსენებად სიტყვისა, მაგალითად: რო-მელმა დანერგა ყური, არა ნუ ესმისა?

ვინმე არს მსგავს შენდა ღმერთთა შორის უფალო, ანუ ვინ გემსგავსოს შენ დიდებულო წმიდათა შინა? ვითამც, ვისაც გამოუსხამს ყური თვითანაც ესმის. — არა ვინ არს შენ ნაირი ღმერთებში, უფალო და არა ვინ მიგემსგავსება შენ, დიდებულო წმიდანებში. ესრედ ოქრო პირიცა: «ვიდრემდის ვითმენდე?» ე. ი. ვეღ-არ შემიძლია მოთმინება.

ჵოი ყოვლად კეთილო ღმერთო და მაცხოვარო ჩვენო! რაჲსათვის? და ვითარმე შემძლებელ ხარ თმენად ესო-დენთ უძლებობათა კაცთასა, რომელთაც დათუ სახელი შენი იტვირთის თავსა შორის თვისსა და იოქმიან ქრის-ტიანედ, გარნა ნიადაგ ჰმონებენ ბელიარს მიდრეკითა თვისითა ცოდვათადმი, ე. ი. სიძვისა, მოყვას მოძულ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ებისა, შურისა, ამპარტავნებისა, მთვრალობისა ვერც-ხლის მოყვარებისა, და სხვათა მსგავსთა ამათა?

ვიდრემდის ამაოდ წარვაგებთ დღეთა ჩვენთა?

«რაჲ უმძიმესი ბრძანება მოგიღეთ ქმნად? მთანი გარ-დანტკრევად გარდაგლად, თუ ჰაერთა ზედა ფრენად, თუ თვალ გარდუწდომელსა ბუნებით ზღვასა ზედა უვნებე-ლად სვლად? არა ოდეს! არამედ ეგრედ უადვილეს არს სათნოება, ვიდრე არა რაჲმე ეგე ვითარსა საქმესა არ მოითხოვს; არამედ გულს მოდგინებასა და ლმობიერე-ბასა. რაჲ საშუალი ჰქონდათ უკვე მოციქულთა, რომელ ეგე ვითარი სიწრფელებანი ჰყვეს? არა მხოლოდ სამო-სითა ფერხსიშველნი დავიდოდნენ? და ყოველთა მძლე იქმნენ. რაჲ უძნელეს ბრძანებათაგანი გვიძს? იტყვის ნუ რა ვის უმტერებ; ნუ რა ვის მოიძულებ, ნუ რა ვის ზედა იტყვი ბოროტსა, ამათნი წინამღდეგნი უძნელეს არიან და არა ესენი.» იო. ოქრო პირი.

ხან დაკითხვასთან დაიდება პასუხი, როგორც.

«რაჲმე უკვე უმეტეს არს ურიისა მის; ანუ რაჲმე სა-რგებელ არს წინა დაცვეთილებისა? ფრიად ყოვლითავე სახით. პირველად უკვე რამეთუ რწმენეს სიტყვანი ღვ-თისანი: არამედ რაჲ ურწმუნო თუ ვინმე იქმნეს, ნუ უკვე ურწმუნოებამან მათმან სარწმუნოება ღვთისა განა-ქარვა? ნუ იყოფინ: იყავნ ღმერთი მხოლოდ ჭეშმარიტ და ყოველი კაცი ცრუ.» რომაელთა.

კ. რა არის გამზიარებლობა?

მ. მჭევრმეტყველი მინდობილი თავის სჯაზედა ჰკით-ხავს მსმენელთა.

«აწ უკვე სთქუ უკეთუ ანაზდად რომელსამე სამეფოსა ქალაქსა იწვევდენ, რომელთა იგი არა უხმდესთ სახედა-რი, არცა სამოსელი, არცა ხამლნი და არცა რა სხვა რაჲ-მე ნივთეულნი და სახმარნი, არამედ საკმარისად შერა-

ცხონ მხოლოდ პური და წყალი წყაროთაგან, ხოლო სხვანი იტყოდნენ, უკეთუ ეტლთა არ მოგვიწყობთ, და ლბილთა სარეცელთა არ მოგვიმზადებთ, არა სადა ძალ-გვიძს წარსვლად; უკეთუ მრავალი მონანი არ გვეხსნეს, ხშირად შესვენება, მერანი, სიმოკლების სავანენი და სხვაცა მრავალნი სახმარნი, არ ძალ გვიძს წიაღსვლად! რომელთა ზედა ჯერ არს განკვირვებად იმათისა ზედა თუ ამათისა? ცხად არს ვითარმედ ამათისა ზედა, რომელნიცა არა სადა ვის აწუხებდნენ. აგრეთვე ამის ქვეყნისა გზასა ვიეთთამე მრავალი უხმსთ და სხვათა მცირედი საწყაული, რათამცა სიგლახაკითა თუმცა სახმარ იყოს ჭჳსამდა გოდლობად.» იე. ოქრო პირი.

კ. რა არის დუმილი თუ დაჩუმება?

მ. რასაცა დაჩუმებით უმფრო აზედ მოქმედებს როგორც:

უკეთუ განრისხებული პირი გარეგან ხორცისაებრ ეგოდენ უშვერ და საშიშარ შესახედავ იქმნების ვიდრე მიმსგავსებადმდე მისი ეშმაკეულისადმი, მაშა სადამე რაჲმე და ვითარი იქმნების იგი შინაგან და შებრ სულისა? გარნა ამას დაუტევებ მე მოხსენებად, რათა თქვენ თქვენგნით იფიქროთ და ზედ მოიღოთ იგი; კვალად ვინც შესცოდავს გარდამავალი არს სჯულისა, ხოლო ვინც დახსნის სჯულსა, რაჲ არს სახელი მისი? მე შევიკდემებ თქმასა ამისსა!

კ. რაჲ არს შესაბამობა?

მ. არს იგი, რომლითა რიტორი წინაშე მათსა, რომელთაგანაც ეკდემების და ეშინის, შესაბამობით მიაგებს პასუხსა. მაგალითად: ნამდვილ პატივს-გცემ და გადიდებ თქვენ, ჵოი უფალნო ჩემნო, და გიძღვნი ღირსსა სიმდაბლესა და კრძალულებასა, გარნა ამასთანვე განაღა თანა-მაძს მე უფროსად პატივის ცემად ღვთისა და სიტყ-

ვისა მისისა და უმეტრო მოშიშებად მისგან; ვიდრე [illegible] ვენგან, და არაოდესმე განდრეკად ბრძანებისა ღვთისა და ჭეშმარიტებაჲ? ამის გამო ვითხოვ თქვენგან ამაზედ შენდობასა.

კ. რაჲ არს ხმობა?

მ. არს იგი რომელსა შინა განაცხადებს რიტორი ღმობასა გულისა თვისისასა მაგალითად: ეჳა სიმწარესა დროჲსასა! ეჳა უბედურებათა ჩვეულებათასა! ეჳა უმეცრებასა მსჯავრისა და სიმართლისასა! ეჳ! ვსჭვრეტო დღითი დღე არა სწავლულთა და არა ბრძენთა აღსლვად აღსავალთა მიმართ ეკლესიურთა და პატივსა შინა მოძღვრებითისა და მით მარტივ გონიერთა ერთა ქრისტეს სამწყსოჲსათა უფროჲრე აღყვანებად შეცდომილებისა მიმართ, ვიდრელა ცდომილებისაგან ჭეშმარიტებისა მიმართ.

ბვალად ეჳა სიფიცხე გულისა კაცობრივისა, ეჳა ურჩება და სიბრმე გონებისა! ეჳა სიმწარე და ნელტფილობა ნებათა! მით რამეთუ ვისმენთ დღითი დღე სიტყვათა საშჯეროთა და არა ვერჩით, გვაქს ნიადაგ წინაშე თვალთა ქცევანი ქრისტესნი და წმიდათა მისთანი და არა ვისწრაფვით შედგომად მათდამი!

გვალად სად არს მხურვალება და ღვაწლი, რომელიცა აღორძინდებოდა პირველთა მათ მონაზონთა, რომელნიცა აღყვავნეს უდაბნოსა შინა ეგვიპტისასა და სკიტეს დროსა წმიდისა მამისა აბბა ანტონისასა!

კ. რა არს მიმადლება?

მ. უსამართლო რამის მიტევება მოწინამდეგისათვის მინდობითა თავის სიმართლეზედა, როგორც ჭშვრება მოციქული:

სიტყვა უგავთუ: განდასტყუდეს რტონი იგი, რათა მე დავემყნა. კეთილ, იგი ურწმუნოებითა მათითა განდასტყდე-

ეს და შენ სარწმუნოებითა სდგახარ. ნუ ჰმაღლობ, არამედ გეშინოდეს; უკეთუ ღმერთმან ბუნებითთა მათ რტოთა არა რიდა, ნუ უკვე შენცა არა გრიდოს.»

წმიდაო მეუფეო (ანტიოქის პატრიარხს), რომელნი ესე ჩვენ უშეცრად და მსუბუქად გვხედავთ და თავნი თქვენნი ბრძენ და მძიმე გიყოფიან, იყო ჟამი რომელ ყოვლისა საბერძნეთისა შინა მართლ მადიდებლობა არა იპოვებოდა, და იოვანე გუთელ ეპისკოპოზი მცხეთის ივერთიხა ეპისკოპოზად, ვითარცა სწერია დიდსა სვინაქსარსა. მ. გი. მამათ ცხოვრებაში.

მადალო ხელმწიფეო, მე არა იგი ვარ, რომელ რაცა არა მენახოს იგი მოგახსენო და მეტს მოუმატებდე, ჩემისა თვალით მინახავს, რაცა მომიხსენებია და ყურითა ჩემითა ნასმენი თქვენგან დია არა დამიმალავს.» თმოგ.

ამასვე მიუდგება კადნიერების ფორმა, რომ მჭევრმეტყველი უშიშრად მიასკვამს მოწინაღმდეგსა, როგორც მოციქული:

«ვინმე იკადრების სიქადულსა უგუნურებით ვიტყვი, ვიკადრო მეცა; ებრაელ თუ არნ, მეცა, ისრაილ თუ არნ, მეცა; ნათესავნი თუ აბრამისანი არნ, მეცა, მსახურნი თუ ქრისტესნი არნ, უგუნურესადრე ვიტყვი უფროჲს.»

«მომხედე მე ტორკვატოვ! ნახე როგორ არ მერიდება მე შენის ვივპატოსობის ღირსებისაგან? მაღლის ხმით ვამბობ, ყველას განაგონად გეუბნები და მუდამ ვიტყვი: ახლოს მოდით ყოველნი სულითა ვინც ახლოს ხართ ხორცითა; დიდად მოხარული ვარ თქვენს სიმრავლესა ზედა; მოიმახვილეთ გონებანი და გულისხმიერება თქვენი და ყური მომიგდეთ მე, რომ მომართულ ვარ სალაპარაკოდ საუბედურო რამებისა.» გიგერონი.

«ჰოი მეუფეო (პატრიარხს)! ვინათგან ბერძენთა შინა მრავალი წვალება შემოვიდა პირველ, და მრავალ გზის

მიდრკეს ; ამისთვის მსგავსად თქვენსა ღვთის მსახურთა მეფეთა წმიდანი კრებანი შეჰკრიბეს და წვრილად გამოიძიეს განგებულებისათვის ქრისტეს ღვთისა ჩვენისა და ხორციელად გამოჩინებისათვის მისისა და საუფლოთა მათთვის ხორცთა გამოძიება იქმნა და დააწესეს, რათა მივიღებდეთ ცომსა სახედ ხორცთა ქრისტესთა; ხოლო პურისცომსა (საფუარსა) სახედ სულისა გონიერისა და მარილსა სახედ გონიერებისა, წინაღდგომად წვალებისა უსჯულოჲსა აპოლინარისა, რომელი იგი ხორცთა მათ ქრისტესთა საუფლოთა უსულოდ და უგონებოდ იტყოდა უგუნური იგი და უსულო. ხოლო რომთა, ვინათგან ერთ გზის იცნეს ღმერთი, არა ოდეს მიდრეკილ არიან და არცა ოდეს წვალება შემოსრულ არს მათ შორის და ვითარცა იგი თავადმან მოციქულმან პეტრე შესწირა უსისხლო იგი მსხვერპლი, ვითარცა თვით თავადმან უფალმან მისცა მოწაფეთა ღამესა მას სერობისასა, ეგრედ უცთომოს აღსრულებენ იგინი და არა რაჲ არს მათ შორის განყოფილება.» მ. გი. მამათ ცხოვ.

## თ ა ვ ი ზ.

### შორეულუბნობა — პირნაცვლობა — აღწერილობა.

კ. რა არის შორეულებთან უბნობა?

მ. სიტყვა შორიელ პირთან ანუ მიცვალებულთან და ანუ უსულო და უგრძნობ რამესთან. როგორც:

«ისმინე ცაო და ყურად იღე ქვეყანაო, რამეთუ იტყვის უფალი.» ესაია.

ოდეს იგი კაინ მოკლა ძმაჲ თვისი აბელი ჰრაცხ, ვითარმედ ეტყოდა ქვეყანა კაინს, ჰოი უწყალო მხეცო! შენ რომელმანცა მოჰკალ ძმაჲ შენი უბრალო და წმიდა,

ვითარ აღვახვამცა პირი ჩემი ეგე ვითარის უბრალოჲსა სისხლის შეწყნარებად; და ანუ ვითარ წარვწყმიდო მე ბეჭედი ქალწულობისა ჩემისა განპებითა, რათა საძულავ ვიქმნემცა ესე ვითარისა სხეულისა წმიდისა, რომელსა აქვს თავსა შორის თჳსსა ბეჭედი ქალწულებისა; და რომლითა საშუალითა განვერე რისხვისაგან ღვთისა, რომელი გამზადებულ არს წყევად ჩემდა შეწყნარებისათჳს სისხლისა ძმისა შენისა ხელთაგან შენისა, რომელიცა მაიძულებს მე ამად?

«არ დავიწყება მოყვრისა არ ოდეს გვიზამს ზიანსა,
ვჰგმობ კაცსა უაუგოსა, ცრუსა და ღალატიანსა,
ვერ ვეცრუები ვერ უზამ მას ხელმწიფესა სვიანსა,
და რა უარეა მამაცსა სულ დიდსა წასვლა გვიანსა.
რა უარეა მამაცსა ომს შიგან პირის მხმეჭელსა
შემდრკალსა შეშინებულსა და სიკვდილისა მეჭველსა
კაცი ჯობანი რითა სჯობს დიაცსა ქსლისა მბეჭველსა?
და სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა.
ვერ დაიჭირამს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი,
მისგან ყოველი გასწორდეს სუსტი და ძალ გულოვანი,
ბოლოდ შეჰყარნეს მიწამან ერთგან მოყმე და მხცოვანი,
და სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი.
შოთა რუსთაველი.

კ. რა არის პირნაცვლობა?

მ. აგრეთვე შორეულის და მიცვალებული პირისა და ანუ უსულო და უგრძნობი რამეების კაცობრივი საუბარი, როგორც:

«ცანი უთხრობენ დიდებასა ღვთისასა, და ქმნულსა ხელთა მისთასა მიუთხრობს სამყარო. დღე დღესა აუწყებს სიტყვასა, და ღამე ღამესა მიუთხრობს მეცნიერებასა.» ფსალმუნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

«ჰაერმან თუ ჰსთქვა საგლოველი შეიმოსა მისისა სა-
ქმისათვის, მზემან და მთვარემან თვისისა ლაშქრითა და-
სავლეთისაკენ ილაშქრეს, მუნვე დაიმალნეს და უჩინო
იქმნეს, ლაშქარნი თავ თავისთა ადგილთა განიადაგეს,
მტლნი რკინისა კლდეთა ჰგვანდეს და ვარსკვლავნი მათ-
გან აჩეზარ ქმნილან, ვერძნი და მოზვერნი დაღრეჯილი
და დამალული თრთოდეს, ლომსა შიშითა თავის ადგილი
დაეგდო, თუ სთქვა ლომი უსულო დგას და მტყუბარი
ორთავ მოყვარეთაებრ მწოლთა დაჭედით უძრავი ქმნილ
იყვნეს, კირჩხიბი გამწყრალი კვალად მობზეკილი ლო-
მისა ჭანგთა ქვეშ იყო, ქალწული დიაცისაებრ დგა,
ხელთა ტევანი დაეჭირნეს, სასწორი და მშვილდი დახ-
ლართულნი უხმარ ქმნილ იყო, ღრიანკალი ერთგან მო-
დრეკილ იყო, ვითა გველი გატივებული, მშვილდოსან-
სა ვითა კერპსა მშვილდითა ომი არ შეეძლო, თხა ის-
რისაგან უშიშრად ქვე დაწოლილ იყო, წყლის საქანე-
ლი ჭასა შიგან ჩაჭრილი და მისი ამზიდავი ბედით მო-
მცდარ იყო, თევზი ბადისაგან დაბმული და ვითა ხმელ-
თა ზედა გაჭრილი დარჩომისაგან უიმედო ქმნილ იყო.»

სარქის თმოგველი.

«ამათ ეტყვის უფალი ტივროსა... და სულთ ითქმი-
დენ შენ ზედა და მოიღონ შენ ზედა გოდებაჲ და გრქვან
შენ: ვითარ წარწყმდი და დაირღვი ზღვასა შინა ქალაქი
საქებელი, რომელი იყავ ძლიერი ზღვასა შინა შენ და
მკვიდრნი შენნი მიმცემელი შიშისა, ყოველთა მკვიდრ-
თა შენთა — ხმითა ღაღადებისა შენისათა მენავენი შენ-
ნი შიშით შეშინდნენ... და ტყეპა მწარე მოიღონ შენ
ზედა და აღიღონ შენ ზედა ძეთა მათთა გოდება და გო-
დებდნენ: ვინ იყო ვითარცა ტვიროსი და დადუმებული
საშვალ ზღვისა.» ესაია.

ფრთხილად უნდა იხმარონ ეს ფორმა მხოლოდ დიდრო-

ვან რამეჲზედ და არა ტანისამოსზედ და ფერეჲზედ და არ-ცა რა უნდა გააზვიადოს, პირნაცვლობა ეგრეთი რამ არის რომ ვიდრე საქმეს და ვნებასაც მიაჩემებს უხულო და უგრძნობ რამებსა. როგორც რუსთაველი შოთა.

«წე მუშთარო გეჯუები, შენ მართალსა ბრჭყსა სრულსა
მო და უკვე სამართალი, გაებჭობის გული გულსა,
ნუ ამრუდებ უმართლესა, ნუ წაიწყმედ ამით სულსა,
და მართალი ვარ გამიკითხე, რად მაწყლულებ მისთვის
წყლულსა.»

«შენგან ძრწიან ყოველნი უხილავთა ძალნი ნათლისანი, შენ გიგალობს მზე, შენ გადიდებს მთვარე.» დიდ აიაზმის ლოცვა.

კ. რა არის აღწერილობა?

მ. თვალთ წინ წარმოდგენა ცხადად საქმისა, აღწერით მისი თვითეული ნაწილებისა, შემდეგი გარემოებისა მიზეზებისა და სხვა.

კაცისა მის განრისხებულისა და გულ-მწყრალისა მრის-ხანების სენითა პირნი იყვნიან ვითარცა ფერნი ღვინისა-ნი, და თვალთაგან განიკვეთებოდიან ალნი მსგავსნი მე-ხის ტეხისანი, და განცოფებული იხილვებოდა იგი ვითა-რცა მხეცი, და უძრწოდა თავი მსგავსად კაინისა, და ერეკებოდეს კბილნი ვითარცა ცხარისა განცივებულისა-ნი; ხოლო საძაგისა პირისა მისისაგან აღმოითხევოდიან სიტყვანი შეურაცხ ყოფათა და გინებისანი, გული მისი განსივრებოდა სენითა და გესლითა სავსითა შურის მე-ძიებლობისათა, და ყოველი გვამი მისი სხვაფერ ქმნილ იყო, და იჭეკნდა ფერხითა ვითარცა ცხენი განრისხებუ-ლი ბრძოლსა შინა.

«ჰხედავა პირთა მებრძოლთა, რაძი მწუხარედ ქვე და-ხრილ არიან? წარბნი საზარნი და სახე მრისხანე. თვა-ლნი სისხლმორეული და გული მღელვარე ზემხედტომარე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკერდთა უცემსთ, მკრებით იკრიბებიან ერთად, წყნებულნი ერთად მოიკრებიან და ეწყობვიან მრავალ რიგად, უმცირო განწყობილობითა.» იე. ოქრო პირი.

«ორ გნიოკე დაიწყეს ცემა ქოსთა, ყვირილი ბუკთა და ყვიროსტვირთა, ხმა იყო თუ სიქვა ეშმაკთა ხმა არსო, რომელ ვისცა იგი ხმა ესმა, ყველა ერთმან ერთსა და-მტერა მისითა სმენითა, იყო ეგრეთი ზარი, რომელ ძველნი მკვდარნი მიწაქმნილნიცა ათრთოლდებოდეს მი-წასა შიგან მათითა შიშითა. შეუტიეს ერთმან ერთსა და მათი შეტევება ჰგვანდა, შემოდგომისა ქარისა, რომელ ხეთაგან ფურცელთა ჩამოჰყრის. ორი ესზომი შეტევე-ბისა მათისაგან შეკაზმული კაცი ჩამოიჭრა და ორგნით-ვე ქოსი და ბუკი ამას ყვიროდა. «ისწრაფეთ წ̃ე სული-სა წამლეველო.» იძოდა ბუკმან მათი სიკვდილი წინა-დვე მათ ზედა მით ტიროდა, და მეომართა ხელთა შინა მახვილი ხრმლები იცინოდა ელვისაებრ მათისავე სულსა ზედა. გულოვანი მინდორთა შიგან ლომთაებრ იყვნეს და ფიცხელისა ვეფხვისაებრ და რომელიცა მათ შინა ცნ-ობილი კაცები იყო ომსა შიგან, იგინიცა გახელებული იყვნეს; უცილოდ შმაგნი და მტერიანნი იყვნეს, რომელ არცა ცეცხლისაგან ეშინოდათ და არცა წყლისაგან, არცა შუბისა და ლახტისაგან და ისრისა, არცა ლომთა და სპი-ლოთაგან. ამას ომსა შიგან ეგეთი ჭაბუკი იყვნეს, რო-მელ სახელისათვის ტკბილნი სულნი გაეწირნეს და სიკვ-დილისაგან არ ეშინოდათ; აუგესა და გაქცევასა ეკრძალ-ებოდეს. ჰაერი შუბისა და დროშისა სიმრავლითა ნაძვი-სა ტყესა ჰგვანდა: მრავალ ფერისა დროშისაგან ზოგსა ზედა ლომი ჰზის, ზოგსა ფარშამანგი, ზოგსა არწივი და ზოგსა ორბი. მიწა ეგრე მტვერ ქმნილ იყო ცად გა-სულ იყო და ლაშქარსავე თავს ჩამოდიოდა, მრავალი ყმა კაცი დაბერებულ იყვის, შავი ცხენი გაჭრელებულ

იყვის, ჯაბანი და გულოვანი ამით გამოჩნდებოდა, რომელ ჯაბანი დაღრეჯილი იყვის და გულოვანი მხიარულ, გულოვანსა პირი ბროწეულისა ყვავილსა უგვანდა და ჯაბანსა სიყვითლითა დრიანკალსა... ესრედ გაძნელდა ომი რომელ საუკუნო თვალით დაინახეს ცხადად.»

სარქის თმოგველი.

«ვნახე მათი ქვეყანა შემკობილი და შეკაზმული ვითა სამოთხე და ყოვლისა ქვეყანისა დიდებულნი ლომნი ჭაბუკნი. მათი დარბაზი ესრედ შემკული იყო, ვითარცა ვარსკვლავითა და ვისი მათ შუა ჯდა ვითა მთვარე გავსილი. ჰქონდა ქორწილი და სიხარული, რომელ ერთიცა კაცი მათისა ქვეყნისა არ იყო დაღრეჯილი, ყველა მხიარულ და მოცინარი, ამღერებდეს მუტრიბთა და მგოსანთა ხმა მაღლად ამოთა ხმითა.» სარქის თმოგველი.

«უკეთუ ძნელად გიჩნდეს შენ ესე, მოვედ წარვიდეთ იმ ტალავარებთა შინა, რათამცა საქმითა ისწავო სიადვილე ქოხნი ოდენ აღაგეს და უკეთუ წაალსვლა მოუხდესთ, ეგრედ დაუტევებენ და წარვლენ, ვითარცა მხედარნი მშვიდობასა შინა დააგდებდნენ ბანაკსა და წარვიდოდნენ: რამეთუ ეგრედ დაბანაკებულ არიან, ვიდრემე უმფროსად საწადელ სახილველ იყოს ხილვა მისი. ყოვლად სასურველ განსაცდელ არს განცდა უდაბნოჲსა აღსავსე მეუდაბნოელებითა, უმდარესისა კარავებითა ხშირ ხშირად ურთი ერთთანა განწყობილნი ყოვლად მჭირნედ მოხშობენ უმფროს მხედართა ბანაკისა: სადა იგი სრანი მიიმართოდნენ, ლახვარნი და შუბნი ეყრდნენ და მათ ზედა მშვილდისარნი დამოკიდებულ იყვნენ, რვალმოსვილ თავმქონებელთა და ყოვლად ბრწყინვალედ ბერილი ფარებითა მოეჭედვარებდნენ; ქაფოსანნი და აბჯროსანნი ლაპლაპობდნენ, მეფესა ჰმსახურებდნენ სადამე წრფელსა და გრცელსა ველსა ზედა, ნადიმთა ნადიმნი უსწრობდნენ და

სერთა სერნი მეტობდნენ, მგოსანნი გალობდნენ და მე-
სალამურენი სალამურის ტკბილ ხმასა დამღეროდნენ;
გარნა კვალადცა არ ეგება ეგრედ მშვენიერ სახილველი
უმთვროს ამისა, რომელიცა მე მეგულების აწ მითხრო-
ბად: უკეთუ წარვიდეთ უდაბნოდ, და განვიცადოთ კარ-
ავნი ქრისტეს მხედართანი, არც განშილულ სრაათა გან-
ვიცდით მუნ, არცა მოელვარე მუხთა, და არცაღა ოქრო-
ჭედილ სამეფო კარავთა, არამედ ესე ვითარსა, უკეთუ
ვის ქუეყანასა ზედა სხვა უვრცელესი ქვეყანა შეექმნა და
მას ზედა მრავალი ცანი გარდაერთხნა, არამცა ტურფა და
საუცხოვო სახილველი იქმნებოდა? ეგრეთვე სცან გან-
ცდა მისი. არა რაიმე უმდარეს არს ცათაგან სამკვიდრე-
ბელი იგი მათი; რამეთუ გარდამოხდებიან მათ თანა ან-
გელოზნიცა და ანგელოზთ მთავართა უფალი იგი. უკე-
თუ აბრაამისათანა მივიდა, რომელსა იგი ცოლი ესვა და
ძეთა აღზრდიდა, სტუმართ მოყვარებისა მისისათვის,
ოდეს იგი უმთვროსი სათნოება ჰპოვოს სადამე, კაცი
გარდვეთილი ქვეყნისაგან, და ხორცსა შინა ხორცის შეუ-
ცხმყოფელი, რაოდნად უმთვრო მასთანა დაიმკვიდრ-
ებს, და გარემოდგომით ივლიან მათ შორის მწყობრნი
ანგელოზთანი? რამეთუ ეგრედ განუმშვენებიათ მათაცა
სულნი მათნი, ვითარცა იგი სათნო არს მისა.»

იუ. ოქრო პირი.

ამავე ფორმით შედგება აღწერა ზნეობისა და სახისა.
«მამა ჩვენი იოვანე იყო ნათესავით ქართველი, მშობელ-
თა და პაპათაგან დიდებული და წარჩინებული და საჩინო
მთავართა შორის დავით კურაპალატისა, მხნე, ახო-
ვანი და განთქმული წყობათა შინა, მაღალი და მშვენიერი
სიკეთითა და აგებულობითა გუამისათა, ბრძენი და გონი-
ერი გონებითა და გულის ხმის ყოფითა, და სავსე შიშითა
ღვთისათა და ყოვლითავე კეთილის საქმითა.» მამათა ცხ.

## თ ა ვ ი ტ.

### წინაღდგომ დადება — დამოკიდებულობისა.

კ. რა არის წინამღდგომ დადება?

მ. ერთ ნაირი ფიგურა სიტყვისა, რომელსა შინა ლექსნი ლექსთა ანუ აზრნი აზრთა წინამღდეგ გაიწყობა.

«და სიმრთელისათვის უკვე უძლურსა ჰხადის და ცხოვრებისათვის მკვდარსა ევედრების და შეწევნასა შინა უხამსსა უწოდს. და თანა მოგზაურობისათვის სთხოვს, არცა სვლად შემძლებელსა, და მონაგებთათვის და საქმეთა და ხელ ქმნისა განმტკიცებისათვის უძლურისა ხელითა სიმხნესა ითხოვს მისგან, რომელი ყოვლად უძლურეს არს.» სიბრძ.

«უკეთუ მამა ვარ მე სადა არს დიდება ჩემი, და უკეთუ ღმერთი ვარ მე სადა არს შიში ჩემი.» მალაქ.

«აქა არს ნუგეშის-ცემა, ხოლო მუნ გამოძიება, აქა სულ გრძელება, მუნ სასტიკება, აქა ადსუბუქება, ხოლო მუნ გამოკვლევა, აქა თვით მფლობელობა, ხოლო მუნ განსჯილობა, აქა ფართოება, ხოლო მუნ იწროება, აქა მომლებლობა, ხოლო მუნ ტანჯულობა, აქა ანგაარებანი, ხოლო მუნ დასჯილებანი, აქა ტირილი, ხოლო მუნ სიცილი, აქა ურიდობა, ხოლო მუნ მჭირხნეობა, აქა შეურაცხყოფა ხოლო მუნ ცეცხლი საუკუნო, აქა მკობანი, ხოლო მუნ ძრწოლანი, აქა სილაღე, ხოლო მუნ სამდაბლე, აქა ტაცება, ხოლო მუნ ღრჭენა კბილთა, აქა ოქროთ ლესულნი, ხოლო მუნ ალმური ბნელისა, აქა უდებება, ხოლო მუნ შეუნდობელნი ბრალნი ყოველთა აქა უნანელთანი.» ეფრემი.

ესრედი ფორმითა ადარებს იმ დროს ქვეყნიერთა წმი-

და მეუდაბნოელებსა იოვანე ოქრო პირი.

«ჩვენ შავე ვიზმორებით, გვხვრინამს, ამიერ იმიერ გვერდ ვიცვლით, ვიდრე იგინი ყოველსა დამესა კურთხევითა ათევენ. და განრაცისკრდება. მცირე ოდენ განოსვენებენ: და ოდეს ჩვენ საქმესა ხელვჰყოფთ, იგინი მცირედის ძალითა კმაყოფილნი და გამოსვენებულნი, კვალადცა კურთხევასა ზედა დაადგრებიან.

ხოლო ჩვენ განუთენებლივ კაცად კაცადსა მოყვისსა მოუწოდებთ სიტყვის მიცემად, და ზოგნი ურაკპარაკსა შემოსვლით გმოსაჩინეობთ... ხოლო იგინი რა დილეის ლოცვათა და კურთხევათა სრულჰყოფენ, კითხვასა ზედა მიიქცევიან...

ვიდრე ჩვენ ყოველნი ვსადილობთ, ვთამაშობთ, ვიცინით, მეცულთა ვიძღობით, ნაყროვანებითა ვუძლებლობით, ვსივდებით, იგინი კურთხევითა ტკბებიან. არა აქვსთ დრო ნადიმთა და არცა მოსრულთა სანოვაგეთა; შემდგომად სადილისა კვალად მასვე სახესა შეიმოსვენ და კრძალულ არიან კურთხევათა. ქვეყნიერნი დღისი სადამე დაიძინებენ, იგინი კი მარად მღვიძარე და მზანი არიან სამსახურსა ზედა! მართლიად ძენი ნათლისანნი არიან და ძენი დღისა.»

კ. რა არის ფორმა დამოკიდებულებისა?

მ. აუჩხრეკს გონებასა მსმენელთა უსაჭიროეს რამის გაგონების მოძლოდნელობითა, რათა უფრო კარგად ყური მიუპყრან სასმენლად და იზედ-მოქმედოს სიტყვამანცა მათ შორის.

«მინდა ვსთქვა ახალი რამე, გარნა ნუ რა რასა განჰკვირვებით ანუ აღბორგნებით? და რაჲ? წირვა იგივე არს, თუმცა ზომიერი და მცირედიცა შესწიროს ვინცა, თუმცა პეტრემან გინა პავლემან ყოვლად იგივე არს; რომელიცა მისცა ქრისტემან მოწაფეთა, მასვე აღსრუ-

ლებენ სამე აწ მღვდელნიცა, დ̃ არა არს უმძარესი მისგან.» იე. ოქრო პირი.

«გარნა რა საჭირო არს ჩვენდა ვაჩვენო სიბოროტე უსუნთქო საზრდელთა შიმშილისა; რამეთუ მეგულების მე ჩვენებად საქმე ერთი, რომლის მსგავსი არც ბერძენთა შორის დ̃ არცაღა ბარბაროსთა გვასმიეს ქმნილი: სათრთოლველ დ̃ საძრწოლებელ არს მოთხრობად, დ̃ სასმენელთა ძნელ დასარწმუნებლად. აწ უკვე კულს მოდგინედ უკულვებელს მყოფი გარდავივლიდი ამ საუბედურო მოსაწევარისა, უკეთუ ცრუდ არ აღმოვჩენილ ვიყავ მომავლისადმი, უკეთუ მრავალი მოწამე არა მყოლ იყო, დ̃ ეკების მცირე ოდენი მადლი მექმნა ერისა ჩემისა ძეთა თანა, დავიწყებაში მივსცემდი მას რომელიცა საქმითა აღსრულდა.» იოსებო ებრაელი.

«და სადა არს ვითარმედ არ იყოს სენი იგი (ლაზღარობისა) აწ უკვე ეკკლესიათა შინაცა შემოხდა დ̃ წერილთა შინაცა შეიხო. ვსთქვა რამე, რათამცა ვაჩვენო უარესობა ბოროტთა; მრცხვენიან, გარნა მაინც ვიტყვი: რამეთუ მნებავს ჩვენებად თუ რაზომ ბოროტნი მოივინნენ, რათა არა საგონებელ ვიყო ვითარმედ უქმი რა მისათვის ცრუდ ვმეტყველებდე, არამედ რათამცა შემეძლოს განშორება თქვენი მოცთუნებათაგან, დ̃ არა ვის ეკონოს ვითარმედ გონებისაგან რასამე ვამბობდე არამედ რაჲცა მსმენიეს მასვე ვიტყვი, შევინმევიდა სახლსა შინა წარჩინებულთაგანისა, თუმცა სასაცილო სიტყვანი არიან, გარნა ვიტყვი: ვითარცა ლანკანი სანოვაგითა მოართვეს, სთქვა, მიიღეთ სწავლა, რათამცა არ განრისხდეს მუცელი.» იე. ოქრო პირი.

«გარნა შეძრწუნებულ ვარ დ̃ შეშინებულ, რამეთუ აქამომდე გზა სიტყვისა ჩვენისა წრფელ იყო დ̃ ადვილ სავალად, ხოლო აწ იწრო დ̃ საჭირო დ̃ უღონო ჩემგან

სვლისა, რამეთუ ნავთ სადგურსა დუმილისასა მეგულებ-
ის შესვლა, რამეთუ ხელი ჩემი ძრწის და სული ჩემი შე-
იწრდების, ხოლო გონება განცვიფრდების, რაჟამს გუ-
ლის ხმა ვჰყო ჟამი სიობოლისა ჩვენისა, გარნა შიშითა
ურჩებისათა მორჩილებად ბრძანებისა თქვენისა მოსრუ-
ლმან, ვითარმედ აღვსძრა უძლური ენა ჩემი და სარგებე-
ლსა სიტყვისა ჩემისასა კვალად ვიწყო სვლად.»

მამათ ცხოვრებაში.

თ ა ვ ი თ.

წინააღმდგომობის ახსნა — ფორმა მრავალი სახისა — განწილადება.

კ. რა არის წინააღმდგომი ლაპარაკის ახსნა?
მ. სხვების ნათქვამების წარმოდგენა და მათი ახსნა.
«სთქვა უკეთუ გარდასტყდეს რტონი იგი, რათა მე დავემყნა, კეთილ: იგი ურწმუნოებითა მათითა გარდასტყდეს და შენ სარწმუნოებითა სდგახარ: ნუ ჰმაღლოობ, არამედ გეშინოდეს: უკეთუ ღმერთმან ბუნებითთა მათ რტოთა არა ჰრიდა, ნუ უკვე შენცა არა გრიდოს.»
აგრეთვე შეუწყალებელობისათვის ოქრო პირი სწერს:
«ამბობს, მრავალ გზის მივეგეთო, მიწყივ სადამე არა სჭამსა? და ძენი შენნი რა ხშირად გთხოვდნენ, ნუ თუ გარე განაძევე: ჰოი საშინელო ურცხობაო... არა უწყითა ვითარმედ სახლნი არიან მეცლისა, ყოველსა რომელსაცა იღწვი მისთვისა?... არამედ მრავალ მეტყველებ-ისათვის მიგიცია ძალი: ამა ვისამე კუხოში დრაჰკანი გასარგებლებული უძს და იმა ვისმესა უმდვრო ნამეტნავი და იგი მთხოვარობს. ყმაწვილუდ სიტყვასა ამბობით და სიჩქურეთა: რამეთუ იგინიცა მარადის გამდელ-

თა ზღაპართა მისდევენ. თავს არ ვიდებ, არა მრწამს, ნუ იმყოფინ, ასუსხებდეს ვინმე სიკეთესა შინა იყოს და ახოულობდეს. რაჲსათვის? მითხარ მე. რა საქმე არის საკითხელ უმეტროს მთხოვარობისა, უმჯობეს არს სიკვდილი ვირემდ მთხოვარობისა.»

გ. რა არის განწილადება?

მ მოხსენება საზოგადოდ სიტყვის უსაჭიროესის ნაწილებისა და შემდგომ თვითო თვითოდ წარმოთქმა და განმარტება მათი როგორც:

«და მოვიდეს იგი და ამხილოს სოფელსა ცოდვისათვის და სიმართლისათვის და სასჯელისათვის. ცოდვისათვის ესრედ რამეთუ არა რწმენა ჩემდა მომართ. ხოლო სიმართლისათვის, რამეთუ მე მამისა ჩემისა მივალ და არღარა მხედვიდეთ მე. ხოლო სასჯელისათვის, რამეთუ მთავარი იგი ამის სოფლისა დასჯილ არს.»

იე. აგრეთვე პავლე მოციქული.

«აწ უკვე იხილე სიტკბოებაჲ და სასტიკებაჲ ღვთისა. დაცემულთა მათ ზედა სასტიკებაჲ, ხოლო შენ ზედა სიტკბოებაჲ.»

«თვითეული ბუნება მისი იქმს წესსა თვისსა ზიარებითა მეორისათა; ბუნება იგი სიტყვისა იქმს საქმეთა სიტყვისათა, და ბუნება იგი ხორცთა იქმს რაჲ იგი შეჰგავს ხორცსა.» სჯ. კან.

სამი არის მოყვრისაგან მოყვრობისა გამოჩენა,
პირველ ნდომა სიახლისა, სიშორისა ვერ მოთმენა,
მიცემა და არას შური, ჩუქებისა არ მოწყენა,
და გავლენა და მოხმარება, მისად რგებად ველთა რბენა.

შოთა რუსთაველი.

სვლისა, რამეთუ ნავთ სადგურსა დუმილისასა მეგულებ-
ის მესვლა, რამეთუ ხელი ჩემი ძრწის და სული ჩემი შე-
იწრდების, ხოლო გონება განცვიფრდების, რაჟამს გუ-
ლის ხმა ვჰყო ჟამი სიობოლისა ჩვენისა, გარნა შიშითა
ურჩებისათა მორჩილებად ბრძანებისა თქვენისა მოსრუ-
ლმან, ვითარმედ აღვხსრა უძლური ენა ჩემი და სარგებე-
ლსა სიტყვისა ჩემისასა გვალად ვიწყო სვლად.»

მამათ ცხოვრებაში.

## თ ა ვ ი თ.

წინააღმდეგომობის ახსნა — ფორმა მრავალი სახისა — განწილადება.

კ. რა არის წინააღმდგომი ლაპარაკის ახსნა?

მ. სხვების ნათქვამების წარმოდგენა და მათი ახსნა.

«სთქვა უკეთუ გარდასტყდეს რტონი იგი, რათა მე
დავემყნა, კეთილ: იგი ურწმუნოებითა მათითა გარ-
დასტყდეს და შენ სარწმუნოებითა სდგახარ: ნუ ჰმაღლო-
ბ, არამედ გეშინოდეს: უკეთუ ღმერთმან ბუნებითითა
მათ რტოთა არა ჰრიდა, ნუ უკვე შენცა არა გრიდოს.»

აგრეთვე შეუწყალებელობისათვის ოქრო პირი სწერს:

«ამბობს, მრავალ გზის მივეგებო, მიწყივ სადამე არა
სჯამსა? და ძენი შენნი რა ხშირად გთხოვდნენ, ნუ თუ
გარე განაძევ: ჰოი სამინელო ურცხობავ... არა უწყით
ვითარმედ სახადნი არიან მეცდლისა, ყოველსა რომელსა-
ცა იღწვი მისთვისა?... არამედ მრავალ მეტყველებ-
ისათვის მიგიტევს ძალი: ამა ვისამე კეზოში დრა-
ჰკანი განსარგებლებული უძს და იმა ვისმესა უმთრო ნა-
მეტნავი და იგი მთხოვარობს. ყმაწვილულ სიტყვასა ამ-
ბობთ და სიჩქურეთა: რამეთუ იგინიცა მარადის გამდელ-

თა ზღაპართა მისდევენ. თავს არ ვიდებ, არა მრწამს, ნუ იმყოფვინ, ასესხებდეს ვინმე სიკეთესა შინა იყოს და ახოფულობდეს. რაჲსათვის? მითხარ მე. რა საქმე არის საკიცხელ უმძვროს მთხოვარობისა, უმჯობეს არს სიკვდილი ვირემც მთხოვარობისა.»

გ. რა არის განწილადება?

მ მოხსენება საზოგადოდ სიტყვის უსაჭიროესის ნაწილებისა და შემდგომ თვითო თვითოდ წარმოთქმა და განმარტება მათი როგორც:

«და მოვიდეს იგი და ამხილოს სოფელსა ცოდვისათვის და სიმართლისათვის და საშჯელისათვის. ცოდვისათვის ესრედ რამეთუ არა რწმენა ჩემდა მომართ. ხოლო სიმართლისათვის, რამეთუ მე მამისა ჩემისა მივალ და არღარა მხედვიდეთ მე. ხოლო საშჯელისათვის, რამეთუ მთავარი იგი ამის სოფლისა დასჯილ არს.»

იე. აგრეთვე პავლე მოციქული.

«აწ უკვე იხილე სიტკბოებაჲ და სასტიკებაჲ ღვთისა. დაცემულთა მათ ზედა სასტიკებაჲ, ხოლო შენ ზედა სიტკბოებაჲ.»

«თვითეული ბუნება მისი იქმს წესსა თვისსა ზიარებითა მეორისათა; ბუნება იგი სიტყვისა იქმს საქმეთა სიტყვისათა, და ბუნება იგი ხორცთა იქმს რაჲ იგი შეჰგავს ხორცსა.» სჯ. კან.

სამი არის მოყვრისაგან მოყვრობისა გამოჩენა,
პირველ ნდომა სიახლისა, სიშორისა ვერ მოთმენა,
მიცემა და არას შური, ჩუქებისა არ მოწყენა,
და გავლენა და მოხმარება, მისად რგებად ველთა რბენა.

შოთა რუსთაველი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## თ ა ვ ი   ი.

### წრფელობა — გარდავლა — აქცევა.

კ. რა არის წრფელობა?

მ. ნათქვამი სიტყვის გასწორება შესაფერის სიტყვითა როგორც:

«აქა წყარო ცეცხლოვანი გამომდინარეობს სულიერისა ამის ტაბლისაგან და შენ დაგიტოვებია ესე და თეატრად გესწრაფება . . . დაგიტოვებია ქრისტე, რომელი ზის წყაროსა ზედა, რამეთუ აწცა წყაროსა ზედა ზის, არა მხოლოდ სამარიტელთან საუბრობს, არამედ ყოველ ერთათანა ამის ქალაქისა. გარნა ეგების აწცა სამარიტელთანა; რამეთუ არა ვინ არს აწ ახლოს მისსა; არამედ ვიეთნიმე მხოლოდ ხორცითა, და სხვანიცა გვამებრივად ცალკედ.» იო. ოქრო პირი.

«მუნ დასასრულსა იორდანის მდინარისა მრავალნი უჯუე არიან ყოვლად ნაყოფიერნი; მეტადრე იყვნენ, რამეთუ აწ არა არს ეგრედ, რომელი იგი ოდესმე ვითარცა სამოთხე ღვთისა იყო.» იო. ოქრო პირი.

«ესე ამბავი სცან და სოფლისა ამის უხანობა, აუგნი და მუხთლობა, რომელ არცა ჭირსა არცა ლხინსა არა ვის გაუსრულებს, მისი ჭირი და ლხინი წამ ერთ არის. მცირე ყრმასა ჭკავს გაიცინებს და მოგკლავს რასამე ატირდების და რაცა მოგცეს ხელადვე მოგთხოვს.»

სარქის თმოგველი.

«გვალად ეტყოდა მსჯავრთათვის და სამართალთა სამეფოთა რათა უსჯიდეს ობოლთა და ქვრივთა სიტყვისაებრ დავითისა, მდაბალი და გლახაკი განამართლეთ, და რათა არა მიდრეკდეს სასწორსა სიმართლისასა დიდისა მიერ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გინა მცირისა ჲ რათა უმეტეს ყოვლისა წყალობისა შეიტკბოს, რამეთუ წყალობა ჲ სამართალი უყვარს უფალსა ჲ რამეთუ ყოველი არს წმიდება ჲ უწესობა მოისპოს თვით მისგან პირველად ჲ მერმე ერისა მისისაგან.»
მამათ ცხოვრებაში.

კ. რა არის გარდავლა?

მ. შემანაწევრებელი მუხლი სიტყვის ნაწილთა, როგ.

«აქამომდე არს სიტყვა ჩვენი ზემოხსენებულთა ძმათა მიმართ, რომელთა გვაიძულეს შობითგანვე აღწერა ცხოვრებისა მისისა.» მამათ ცხოვრებაში.

«ხოლო ამიერითგან წარსვლისა ჩვენისათვის აღმოსავლეთად ჲ ვიდრე სამეფოდ მოსვლადმდე ჲ მიერ სოფლით მიცვალებად ყოველივე ვაუწყოთ სიწმიდესა თქვენსა. იქვე.

«არამედ არა ვუწყი ვითარ ამათ მოცთუნებით გარდამოველი ესე ვითარ სიტყვათა ზედა; სხვათა გსწურთვიდი სწავლად სიმშვიდისა, ჲ მე თვით მრისხანებასა ზედა გარდავხედი. უკეთუ მტერ არს, მივიქცეთ გზალადვე წურთნასა ჩვენსა, ჲ ვიზრუნოთ ყოველი ნაკლებულობანი ცხოვრებისა ჩვენისა, რათამცა განვაწრფელოთ რაჲცა გვნებავს.» იე. ოქრო პირი.

აჰა ესე რა სამი სიტყვა, ჲ სიტყვისა დასაწყისსა ვეღარ უძლეთ დახსნად; ნუ თუ ამათის რასმესა გამბობდი, ვითარმედ ღრმა უფსკრულ არს აზრი ამ სიტყვისა. გვალე დღეს შევიდეთ დანამთესთა ძიებასა ჲ მიგებასა შინა.» იე. ოქრო პირი.

კ. რა არის აქცევა?

მ. მცირე რამ განშორება სიტყვის წყობისაგან, სულის შესალებლად მსმენელთა, ანუ უმფრო გასავლენად სიტყვისა.

«ანუ არა უწყითა ძმანო, რამეთუ მეცნიერთა მათ სჯუ-

ლისათა ვიტყვი, ვითარმედ სჯული უფლებს კაცსა ზედა, რავდენ ჟამს ცოცხალ არს იგი.» რომ ე. ი. უნდა იცოდეთ რადგან სჯულის მცოდნენი ხართ.

«აქა ფრიად განკვირვებისა ღირს არს მფლობელობა რომაელთა, რომელნიცა ეგრედ განსწაფვენ უკვე მონათა თვისთა ვიდრე არაოდენ მსახურებასა შინა ცხოვრებისა, არამედ ბრძოლისა საქმესა შინაცა გამოსადეგ არიან. ხოლო თუ ვინ განიცადოს სამხედრო ვარჯიში მათი, მართლიადცა სცნობს ვითარმედ ესოდენი ხელმწიფება არა თუ ჴვედრითა კეთილსვეობისა, არამედ სიმხნითა მათითა შეუძინებიესთ, რამეთუ არა ოდენ მხოლოდ ბრძოლასა შინა იხმევენ საჭურველსა და არცა მხოლოდ როდესაც უხმს, არამედ მშვიდობასა შინაცა მყოფნი ვწავებიან ეგრედ, ვითარ თუ ბუნებითა შეყოფილ იყვნენ საჭურველთა ზედა... და არაოდეს იცვენ ჟამსა» რა აღწერს მათ ვარჯიშსა, მორჩილობასა, სიმხნესა და ყოვლიფრისას რჩევით გარიგებასა, დასძენს მერმე. აწ უკვე რომელთა საქმენი იწყობიან ზრახვითა და განზრახულნი ეგრედ გულს მოდგინედ აღესრულებიან მხედართაგან, რა საკვირველ არს ვითარმედ აღმოსავლითი ევფრატე, დასავლით ოკეანე, ბღვარით ნაყოფიერი ქვეყანა აფრიკისა და ჩრდილოით რეინი და დანუბი საზღვარ იყვნენ სახელმწიფო რომაელთა, რომელ უკეთუ ვსთქვათ ნამდვილ კვალადცა უმცირეს არს მონაღვაწი მოღვაწეთა. ესე მოვიხსენიე, არა რათამცა ნუგეშვსცე ძლეულთა და განდგომილნი განვაკრძალნე; არამედ რათამცა სიმხნისა შემდგომთა ისარგებლონ სიტყვითა ამით ჩემითა რომელთა იგი არა უწყიან საზღვარდება რომაელთა სამხედროჲსა. ხოლო მე ჩემს სიტყვასვე მივიქცე.»

იოსებო ებრაელი.

ამ სახის ფორმასა შემოკლებული ნაწევარით გასტარე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბენ ფრჩხილსა და ფრჩხილს შუა ზოგნი , როგორც

«და აწ უკვე დააკვირდი სარწმუნებასა და მორჩილებასა მოციქულთა . თუმცა ხელოსნობისა საქმესა ზედა გართულ იყვნენ , (და უწყით ვითარმედ რაძი ტკბილ და მიმზიდველ შესათხევლება იყო) , გარნა არა სადა ეურჩნენ სმენად მას , რომელმანცა უწოდა იგინი . » იე . ოქ . პი .

«წართუვინსულხართ თქვენ პალესტინისა ქვეყანასა (ამიერითგან აღარ სიტყვას , არამედცა ვიტყვი ნაყოფსა , თუმცა პირველნი უფროს ნაყოფთა უცხადეს არიან ; რამეთუ რომელსა იგი წიგნი იტყვის , უფროს თვალთ განაცადითა უსარწმუნოეს არიან) . წართუვინსულხართ თქვენ პალესტინისა ქვეყანასა . იგივე .

### თ ა ვ ი ია .

### გ ა ვ რ ც ო მ ა .

გ. რა არის გავრცომა ?

მ. მცირე რამ აზრის გავრცელება უფრო ცხადად გასაგებლად და სიტყვის გასავლენად , და როგორც ორ ნაირია ფორმა ლექსთაებრ და აზრითა , აგრეთვე განვრცომაცა ორ გვარად განიწყობება ლექსებითა და აზრებითა .

გ. როგორ შეითხზება განვრცომა ლექსებითა ?

მ. როგორც ფორმის წყობაში ვსთქვით , ხშირად ხმარებითა ერთ მნიშვნელის ლექსებისა , როგორც დავითი ზედმოქმედებით ბურებისა იტყოდა :

«ძეო ჩემო აბესალომ , აბესალომ ძეო ჩემო ვინმე მომცეს სიკვდილსა მე შენს წილ , მე ვიქმნე შენს წილ აბესალომ ძეო ჩემო , ძეო ჩემო აბესალომ !

«და ჩვენ უკვე ვიზმორებით , ვიჭიმებით , გვამოქნარებს , ვსმუსუნობთ , ვფშვინამთ , გვხვრინამს , აქეთ იქით

ვზრუნამთ, გულადმა ვსწვებით, სხვა ჵ სხვა ...
ვოცნებით, ვიდრე იგინი ყოველსა ღამესა კურთხევითა გაათენებენ.» იე. ოქრო პირი.

„და აწ უკვე მისათვის არა სადა გვიხმს მრავალ რიგად კემს კემსად აკუწვა, მიწყივ კვლა, მრავალ ფერი სიკვდილის დათმენა, ჵ ყოველივე რაჲცალა ვნება არს მილებად სიტყვითა თუ საქმითა? ღაღა თუმცა ცოცხლებრივ ცეცხლითი დაწვა გვეზულდებოდა, არა სადა თანაჰგვედვა დაწვა მიმთხვევად აღნათქვამთა კეთილთა?» იგივე.

განვრცელდება გარდასხვაფერებითა ჵ გარდაქართულებითა (ალლეგორიითა) როგორც ფილასთეოს მთავარ ეპისკოპოსი აჩვენებს სულსა.

«სულიერი ქალაქი ჩემი წარტყვევნეს ჵ მას შინა სამეფოსა სულსა ჩემსა ისარი უსჯულოებისა განაწონეს, ჵ ყოველითურთ (სჯნითა) ანგაარებისათა მომწყლეს ჵ ცოდვისა გაჲშე ლახვრითა განმგმირეს ჵ რამეთუ ძლით ცოცხალი დამიტევეს; მთხრებლისა ცოდვისასა შთამაგდეს მე, უგრძნობელობა ჵ გულქვაობა ზედა დამდვეს მე.»

აგრეთვე გარმოვლითი მეტყველებითა გავრცელდების როგორც წ. ბასილი ღვთის განგებულობასა სწერს.

«წინასწარმეტყველნი მოუვლინენ, ჵ ჩვენ ძალნი წმიდათა შენთა მიერ თვითეულისა ნათესავსა ჵ ნათესავსა შინა, შენდა სათნო ყოფილთა მიერ, მეტყოდე ჩვენ პირითა მონათა შენთა წინასწარმეტყველთა წინასწარ მაუწყებელი მომავალთა ყოფადისა მის მაცხოვარებისა, სჯული მომეც შესაწევნელად, ანგელოზნი დამიდგინენ მცველად, ხოლო რაჟამს მოიწია სავსება ჟამთა, მეზრახენ ჩვენ თავადისა მიერ ძისა შენისა, რომლისა მიერ საუკუნენი შეიქმნენ.»

განვრცელდების აღსავლებითაცა, როგორც:

«არ ძალ გიძს ცარიელ ყოფა ქონებისაგან, მაშინ სხვათა ნუ წარსტაცებ; არ ძალ გიძს თუ მარხულობისა? ბარე შვებასა შინა ნუ მისცემ თავსა შენსა? არ ძალგიძს დედა მიწასა ზედა წოლა, ვეცხლ ჭედილ აჯილაკსა ნუ დაიდგამ.» იე. ოქრო პირი.

«უკეთუ არა ხორცი იყო, იოვანე ვის ნათელ ჰსცა, და უკეთუ ღმერთი არა იყო, მამა ზეცით ვისთვის იტყოდა ესე არს ძე ჩემი საყვარელი, უკეთუ არა ხორცი იყო ვინ იმარხვიდა და ჰშიოდა უდაბნოსა? და უკეთუ არა ღმერთი იყო, ანგელოსნი ვისა მოვიდეს და მსახურებდეს? უკეთუ არა კაცი იყო, ვინ მოუწოდა ქორწილსა კანას გალილიისასა? და უკეთუ არა ღმერთი იყო, წყალი ღვინოდ ვინ გარდააქცია.» ეფრემ ასური.

კ. როგორ გავრცელდება აზრითა?

მ. მჭევრმეტყველის ხელოვნება ამაში გამოჩნდება, ვრცლად ილაპარაკოს გაუზვიადებელის დიდთქვიაობითა და ამას ჰქვიან გაძლგმა თუ გავრცობა. მშვენიერად სწერს იოვანე ოქრო პირი რომ არც ერთს ნიჭიერებაზედ არ უნდა გავამპარტავნდეთ, ესრედ.

«რაზომთა კეთილთა წარმოგვიშობს ჩვენ უკვე სიმდაბლე? რაჲ გნებავსთ, უშურველ ყოფაჲ, არა გულის წყრომაჲ, კაცთ მოყვარებაჲ, გულის ხმიერებაჲ? ყოველივე ესე კეთილნი სიმდაბლისაგან არიან, და ამათნი წინამღდეგნი ამპარტავნებისაგან; რამეთუ ჰხამს ეგე ვითარი იყოს მბასრობელი, მგვემელი, მრისხანე, მწარე და შეუფერებელი და მეტადრე მხეცი და არა კაცი, ძლიერი თუ იყო ნუ მე მედიდურობდე მისთვის? თუმცადა იყო, მისთვის თანა გაძს უმფრო მომდაბლება; ამაო რამითა რასა მედიდურობ? რამეთუ ლომიცა უმძვინვარესი არს, და ტახიცა უძლიერეს უფროს შენსა, და შენ ვითარცა მუმლი ერთი ხარ მათ წინაშე; ავაზაკნიცა, სათვლავთა

მჭკურველნიცა, ბუნბერაზნიცა და შენი მსახურნიცა და რომელნიცა უმეტესად უაზნონი და ავის ზნისანი იყვნ-ენ, უძლიერეს არიან უმფროს შენსა. და ეს რასა ღირს არს ქებისა? არ გეთაკილება ეგე ვითარს ხუედარსა ზე-და გამედიდურება.»

«თუმცადა მშვენიერი და ტურფა სახისა იყო, იგიცა ასულთა სახამსო არს; დაღაცა არ ეგები მშვენიერი უმ-ფროს ფარშამანგისა, და არცა ეგრედ ყოვლად პრწყინ-ვალედ ადუყაყებული ფრთენი გეხსნეს ვითარცა მფრინ-ველსა მას, რომელი ბურტყლითა და ბუმბულითა აგონი-ლი კამაროვანის მრავალ ელვარი კუდითა გარდაგმეტ-ობს შენ მშვენიერებითა. აგრეთვე აკაურიცა მეტად მშ-ვენიერი არს და სხვანი მრავალნი მფრინველნიცა, რო-მელთა თანა თუმცა გინდეს გასვლა სამნახველოსა შინა, სრულიად არა რაჲად იხილავ თავსა შენსა. მრავალ გზ-ის ჩჩვილი ყრმანი, და დაუქორწინებელნი ასულნი, და მეძავნი დედაკაცნი, და მომდედრებულნი მამაკაცნი გან-ლაღდნენ სადამე ეგე ვითარს სიქადულითა, და აწ იგი რა ღირს არს სიქადულისა გინა სიმედიდურისა?»

«დაღათუმცა მდიდარ იყო, განაამპარტავანდეა? ვისგან შჳექმნებია ქონებული? და ანუ რაჲ გექმნება? ოქრო, ვეცხლი, პატიოსანნი თუალნი, იგინიცა მეკობრეთა, კა-ცის მკვლელთა და ლითონის მთხრელთა სასიქადულონა არიან და რომელნიცა პრალდებითა ლითონთა შინა დამკ-რბიან. ნუუმე სამკაულითა რაჲმითა და მორთულობითა ამპარტავნობდე? ჰათვე ცხენთა ზედა ჰხედამ. სპარსნი-ცა აქლემთა დახატვენ და მორთობენ; არამედ კაცთა შო-რისცა მხოლოდ სამეძკუროსა შინა დაიმშვენებენ ეგრედ მორთულობასა, სადა იგი საცდურად და მახედ არიან. არა გრცხვენის? არ თაკილობ ეგე ვითარი საქმითა გა-ამპარტავნებისა? რომლის მიერ პირუტყვნიცა მსგავს შენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნა არიან, მსახურნი, კაცის მკვლელნი, დედაკაცნი, ავაზაკნი და საცვლავთ მჭკურველნიცა.»

«ხოლო სიმრთელითა ყოვლადვე უმფროს ჩვენსა არიან პირუტყვნი; და უხრწნველობითაცა არა რასა მოშიშოიპენ სიგლახაკისაგან, არცა სადა ხელნაკლებობისაგან განიცადერითო ამბობს, ფრინველნი ცათანი, რამეთუ არცა სთესვენ, არცა მკიან და არცა შეჰკრებიან საუნჯეთა შინა · უკეთუ ესრედ არს, მაშა სადამე უკეთესად უყვია ღმერთისა უმფროს ჩვენსა მფრინველნი. ჰხედავა რაზომ საგნო არს გამოუძიებლობა? ჰხედავა, რამდენს რასამე მოგვანიჭებს ჩვენ გამოძიება საქმეთა? რომელიცა უმფროს ყოველთა კაცთა მედიდურობდა, იპოვა უმდარესი უმფროს პირუტყვთა; არამედ გერიდოთ და არ შევემსგავსოთ მას. რადგან უმფროს ბუნებისა აღზევადა, ნუ სადა დავამდაბლებით მას აღსავალადმდე პირუტყვთა, არამედ აღვადგინოთ იგი მყნით, არა მისთვის, არამედ საზოგადოთა პატივისათვის, რამეთუ იგი ღირსი იყო ესე ვითარი უპატიოებისა . . . .

იგივე, პავლეს კრულების მიხედვითა გვაგულიანებს რომ ყოველი ჭირი იმისავით მოვითმინოთ, ესრედ:

აწ უკვე ნუ ვიქმნებით მწუხარე რომელსამე ჭირსა შინა, რომელი იგი იყოს ქრისტესათვის; არამედ მოვიხსენოთ კრულებანი პავლესნი, და იგი იყავ შემგონებელ ჩვენდა. უკეთუ სწურთვიდე ვიეთთამე დაგლახაკებად ქრისტესათვის, განახსენიე მათ კრულებანი პავლესნი; თავი შენი და იგინიცა საწყალობელად შერაცხენ; უკეთუ ხორცნიცა მისცა მისთვის კრულებასა შინა, შენ არცადა გამოზრდითა მშიერთა ზიარ იქმნები სიწრფელებისა მის. მოიხსენიე კრულებანი პავლესნი, უკეთუ არ შეგემთხვიეს ესე ვითარი სატანჯველნი, ნუ ინებებ მათ მოყვასთათვის, მოიხსენიე კრულებანი პავლესნი, და ისილე

ვითარმედ შეუგვანებელ არს მისთვის ეგზომ ჭირსა შინა ყოფნა და შენი ეგოდენს სილაღეში, გული თუ გითქმიდეს ფაფუკებასა ზედა, მოიხსენიე საპყრობილენი პავლესნი, რამეთუ მოწაფე ხარ მისი და თანა აღმხედრებული მისსა; ვითარ შესაშვენ არს მემხედრეს თვისსა კრულებასა შინა ჰხედვიდეს და თავსა თვისსა სიამოვნესა შინა? ჭირი რაჲმეზედ, შემოგიხდეს და ჰგონებდე ვითარმედ დატევებულ იყო ხელითგან, წინაშე თვალთა შენთა წარმოიდგინე კრულებანი პავლესნი და იხილებ ვითარმედ დაყოფა ჭირსა შინა არ არის ნიშანი ხელთაგან დატოებისა, და როდესაც განგახსენდეს ბისონეულის სამოსისა შემოსვაჲ, მოიხსენიე კრულებანი პავლესნი, და უფროს განწიდოვნებულის ძონძისა შეურაცხად შეგერაცხება შენ, იგი ანუ იმად რაც ნეხვით შესვრილი იყოს პერებოს თუ ოქროს სამკაულის შეყრა ტანზედ, განიხსენიე ბორკილნი პავლესნი და უფროს ძველისა ბაწრისა არ გეჩვენება შენ იგი უკეთესად ზენებოს თუ ქოჩრის დაყენება და მშვენიერად გამოჩვენება, გამოიხატე ბორკილნი პავლესნი საპყრობილესა შინა, და მოგეწყლვის გონება იმ განშვენებასა და მორთულობასა შენსა ზედა, საძაგლად შერაცხამ მას და მწარის აღმოხვრითა სულს ითქვამ კრულებათა მისთა მიმართ.

კვალად განვრცნების სიტყვა და განიფინების, ოდესმე საღდვართა მიერ, მაგალითად:

უფალო ცათა და ქვეყნისაო და ყოვლის დაბადებულისა ხილულისა და უხილავისაო, მჯდომარეო საყდართა ზედა დიდებისათა და ზედა მხედველო უფსკრულთაო, და დაუსაბამო, უხილავო მიუწთომელო, გარეშემოუწერელო, უცვალებელო, მამაო უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს დიდისა ღმრთისა და მაცხოვრისა სასოჲსა ჩვენისაო. წ. ვას.

ოდესმეცა განვრცნების წინამდგომ დადებათა მიერ

მაგალითად:

ქსერქსი ძლიერი სპარსთაგან შეიცვალა მეფობითთა ყოვლად დიდებულთა ნიშთაგან, ლიტონ მკვიდრად; პორფირისაგან, ცუდ სამოსთა უმექონოდ; ლაშქარ მრავალ მილიონებისაგან, მარტო მხოლოდ; ყოვლად დიდებულთა სიმდიდრეთაგან, არა რაჲმესა მექონად; და ყოველთა უდიდებულესად ცნობისაგან, ყოვლად უცნაურად.

ოდესმე განვრცების აღრიცხვათა მიერ ნაწილთასა მაგ:

მიხედვიდე ბაძვად ქცევასა წმიდათასა, რომელისამე ღვთის მოშიშებასა, იმისსა წესიერებასა, და ამისსა სიმდაბლესა, სხვისა დაწყნარებულებასა, და სხვისა პატიოსნებასა, ვითარ რომელიმე შემასმენელ თავისა თვისისა იქმნების, რომელიმე შეურაცხ-ჰყოფს და დაიგნინებს თავსა თვისსა, სხვისასა ჭპაძეჯდ სიდაშნესა, სხვისა მოღვაწებასა, სხვისა მყუდროებასა, სხვისა სიმშვიდესა, სხვისა სულგრძელობასა, სხვისა ძვირ უხსენებელობასა, იმისსა მამშვიდებლობასა, ამისსა მოყვარულობასა, ამისსა ერთ სულობასა, იმისსა ერთ ხმობასა; (მოძღვრებისაგან წმიდის ეფრემ ასურისა)

ოდესმე განვრცნების სიტყვა პირის პირ მბრძოლთა მიერ აზრთა, მაგალითად:

აქა არს ნუგეშის-ცემა, ხოლო მუნ გამოძიება, აქა სულ-გრძელობა, მუნ სასტიკება, აქა აღსუბუქება, ხოლო მუნ გამოკვლევა, აქა თვით მფლობელობა, ხოლო მუნ განჭსჯილება, აქა ფართოება, ხოლო მუნ იწროება, აქა მომლებელობა, ხოლო მუნ ტანჯულება, აქა ჭანგარებანი, ხოლო მუნ დასჯილებანი, აქა სიცილი, ხოლო მუნ ტირილი, აქა ურიდობა, ხოლო მუნ ტანჯულობა, აქა შეურაცხ-ჰყოფა, ხოლო მუნ ცეცხლი საუკნო, აქა მკობანი, ხოლო მუნ ძრწოლანი, აქა სილაღე, ხოლო მუნ სიმდაბლე, აქა ტაცება, ხოლო მუნ

კბილთ-ღრჭენა, აქა ოქრო ლესული, ხოლო მუნ [illegible]-მერი ბნელისა, აქა უდებება, ხოლო მუნ შეუნდობელნი ბრალნი ყოველთა, აქა უნანულთაჲნი; (ეფრემის სინანულისათვის)

ოდესმე განვრცნების მრავალ კეცისა მიერ მოქმედებისა, მაგალითად:

წინასწარმეტყველნი მოუვლინენ, და ჩვენ ძალნი წმიდათა შენთა მიერ თვითეულსა ნათესავსა და ნათესავსა მინა, შენდა სათნო ყოფილთა მიერ, მეტყოდე ჩვენ ბირითა მონათა შენთა წინასწარმეტყველთა, წინასწარ მაუწყებელი მომავალთა ყოფადისა მის მაცხოვარებისა, სჯული მომეც შესაწევნელად; ანგელოსნი დამიდგინენ მცველად, ხოლო რაჟამს მოიწია სავსება ჟამთა მეზრაზე ჩვენ თავადისა მიერ ძისა შენისა, რომლისა მიერ საუკუნენი შეიქმნენ; (წმიდისა ვასილისა ლიტურღი.)

ოდესმე განვრცნების მრავალ კეც საქმებითა მიზეზისაგან წინ წარმოსულისა.

მკვდარნი შენ მიერ განცოცხლდებიან, რამეთუ ცხოვრებაჲ არსებითი გვიმეც ჩვენ, სძალთ ულტყუნი აღიტყვებიან, კეთროვანნი განწმდებიან, სენნი ივლტიან, ჭაერთა სულნი იძლევიან, ამისთვის გიგალობთ კურთხეულო კაცთა ცხოვრებისა მიზეზო ღვთის დედაო; (მარხვაში დაუჯდომლის კანონისაგან.)

ოდესმე დაყენებათა მიერ შედრკინებათა მაგალითად:

ნუ იყოფვინ ჩემდა ლმობა და არა შობა, გოდება და არა ცრემლოვა, გულის სიტყვა და არა სულთქმა, ღრუბლიერ ყოფა და არა წვიმა, სრბა და არა მიწევნა, ჩემი დაღადება და შენი არა სმენა, ვედრება და უგულებელს ყოფა, შევრდომა და არა შეწყალება, ლოცვა და არა შეწევნა, მსხვერპლუა და არა მითვლა, ხილვა შენი და ტალიერ განმოსვლა. გრიგორი ნარეკელი.

ოდესმე შესხმითა მრავალ კეტი წარმატებისა, მაგალ: მირიანისა, ვახტანგ გურგასლანისა, დავით მესამისა და თამარის მხნეობანი, განვრცნენ უფროს მონარხიისა კვიროსისა, ამაღლდნენ უფროს მათსა იაჳბუზინისათა ალყუავნენ უფროს ბედნიერებისა ალექსანდრე დიდისათა, განსაკვირვი იქმნენ უფროს მოკიდულთა ხეთა მტილისა ბაბილონურისათა, განმტკიცნენ უფროს ზღუდეთა ტვიროსისათა აღვილთა მიერ შეუვალთა კავკასიისათა.

ოდესმე მრავალ კეტი ვედრების მიერ, მაგალითად:

ნუ აღრაცხავ ცოდვათა ჩემთა, რამეთუ მრავალ და ურიცხვ არიან, ნუ გამოიძიებ საქმეთა ჩემთა, რამეთუ ბოროტ არიან, ნუ განიკითხავ გულის სიტყუათა ჩემთა, რამეთუ არა წმიდა არიან, ნუ იხილავ განზრახვათა ჩემთა, რამეთუ საძაგელ არიან.

ოდესმე მრავალ კეტი სურვილის მიერ, მაგალითად.

ნეტარ თუმც უფალმან სახიერმან მასწაოს შიში თვისი, ნეტარ თუმცა მამამან ყოვლად ტკბილმან გულის-ხმა მიყოს პატივის-მოყვარებად მისა, ნეტარ თუმცა ყოვლად სატრფიალომან მოწყალემან ტკბილითა ისრითა განგმიროს, ნეტარ თუმცა მნებელმან ცოდვილთა მოქცევისამან განმანათლოს, ნეტარ თუმცა მომტევებელმან ბრალთამან დამიცვოს, და ნეტარ თუმცა მწყალობელმან მოქცეულთამან შემიერთოს.

ოდესმე ცნობისა მიერ დანაშაულობათა თვისთა მაგ.

ვჰსცოდე დიდისადმი მსაჯულისა, ვჰსცოდე, ვჰსცოდე აღმხოცველისადმი ცოდვათა ჩემთასა ვჰსცოდე; ვჰსცოდე რომლისათვის აღმეთქვა არალარა შეცოდება, ვჰსცოდე, ვჰსცოდე ჰსჯულისა დათრგუნვითა, ვჰსცოდე ვინადგან ვჰქმენ ამპარტავნებაჲ, ზუაობაჲ, ფიცი, გმობაჲ, უქმის მეტყველებაჲ, სიცილი უჯეროჲ, მთვრალობაჲ, ნაყროვანობაჲ, არა წმიდებაჲ, სიძულილი, შური, ვეც-

ხლის მოყვარებაჲ, სახმართ მოყვარებაჲ, ანგარებაჲ, თავის მოყვარებაჲ, დიდების მოყვარებაჲ, ტაცებაჲ, უსამართლობაჲ, საძაგელის შეძინებაჲ, ხდომაჲ; წყევაჲ და უსჯულოებაჲ.

ოდესმე განმეორების მიერ ნაკვეთთა სიტყვისათა, მაგალითად:

შენ ოთხთაგან ნივთთა შეერთებით დაჰბადენ ყოველნი, შენ ოთხთაგან ჟამთა წელიწადისათა გარე მიქცევა გვირგვინოსან ჰყავ, შენგან ძრწიან ყოველნი უხილავთა ძალნი ნათლისანი, შენ გიგალობს მზე, შენ გადიდებს მთვარე, შენნი არიან ვარსკულავნი, შენ გერჩის ნათელი, შენგან ძრწიან უფსკრულნი, შენ გმონებენ წყაროები, შენი გარდაარხენ ცანი ვითარცა კარავნი. დიდის აიაზმის ლოცვისაგან.

ოდესმე ალეგორიის გადაქართულების მიერ მაგალ:

მხეცი დაწყლულვილი, მფრინველი განისრული, მეოტი შთაჭრილი, პყრობილი ვნების-თანამდები, ავაზაკი ზღვით მოშთობილი, მხედარი მზაკვარი, მბრძოლი განუმზადებელი, ჭურვილი უმოთმინო, მუშაკი დაჰხსნილი, მლოცველი არა გულ-დებული, მაღალი შთათრეული, მღუდელი უგუნდრუკო, სჯულიერი უმსხვერპლო, მწიგნობარი მხილებული, ბრძენაკი გონება-ვნებული. ნარეკელი.

კ. რა უნდა ვისწავლოთ ამ მაგალითებისაგან?

მ. პირველად ეს რომ თუმც კი მცირე აზრი უნდა განვავრცელოთ ხოლმე, მაგრამ უნდა უფრთხილდეთ, არ შევაერთოთ მას შინა მცირე და უბრალო რამე გრძნობანი და არცა ის რაც არ აღუმატებდეს სიტყვას გავლენასა და დამკვეთილობასა.

მეორედ რომ ის ნაირ ნაირი ფორმები, რაც კი გსთქვით წინად, შეგვიძლია ვიხმაროთ ხოლმე გავრცობაში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ნაწილი მესამე

## სხვა და სხვა საქმეთა ზედა რიტორისა

## (Action Oratoire)

### თავი ა.

### საქცევი გინა წინადადება. (Proposition)

კ. რა არის საქცევი გინა წინადება?

მ. შესრულებული სიტყვა (აზრი) რომელსაც გრამმატიკის კანონით დავასრულებთ წერტილით, მის უდიდეს ნაწილს ჰქვიან ნაწევარი და უმცირესსა ნაკვეთი რომელიც მძიმით განიკვეთება, როგორც:

«არა სადა მოგზაური, მიიხვნის თავისთანა ნამეტნავთა; არამედ საჭიროთა შეიწყურვება, რათამცა ძალ ედვას სვლა.» კვალად: «უკეთუმცა ცხოვრებანი წინამძღვართა ჩვენთა თანაგვედვა განმოძიებად, მაშა სადამე ხელდასხმაცა ჩვენ გვიხმდა გარდაცემად; და ყოველივე ზენა ქვეყნად დაიქცეოდა, ფერხნი აღმა და თავი დაღმა.»

იე. ოქრო პირი.

კ. კარგ საქცევს წინადადებას რამდენი მუხლი უნდა ჰქონდეს?

მ. ორზედ ნაკლები არ უნდა ჰქონდეს, არცა ოთხზედ მეტი; არამედ აზრის დაგვარ შეიძლება მრავალ ნაწევარითაც შედგენა საქცევისა, მეტადრე პირველად მჭევრ (რიტორულს) საუბარში და მეორედ სჯის გარდაწყვეტილებაში.

პირველის მაგალითი ოქრო პირისაგან:

«რა ჟათაში პირველგზის ჰხმობს, არა ვითარცა აქ სახლსა შინა ხვრინავსთ უკვე მსახურთა, კარნი ხშულ არიან, და ყოველთა ღრმათ სძინავსთ მსგავსად მკვდართა, მხოლოდ ხუმილნი ზარსა დააწკარუნებენ; არა არს მუნ ესე ვითარი რაიმე, არამედ ყოველნი მუნ მეყსეულად ძილ გამოფრთხალნი აღდგებიან და არიან ერთბამად; რა უმცროსი აუწყებს ფერხითა ანუ ხმას უყოფს, კრძალვით იმრგლივ მოვლებულნი მწყობრ წყობრად დადგებიან, ყოველნივე ერთბამად აღიმაღლებენ ხელთა ზეცად, და სალხინებელს კურთხევასა უგალობენ ერთობრივად.»

იე. ოქრო პირი.

მეორის მაგალითი ხშირად მოიძევა იგავთა შინა.

«დასაბამი სიბრძნისა შიში უფლისა. ხოლო სიბრძნე და სწავლებისა არა წმიდათა შეურაცხყონ... ძემან ბრძენმან ახარის მამასა; ხოლო ძე უგუნური მწუხარება დედისა.»

მაგალითი ორი ნაწევარითა შემდგარი სიტყვისა. «არა მხოლოდ მზვაობარნი, ანგაარნი, ნაყროვანნი და ცილის მწამებელნი» (ლექსნი ესენი იწოდებიან ნაკვეთნი სიტყვისანი რადგან მძიმითა განკვეთილ არიან ერთმან ერთისაგან, და შეიქმნებიან ესენი მწევრად სიტყვისა თუ რომ ზედ მოეკიდების ამათ შემდეგი სიტყვაცა ესე, ვითამც,) «არიან მოკლებულ მადლთაგან ღვთისათა» (ამითი შესრულდა ერთი მწევრი სიტყვისა გარნა არა მრთელი აზრისა გამომცხადებელი, რომელი არა განუსვენებს გონებასა ვიდრემდის თან არა მოეკიდოს მას კვალად სხვა მეორე შედეგი მწევრიცა სიტყვისა, რომელი შეავსებს აზრსა პირველი მწევრისასა და რომლითაცა შესდგება სრული სიტყვა,) მაგალითად: «არამედ მრისხავნიცა, მტონარნი, ნების მიმდრეკნი, მაწყინებელნი მშობელთანი, არა წმიდანი, გულის-თქმის მოყვარენი

ჲ ყოველნი ქედფიცხელნი პირისპირ მცნებათა ღვთისათანი.»

მაგალითი მრავალ ნაწევარით შემდგარი სიტყვისა.

ურჩებისათვის სასწავლებელისაგან გარე განძიებულმან მოწაფემან ურჩობითა მით თვისითა ამიზეზა თავსა თვისსა შემდეგნი ვნებანი ესენი, ვითარმედ გარე განვიდა იგი სიბრძნისა მოსაგებელთაგან, შეუდგა მას დავიწყება მეცნიერებათა სასარგებლოთა, წარწყმედა დიდ ღვაწლთა შრომათა თვისთა, ცუდ ყოფა მრავალ წელიწადიერთა ოფლთა თვისთა, განშორება მყუდროჲსა ცხოვრებისაგან, ჲ შთავრდომა ვნებით სავსესა ცხოვრებასა შინა მსოფლიოთა ქცევათასა.

თუ არა ილოცევდ, არამცა გისმინა, ჲ უკეთუ არა მხურვალედ ჰსცრემლობდი, არამცა შეწყალებულ იქმენ.

კ. რაჲ არს ნაკვეთისაებრ უბნობა?

მ. არს იგი ოდესაც რიტორი ლაპარაკში ზედ დაჰრთულ ჰყოფს მრავალთა ნაკვეთთა.

განსვენებულ არს სული მისი (წმიდისა) ეზოსა შინა ზეციერსა, სადა იგი არიან დასნი ანგელოზთანი, სადა კრებულნი მამათ მთავართანი, სადა გუნდნი წინასწარმეტყველთანი, სადა საყდარნი მოციქულთანი, სადა სიხარული მოწამეთა, სადა ნუგეშინის ცემა მართალთა, სადა ბრწყინვალება მოძღვართა, სადა ხმანი ქრისტესნი შვება ჲ სიხარული. წმიდა გრიგოლ ნოსელი.

არიან წმიდანი პატივსა შინა, განსვენება მათი დიდებასა შინა, მიცვალება მათი სრულებასა შინა, ბედნიერება მათი ნეტარებასა შინა, საყანე წმიდათა თანა, სიხარული ანგელოზთა თანა, სადგური ცათა შინა ჲ დიდება პატივი გამოუთქმელი, ჲ სამარადისო გვირგვინი უფალსა ჩვენი იესო ქრისტე. წმიდა ეპიფანე კვიპრელი.

კ. რაჲ არს ნაწევარისა ებრ უბნობა?

მ. არის იგი ოდესაც რიტორი ლაპარაკშიდ ზედ დაჰ-რთულ ჰყოფს მრავალთა მწევრთა სიტყვისათა ურთი ერთას, მაგალითად: კაცსა არა კეთილ შეზავებულსა აღ-აშფოთებს ამპარტავნება, ჰსტანჯავს განრისხება, გან-ლევს გულის წყრომა, უდარეს ჰყოფს მემთვრალობა, დააბრმობს გულის თქმა და არა წმიდება, განასულელებს შური, დააჭკნობს მცონარება, ჰხრწნის შურის მმარხვე-ლობა, ამჭლობს ანგაჰარება და თვალ ბოროტობა, უშ-ვერ ჰყოფს სიძულილი მოყვასისა, დაკლებულ ჰყოფს ნების მიმდევლობა და გლისპობა ყოველთაგან კეთილ შემკულებათა ხორცთა და სულისათა და წინდებულ ჰყოფს საუკუნოსა შინა სიკვდილსა.

«არს მუნ გუნდი დიდებულთა მოციქულთა, არს მუნ გუნდი დიდებულთა წინასწარმეტყველთა, არს მუნ სიმ-რავლე ურიცხვთა მარტვილთა, მძლე მტერთა თვისთა ზედა, და გვირგვინოსანი.» იე. ოქრო პირი.

აქ საწყუებელ არს, ვითარმედ ოდეს ნაკვეთნი და მწევრ-ნი სიტყვისანი დახშირებულნი და მრავალ კეცნი შეიქმნე-ბიან, მაშინ იმფერ უბნობას ეწოდების გავრცობა.

კ. რა საჭიროა ესრედ დანაწევრება საქცევისა?

მ. პირველად რათა გარკვევით შეიტყონ სიტყვა და მე-ორედ რათა კარგად წარმოითქვას, რომელი ფრიად სა-ჭიროა მჭევრმეტყველისთვის. დემოსთენეს ჰკითხეს სამჯერ, რა ეჭირება მჭევრმეტყველსა, და სამჯერვე უპასუხა, რომ «კარგი წარმოთქმაო.»

მაშ წარმოთქმასთან საჭირო არს გვალად ალაგ ალაგ შესვენება, ანუ ხმის მობრუნება, და ამისთვის გამო-სადეგნი არიან ნაწევარნი კარგი საქცევისანი (წინადა-დებისა)

კ. რა რიგად მოხდება კარგი წარმოთქმა?

მ. თავ და პირველად მჭევრმეტყველმან უნდა გაიტეხოს

ქნა კარგ წარმოთქმაზედ, გამოთქვას ყოველი მარცვალი და ასო.

მეორედ ამაღლება და დამდაბლებაც უნდა ხმისა აზრის დაგვარ სიტყვისა და არა თუ ერთ რიგად გადაატაროს დაკითხვითი, დაშლითი და განკვირვებითი სიტყვა ანუ სიფიცხელის და საყვედრებელი ადგილი, რადგან მით ცივად აჩვენებს სიტყვასა, და მოაწყენს მსმენელთა.

მესამედ წყნარად და მძიმედ წარმოსთქვას შესაფერად ნაწევრებისა და ნაკვეთებისა საქცევთა დასვენებითა, და არ ასწრაფდეს ყმაწვილურად და მით დაღალოს სასმენელნი.

მეოთხედ ნუ შეიტანს სქესს რასამეს წარმოთქმაში, ვითამ თუ იმღეროდეს, როგორც ზოგნი შვრებიან, რომ ძლიერ თავ შესაწყენია და რიგ გარეთი საქმე.

მეხუთედ მაღალის ხმით ნუ იწყობს ყვირილსა, არამედ პირველში რბილად და ტკბილის ხმით წინა სიტყვა სთქვას (თუ რომ უიცარი რამე აზრითა არ დაიწყოს სიტყვა) და მერმე ნელ ნელა შესაფერად გააცხაროს საუბარი.

ამასა ზედა დიდად შეეწევა ხმით წარკითხვა იოვანე ოქროპირის სიტყვებისა, მეტადრე ზეპირად დასწავლა რომელიმე მისის შეგონებისა და წარმოსთქვას ხოლმე ისინი გასაჩვევლად.

## თ ა ვ ი  ბ.

## მ ო ძ რ ა ო ბ ა  მ ჭ ე ვ რ მ ე თ ქ ვ ი ს ა.

კ. რა რიგის მოძრაობა საჭიროა კარგ წარმოთქმასთან ერთად?

მ. მჭევრმეტყველმან თავის ხმასა მოძრაობაც უნდა მიუყენოს გამოთქმულის კნების დაგვარ; ეს თუმც ბლუ

ენა არის, მაგრამ კი მჭევრმეტყველზე და წარმოთქმა-ზედაცა უძლიერესია.

სახსრებში უწარჩინებულესი თავი არის, და ის სწორედ; უნდა ეჭიროს, და სიტყვის აზრის დაგვარ შესძრას ხოლო-მე ხელებითან, მაგალითად: განძიებაზედ გამტყუნებაზედ რამისა, ანუ მოშორებისათვის ვისმესგან ან მოსარიდე-ბლად ხელები უკან მიაქნიოს და თავი აქეთ წამოიღოს. არც ერთი ვნება არის, რაც არ იყოს ცხადად წარმოდ-გენილი წარმომთქმელის სახეში და თვალებში; ამის გა-მო მართებს იმას რომ აზრის დაგვარ უნდა შეიცვალოს ისინი ხან დამქადებელად, ხან მვედრებელად, ხან მწუ-ხარედ და ხან მხიარულად, ხან რისხიანად და ხან მდაბლად გამოჩნდეს.

თუმცა თვალებში და სახეში უცხადესად გამოჩნდება სულ-ის ვნება, მაგრამ ხელები უმთვრო ხელოვნურად გამოა-გნებენ აზრების ძალას და განმარტებასა.

ბლუთ მცინარნი ძველ დროს თეატრში ხელოვნურად ხელის მოძრაობითა, მაყურებელთ ატირებდნენ ხოლმე.

ახლა ხელის მოძრაობაში მარჯვენა ხელი მარცხენა მხ-არის მკერდითგან დაწყობილი მარჯვნივ უნდა წაიღოს ხოლმე ხელის თითები სწორედ და გაშლილი უნდა ჰქო-ნდეს და მკლავი გაწვდილი მხრებზედ მაღლა ნუ აიღებს ხელებსა და ნუცა მხრიების გასწორ; ტანითგან შორს უნდა ეჭიროს და თვითქმის სრულ იმითი უნდა იწყოს მოძრაობა.

აგრეთვე მარცხენა ხელი მარჯვნითგან მარცხნივ უნდა წაიღოს და არ უნდა სძრევდეს მარტო მარცხენასა, არა-მედ მუდამ წყვილად.

საქცევის დასრულებისა, უნდა დააყენოს ხელის მოძრა-ობაცა და დაწყოს ამბიონზედ და არა ამბიონის გარეთ ანუ შინაგან ჩაიღოს. ხოლო თუ ფეხზედ ლაპარაკობდ-

ეს, საქცევს დაასრულებს თუ არა ორივე მკლავები [illegible] ქვე ჩამოყაროს; გარნა თუ სკამზედ იჯდეს, ხელები მუხლზედ უნდა დაიწყოს.

მრავალნაირი ფორმები არიან მოძრაობისა, რომელი გაჩვევითა და წურთვითა ისწავლება. — სიმაღლის საჩვენებლად ცოტა თავი უნდა გარდაიღოს და თვალები ზე აღიმაღლოს თავის აუმაღლებლად და ორივ ხელებიც ქვემოდგან ზე აღიღოს ასწიოს განწვადებით და ხელის გულების ერისაკენ ჩვენებით.

ხოლო სიღრმის საჩვენებლად ამის წინაღმდეგ თვალები დედა მიწისკენ უნდა დაიმდაბლოს, და ისე ასწიოს ხელები ზემოდ ჩვენებით ხელის ზურგისა ერსადმი.

სივრცის საჩვენებლად ორივე ხელები მკერდითგან მარჯვნივ და მარცხვნივ უნდა მოართვინოს თვალებითან ერთად.

სიგრძის საჩვენებლად ორივე მკლავები ერთად ერთი მხარისკენ უნდა განიწვადოს თანასწორედ და ხელის გულები პირ ქვე.

ამ სახით კვალად სხვა ფორმებიც უნდა ისწავლოს კარგად გარჩეული პირებისაგან; და ესეც უნდა იცოდეს რომ ყოველი მოძრაობა და ფორმები ყველას ერთნაირად არ მოუხდება. აგრეთვე არც სიტყვის დასაწყისშივე უნდა დაიწყოს ხოლმე მოძრაობა, არამედ ნელნელა და მუდამ კი წყნარად უნდა მოძრაობდეს.

გარნა უკეთესი საზოგადო კანონი ხმისა და მოძრაობათა ის არის, რომ ბუნებით რიგს მიჰყვეს, რომელშიც არის სისრულე ხელოვნებისა, მხატვარისავით გაამშვენიეროს კი ბუნებითი ქცევა, გარნა არა ოდეს განშორდეს ბუნებისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თ ა ვ ი ზ.

### მ ა ღ ა ლ ი ს ქ ე ს ი გ ი ნ ა კ ი ლ ო (Style)

კ. რა არის სქესი გინა კილო?

მ. შესახედაობა სიტყვისა სიტყვის აზრისაებრ შეფერებული და მოწყობილი. ახლა თუმც მრავალ რიგი სქესი არის სიტყვისა, არა მარტო ნაირ ნაირის თხზულობის დაგვარად, არამედ ზნეობისა და გარემოებისა ებრ შემთხზველთაცა გარჩეული, გარნა მაინც რიტორნი სიადვილისათვის მოსწავლეთა უმთავრეს სამის სახის სქესად (კილოდ) ჰყოფენ, ვითამც სქესი მაღალი, მარტივი და ზომიერი.

კ. რა არის მაღალი სტილი?

მ. რას შინაცა მჭევრმეტყველი იხმარებს უპატიოსნეს განზრახვათა, უდიდებულეს საუბართა, უმხნეეს ფორმებსა და უფიცხელეს გულის მღელვარებათა.

ესრედ აღსწერს ბრძენი აარონს, როცა წარდგა იგი მკვდართა და ცოცხალთა შუა დასაცხრომელად ღვთის რისხვისა წყდებოდა რა ერი.

«რამეთუ ისწრაფა კაცმან უბიწომან, წინა ბრძოდა თვისისა მსახურებისა საჭურველი, მოიღო ლოცვა და საკმეველი ლხინებისა, ნაცვლად წინა აღუდგა რისხვასა, და უკანასკნელ დადვა ჭირნი; აჩვენა რამეთუ შენი არს მონა. სძლო მავნებელსა, არა ძალითა ხორციელითა, არცა საჭურველისა გავლენითა, არამედ სიტყვითა დაიმორჩილა განსწავლული. ფიცნი მამათანი და აღთქმა მოიხსენა ხორა ხორად უკვე დაცემულთა მკვდართა ურთიერთსა ზედა, შორის დადგა, მოჰკვეთა რისხვაჲ: განჰყო გზაჲ შორის ცხოველთა და მკვდართა. რამეთუ ზეწარ ყოვლი

სამოსელსა ზედა იყო ყოველი სამკაული და მამათმთავართა დიდებაჲ ოთხ მწყობართა ქვათა ზედა მისსა გამოქანდაკებული და დიდებაჲ შენი დიადიმა თავსა ზედა მისსა. ამით უკუ-სდგა აღმომფხვრელი ხოლო ამით შეეშინა.»

სიბრძნე.

განრჩევა როცა აღსწერს ღვთის მფარველობასა მართალთა.

«ხოლო მართალი უკვე სცხონდეს, და უფლისა მიერ სასყიდელი მათი, და ზრუნვა მათი მაღლისაგან... და მკლავითა თვისითა შეეწიოს მას. მოიღოს ყოვლად საჭურველი შურისა თვისისა, და შეჭურნეს ქმნულნი შურის საძიებლად მტერთა, და შეიმოსოს ჯაჭვი სიმართლე, და დაადგას ჩაფხუტი სასჯელი არა მლიქვნელი. მოიღოს ფარი უძლეველი ღირსება, და ალესოს თვალუწვავი რისხვა საჭურველსა შინა და ბრძოდის მისთანა სოფლიცა უგუნურთა ზედა. ვიდოდიან ისარნი ძლიერნაჲ ელვათანი; და ვითარცა კეთილითა მომრგვალებულითა მშვილდისათა ღრუბლით გამო სრბოდნენ საგანსა ზედა, და კლდის მრტყორცელისა გულის-წყრომითა სავსე დაეცემოდიან სეტყვანი. დაღატუდეს მათ ზედა წყალი ზღვისა, და მდინარენი წარღვნიდეს მყისად. წინა-აღუდგეს მათ ქარი ძლიერებისა, და ვითარცა აღმურმან განაქარნეს იგინი. და მოაოხროს ყოველი ქვეყანა უსჯულოებამან და ძვირის საქმემან დაამხვნეს საყდარნი ძლიერთანი.» იგივე.

ეგრეთვე იობის ზედ წარწერა ცხენისა.

«აგრგვინამს ველსა ზედა და ბრდღვნის, განვალს ველსა ზედა ძლიერებითა; შემთხვეველი ისრისა ეცინის, და არა უკუნ იქცევის რკინისაგან. მას ზედა იმღერის მშვილდი და მახვილი და ცვალება ფარისა და ოროლისა; და რისხვათა მოსპობს ქვეყანასა. და არა სწამს ვიდრე უმღერის

დასცენ საყვირსა; ხოლო და რა იცის საყვირი, იგი [illegible]-ვაშა იტყვის! და შორით იყნოსებს ბრძოლასა, ხლტო-მითა და ღაღადებითა.»                    იობ.

## თ ა ვ ი დ.

### მარტივი და ზომიერი სქესები (კილონი)

კ. რა არის მარტივი და ზომიერი სქესი?

მ. როცა მჭევრმეტყველი ადვილ გასაგებელი სიტყ-ვითა და ჩინებული საუბრით იხმარებს ბუნებით სამკა-ულს და მოწყობილობასა, რომელსაც ორატორი თვით მოწყობილ სქესს უწოდებს.

«და ეტყოდა თორნიკი: ვითარმედ წმიდანო მამანო მე ცოდვათა ჩემთათვის მოვსულ ვარ ამას წმიდასა ად-გილსა და შეუძლებელ არს ჩემი მეფეთა წინაშე წასვლა, რამეთუ მე ვიცი თუ რომლისა პირისათვის მიხმობენ, და ვინათგან ღმერთმან ღირს მყო და სახე მონაზონებისა შევიმოსე მე, ამიერითგან არცაღა მეფეთათვისცა მიძს შესაპოვარი, არცაღა სხვასა ვის ქვეყანასა ზედა. აწ ვე-ვედრები სიწმიდესა თქვენსა ღვთის სიყვარულისათვის შემინდევით და ნუ მაიძულებით ამის პირისათვის, რამეთუ უკეთუ წარვიდე ამის სოფლისათვის მეფოთსა შინა შთა-მაგდებენ.

«ხოლო თორნიკს მოუწერეს: ვიცით რომელ ღმერთი შეგეწევის, ნუ რას ორგულებ და ოდეს ღმერთმან წარ-გიმართოს ყოველნი წინაამდგომნი ჩვენნი დაატყუევენ და ყოველივე ნატყუენავი მათი შენი იყოს. რომლისათ-ვისცა მისცა კურაპალატმან ტაო შავშ-კლარჯისამან თორმეტი ათასი მხედარი რჩეული თორნიკს, და შეწევ-ნითა ქრისტესითა აოტა სკლიაროსი ვიდრე სპარსეთა-

ღმდე წარიქცია, მერმე შეიქცა და სიტყვისაებრ მეფეთა დაატყვევნა ყოველნი დიდებულნი საბერძნეთისანი და მონაგები მათი იავარ ჰყო, რომელნიმე ლაშქართა განუყო და რომელნიმე თვით დაიჭირა. და კვალად აქავე მოიქცა ურიცხვითა საფასითა და განძითა, რამეთუ უფროს ათორმეტისა კენდინარისა მოიღო, ოდენ სხვათა ტურფათაგან კიდე, რომელმან იგი ყოველივე მამისა თვისისა სულიერისა ხელითა მისცა და თავი თვისი სრულიად უარ-ჰყო.» მამათ ცხოვრებაში.

აგრეთვე მამა ჩვენი ევთიმე სჯულის კანონსა შინა «სახიერი და კაცთ მოყვარე და მრავალ მოწყალე ჭეშმარიტი ღმერთი და მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე, აურაცხელითა მით სიტკბოებითა მისითა მარადის ქველის მოქმედებათა მისთა აჩვენებს და წყალობათა მისთა დაუცხრომელად უხვებით მოჰფენს ჩვენ ზედა. ჯერ არს უკვე ჩვენცა მონათა მისთა, დაღაცა თუ ჯერისაებრ ვერარას შევსწირავთ მადლობასა ქველის მოქმედებასა მისისასა, არამედ რაოდენიცა შემძლებელ ვართ, ვქადაგებდეთ დიდებულებათა სახიერებისა მისისათა, და სასმენელ ვჰყვნეთ ძლიერებანი და ქებულებანი მოწყალებათა მისთანი და სიტკბოებისა მისისანი, და გამოუთქმელი იგი სულგრძელებაჲ კაცთ მოყვარებისა მისისა, რომელსა აჩვენებს აურაცხველთა მათ ცოდვათა ჩვენთა ზედა.»

კ. რა არის ზომიერი სქესი?

მ. რასაც არც მარტივის სილბო ექმნება და არც მადლის ფიცხელი ძალა, არამედ ორივესვე ეახლოვება.

«ამაშ უკვე სთქუ სახამსოდ სამყოფისა სვეტნი მრავალნი და მოქანდაკულნი სვეტისთავნი, და პირად პირადნი სახენი ხატთანი, და მოოქროვებულნი ნახატნი კედლისა, კვალადცა თვით ელვარე ფერნი ნასახთა და პირად პირადნი წამალნი ურთიერთათანა შეხამებულნი, რა სარგებელ

არს ? გარნა განმჰარტავნებისა, მოქადულობისა დ~ მა-ლაღობისა მიზეზ არიან დ~ ნამეტნავის უგუნურებისა. ყოველსა შინა სახამსონი გვიხმს, რაჲცა გვინდეს დ~ განმოვიყენებდეთ. ჰხედავა, ვითარმედ მავნებელ არს დ~ არა მარგებელ, ნამეტნავი დ~ უსარგებლო? რამეთუ უკე-თუ უმეტესად საჭიროება არა გვთხოვდეს დ~ არცა მშვე-ნიერება სახისა, რაზედა წარხდების დრო, განძლების თვალი, დ~ არღარა შეირაცხების მშვენიერ, დ~ არცაღა აგრძნობინებს მედიდურობასა. ჰავლე იგი რაჲსაცა სა-რგებელს ჰგონებდა, მასვე საგნებელად ჰრაცხდა ქრის-ტესათვის, ვიდრემდის შემსჭავლულ ვართ ქვეყნად? ვიდრემდის არ აღვიპყრობით თვალთა ზეცისადმი? ვერ ხედავა მოხუცთა, ვითარ არცა ერთსა სასიამოვნოთა იხ-სენებენ? ვერა ჰხედავა მიცვალებულთა, ვიეთთამე მო-ხუცებულობასა შინა, ვითთამე სიყმაწვილესა შინა? ვე-რა ჰხედავა მრავალთ ცოცხალთაცა მოწყვეტილთა ქონე-ბისაგან? ეს ზომ მუხლთ რაჲ ვუყრით წარმავალთა დ~ დაუდეგართა? რაჲ უკვე ეს ზომ შეგავშირებულ ვართ საგნოთა ზედა? ვიდრემდის ხელთ არ ვჰკიდამთ წარუ-ვალთა დ~ საშარადისოთა? »

«დღემან იწყო მიდრეკად დ~ მზემან დასვლად დ~ ჰაერ-მან სხვად ფერად უფერულობა. და ცისკარს დღისასა ზედა იწყეს შემოსად ბნელთა ღრუბელთა. დაწვთა მათ ვარდოვანთა იწყეს დაჭკნობად დ~ თვალთა მათ ტბაებრ მზისა შემცხრომელთა სიმრუდეჲ მიმართეს. ხელთა მათ მსახურებისაგან გლახაკთასა არა ოდეს დაცხრომილთა, იწყეს მოუძლურებად, დ~ ფერხთა მათ მარადის ღვთისა-თვის მაშვრალთა იწყეს შედრეკად დ~ ყოველნი ნიშნი ცხოვრებისანი სხვად დ~ სხვად ფერად იხილვებოდეს.»

ქართველთ ცხოვრებაში.

## თ ა ვ ი  მ.

### გ ა მ ო რ ჩ ე ვ ა  ს ქ ე ს ი ს ა  (გილოსი)

კ. ამ მოხსენებულის სამის სქესისაგან რომელი არის უპეთესი.

მ. სამივე საქებურნი არიან, მაგრამ მაღალი უმთვრო უპეთესი არის მეორებზედა, მჭევრმეტყველმან აზრისაებრ სიტყვისა და საქმის დაგვარ სამივე უნდა იხმაროს ხოლმე, რადგან ამ სამივე ნაირად გაწყობითა და ამითი ხმარებითა შეიქმნება სრული მჭევრმეტყველი.

მაგრამ ძლიერ კი ძნელია რომ სამივე კაცს ერთად მოემარჯოს და ძლიერ ადვილი სამივესიც წახდენა, რადგან მარტივს შესცვლის მდარეზედ, მორთულობას ზიგიზინტებზედ და უნიჭობაზედ, და სიმაღლეს უბრალო დიდთქვიანობაზედა.

კ. სხვა რაღა სწავლა გვჭირია სქესებისათვის?

მ. ეს რომ ამ სამი სქესის გარდა არიან სხვა სქესებიცა, როგორც მათემათიკური, ნამდვილ მოთხრობითი და ლაკონური სქესი (სტილი) რომელიც ძეგლწერილებისა და სხვა მისთანა რამეებზედ დაიწერება, სრულიად ბუნებითად გამოთქმით და არა მოწყობილობითა.

მათემათიკური ხშირად იპოვების იობის საკითხავში მაგ:

«რომელმან გარდართხნა ცაჲ მხოლომან, და რომელი ვალს ზღვის კიდესა ვითარცა ქვეყნისა კიდესა. რომელმან ჰქმნა ხომლნი, ცისკარი, ურემ ხარნი, და საუნჯენი ბღვარისა... რომელმან განჰკვეთა ბღვარი არა რათა ზედა ვიდრე რომელმან დაჰკიდა ქვეყანა არა რაჲსა ზედა, ვიდრე რომელი შეჰკრებს წყალსა ღრუბელთა შინა თვისთა; და არა განიპობის ღრუბელი ქვეშე მისსა...

ხოლო სწავლულ ხარა სივრცესა ცისა ქუეშე ხოლო მით-
ხარ მე რაოდენი არს? ხოლო რომელსა ქუეყანასა დაე-
შენების ნათელი, ხოლო ბნელისა, რომელი ადგილი
არს? უკეთუ უკვე მიმიყვანო მე საზღვართა შინა მათთა,
ხოლო უკეთუმცა და იცნი გზანი მათნი? ხოლო მიხვედ
თუ საუნჯეთა შინა თოვლისასა, და საუნჯე სეტყვისა გა-
ხილავს თუ? ხოლო სადეთგან გამოვალს თრთვილი,
ანუ განიფინების ბლვარი ცასა ქუეშეთისა ზედა? ხოლო
ვინ განამზადა დიდთა წვიმათა დინებაა და გზა ელვაქუ-
ხილისა წვიმად ქუეყანასა, სადაცა არა არს კაცი, უდაბ-
ნოსა უკაცურსა, განძღობად უვალისა და უხოვლოსა და
აღმოცენებად მცენართა მწვანილთა.)) იობ.

მაგალითი მოთხრობითისა, საქუსისა (კილოსი) მშვე-
ნიერი და უნამეტნაო.

((ვინაიდგან უკვე მრავალთა ხელ-ჰყვეს აღწერად მოთხ-
რობისა, საქმეთათვის გულ სავსე ქმნილთა ჩვენ შორის
ვითარცა იგი მომცეს ჩვენ, რომელნი დასაბამითგან
თვით მხილველ და მსახურ ყოფილ იყვნეს სიტყვისა მის
ჯერ მიჩნდა მეცა რომელი შევუდეგ პირველითგან ყოვ-
ლითა ჭეშმარიტებითა შემდგომითი შემდგომად მიწე-
რად შენდა მხნეო ღმრთის მოყვარეო თეოფილე. რათა
ჰსცნა რომელთათვის იგი ისწავე სიტყვათა მათ კრძალუ-
ლებისა.)) ლუკა მახარე.

((პირველი ესე სიტყვა ვჰყავ ყოველთათვის ჰოი ღმრთის
მოყვარეო თეოფილე, რომელთა იწყო იესო ყოფად და
სწავლებად, ვიდრე დღედ რომლისადმდე ამცნებდა მოცი-
ქულთა სულითა წმიდითა, რომელნი გამოირჩივნა და
აღამაღლდა, რომელთაცა წარუდგინა თავი თვისი ცხო-
ველი, შემდგომად ვნებისა მისისა მრავლითა ჭეშმარი-
ტითა სახითა ორმეოცთა დღეთა ეჩვენებოდა მათ და ეტ-
ყოდა სასუფეველისათვის ღმრთისა. და თანა ექცეოდა მათ

და ამცნებდა იერუსალიმით ნუ განეშორებით, არამედ მოელოდეთ აღთქმასა მამისასა, რომელი გესმათ ჩემგან.»

საქმე მოციქ.

კ. რა არის ლაკონური სქესი?

მ. სრულიად მოკლე და გამკვეთი; ეს სქესი სპარტიის ლაკონელებმა შემოიღეს, რომ თავიანთ მტრების გამწვიადებულ დაქადებაებზედ ამ ერთი «უკეთუ» გავშორითა პასუხს მისცემდნენ ხოლმე. ე. ი. უკეთუ ხელითგან გამოგივათ უარესი გარდაგვახდევინეთო. აგრეთვე მაკედონელი ფილიპეს მეფის დამუქარებასა ეს უპასუხეს: «დიონესიო კორინთეს.» ე. ი. მოიგონე დიონესიო, რომელიც შენსავით მძლავრობდა, და ახლა განდევნილი მწირობს კორინთესაო. ესრედვე იყო ზედ წარწერა ათენის ბომონისა: «უცნაური ღმერთი.» ე. ი. ის ბომონი შეწირულ იყო ათინელებისაგან თავიანთ უცნობი ღვთისათვის.

ეგვიპტეში ფაროს გოდოლზედაც იყო წარწერილი: «სოსტრატ კნიდელი დექსიფანის ძე კერპთა მცველთა მენავეთა.» ეს კოშკი პტოლომე ძმის მოყვარე მეფემ აღაშენებინა შემომავალი ნავების სანათურად. ხოლო ქვებუდანმა ხუროთ მოძღვარმან თვისი სახელი გამოიყვანა, როგორც თუ ის სწირავდეს მენავების მფარველ ღმერთებსა, (კერპებსა.)

კვალად ძველი დროჲს ვიცდა დედის ერთი ყმაწვილის საფლავზედ სწერია: «რაჟამცა შენ-თანა გედვა ჩემთვის, მიიღე დედის შენისაგან.» სამიელთა მოთხოვნილებისა ეს პასუხი მისცა სპარტელმა კლეომენ მხედართ თავმან «თქვენის ნათქვამებისაგანი თავი არ მახსოვს, შუა არ მესმის და ბოლონდელზედ არ ვარ თანახმა.« გაუგზავნა არქიდამოს წიგნი ილიელებსა, რომელნიც გმზადებოდნენ საომრად: «გწერ არქიდამო ილიელებსა,

გირჩევნიათ დასწყნარდეთ.» როცა ჯულიო კესარმან გაიმარჯვა მირდატის ძე ფარნაკზედ, ასე მისწერა რომის სინოდსა: «მოვედი, ვნახე და გავიმარჯვე.»

## თავი ზ.

### სწავლა სქესისა.

კ. როგორ ისწავლების მშვენიერი სქესი? (კილო)

მ. ყველაზედ წინ თხზულობის დროს კარგად უნდა იფიქროს და გონებაში წარმოიდგინოს რაც სათქმელად უნდოდეს; თუ კაცს რიგიანად და გარკვევით გონებაში არ ჰქონდეს აზრი, შეუძლებელია რომ იმან კარგად გამოსთქვას იგი.

მეორედ, გაიწვიოს ხელი წერაში და შეთხზვაში, ისიც წყნარად და არა აჩქარებით ძალანებრივ, მეტადრე პირველს ვარჯიშში, მერმე კი წყნარად და დაფიქრებით მიჰვევა რა რიგი თხზულებაც ჰსურდეს.

მესამედ, ცოტა ხნის შემდგომ აიღოს გამოიძიოს დაწერილი თვისი, გამოსძებნოს მისი ნაკლებულობანი, გაასწოროს, გაასუფთაოს და მომეტებულნი წაშალოს.

მეოთხედ, იკითხოს ხოლმე ფიქრ მიყრით კარგი თხზულებანი, და გამოიძიოს იმათი სქესი და საქცევი აზრებისა; გარდმოიწეროს რამდენიმე ნაკვეთი იქითგან, ანუ დაისწავლოს ზეპირად.

მეხუთედ, დაისწავლის რა კარგი მწერლების ნაკვეთის აზრებსა, შეთხზოს მერე იგინი თავის მოაზრებითა მიბაძვით მათდამი და მერმე შეადაროს ისინი ნამდვილთანა.

მეექვსედ, აზრის დაგვარ თვითეული სიტყვის კილო

უნდა გააწყოს; რადგან უხამშვენი არ არის ლექსივით დააწყოს სიტყვები, როცა სწორე სიტყვის თქმა საჭიროებდეს ანუ მარტივი მოთხრობა იყოს.

მეშვიდედ, იკითხოს თხზულებანი კრიტიკოსთა და დახელოვნებულთ რიტორთა, დაისწავლოს კანონები ჭევრ-მეტყველებისანი გარდმოცემულნი იმათგან და იმათი წინამძღვრე ნაკლულევანებების ერიდოს.

კ. სხვა ღონის ძიებაც არის სქესის სწავლისათვის და გასწორებისა?

მ. კი არის, მაგრამ ის ცნის მცოდინებისათვის არის შენახული, რადგან ისინი ძლიერ ადვილად განიწაფებიან და გაიკეთებენ თავიანთ სქესსა, თარგმნობითა კარგის თხზულებათების, რომლებში ერთ კერძოდ დაიცვებენ სრულიად სინამდვილესა მათისა, და მეორე კერძოდ არცალა დედა ენასა თვისსა განსხრწნიან. ამისთვის რომ სხვ და სხვა არის გრამმატიკის კანონები და თვისება თვითოულის ენისა, და სხვა და სხვა საუბრის კილო და სქესი თვითეული მწერლისა. მთარგმნელმან იმათი გრამმატიკული კანონები და მიმართულობა (თვისება) უნდა გარდაილოს თავისი ენის თვისებაზედ, არ უნდა გადააბრუნოს იმათი კილო (სტილი) თუ არა და მაშინ ერთ რიგად მისი კალმით იღაპარაკებენ ყოველი მწერლები ჩინებული თუ მდარე რომლით მას მერმედ არა თუ მწერლები არამედ მთარგმნელი იქმნება მოლაპარაკე. ამ რიგი თარგმანი ან ცოტად და ანუ სრულ არ გამოადგება სქესის სწავლაში, არა თუ მარტო წამკითხველთა, არამედ მთარგმნელთაცა. ხოლო ვინც ეცდება ნამდვილოგან (ტექსტიდგან) გარედ გაუსვლელობასა და მიამსგავსებს თავის სიტყვის კილოს მის კილოსა, იმითი ისრე გაიწვევს თავის ხელს, რომ თვითანაც შეთხზამს რა, იმის ნაირად გააწყობს სიტყვის კილოსა და ჩინებულს აზრსა, და მათ

ეროვნული ბიბლიოთეკა



მისი გრამმატიკული სქესი უკეთესად გაიწყობა; ამიტომ რომ ვინც სინამდვილი თურთ თარგმნისა მიჰყვება სქესსა და თავისი დედანის თვისებასა, ცხადია რომელ კარგ ქართულს წარმოსთქვამს.

კ. როგორ გაიწაფოს უნდა კარგ თარგმანზედ?

მ. კაცს რა ენითგანაც თარგმნობა უნდოდეს, იმ ენის ნამდვილი თექსტი უნდა შეადაროს სხვის მისგან კარგ ნათარგმნსა, ეს კარგი ნათარგმნებიც ჩვენი წინაპარებისგანა არის უფროსი ერთი საღმთო წერილი ხუცურს ენაზედ. მხედრულის ენითაც თარგმანზედ გასაჩვევლად, კვლავ უნდა მივმართოთ საღმრთო წერილსა, რადგან უდიდესი სინამდვილე დაცულია იმაში და საღმთო წერილის ყოველი თარგმნობა ჩვენი იყოს თუ სხვათა ყოვლითურთ ემსგავსებიან ნამდვილსა, ამისთვის რომელიც შეადარებს იმათ ერთმან ერთთან, ნახამს თუ რა ნაწილები და ლექსები არიან, რომელთაც რომ იტალიელი, ფრანგი და სხვაც, დაუმატებს თავისი ენის თვისების დასაცველად, და თუ იმათი რომელი სქესი ჩვენს სქესს მიუდგება. ესრეთი შეფარდება უმფრო სასარგებლო იქმნება, თუ გამოირჩიოს საღმთო წერილისაგან ჩინებულნი თხზულებანი, როგორც წიგნი სიბრძნისა, ივდითისა, ლუკას სახარება და საქმე მოციქულთა და სხვაც.

კ. რაში ჰგიებს გადმოთარგმნა?

მ. გადმოთარგმნა ჰგიებს იმაში რომ ავტორის აზრები ერთი ენიდამ მეორე ენაზე გარდმოიღებიან. ესე ვითარი ვარჯიში გინა გაწაფვა დიდად გამოსადეგი და სასარგებლოა ყოველა ნაირი ლაპარაკის სქესში გინა სტილში დახელოვნებისათვის. ამის გამო ევროპიის დიდთა და წარჩინებულთ ავტორთა და მწერალთა რიგის გარეთი ყურად-ღება მიუქცევიათ ამაზედ. ციცერონს, მრავალი პლატონისა, ქსენოფონტესი და დემოსთენეს შეთხზული

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიგნები გადუთარგმნია ლათინურად, რათა ამით თავის დედა ენაზე კარგად წერასა და სუფთა სტილს მისჩვეოდა.

უეჭველია რომ რა გინდ დიდის გულ მოდგინებით წავიკითხოთ ერთი თხზულობა, და დაწვრილებით დავარჩიოთ ავხსნათ იგი, მაინც იგოდნად ძირით და სრულად ვერ აღვიბეჭდავთ გონებაში იმის აზრებს, რაოდნათაც გარდმოთარგმნა მისი აღგვიბეჭდავს ფიქრში მათ; რადგან ესე იძულებულს გვყოფს რომ გულ-ხმიერება მივყაროთ იმ თხზულობაზე რომელსაც ვთარგმნით, და დაწვრილებით გამოვიძიოთ მისი აზრები, ლექსების გაწყობილობანი, და მათი გამოთქმის ნაირობანი. მთარგმნელი იმდენად წინ წავა ამ გაწაფვით, ვიდრემდის ბოლოს იმ თავისგან ნათარგმნი თხზულობის კილოს და სტილს შეითვისებს; რადგან ის ამითი თან სთხზავს და თანვე სთარგმნის მას, მაგალითად: თუ რომ გინდოდეს უცხო ენიდგან მეტყობა ერთი ფარული აზრისა ანუ თუ გარდათარგმნა აზრისა ერთის სხვა შენგან უცნობელს ენაზე, დამჭირნე ხარ ამ ორივე შემთხვევაში რომ გამოიძიო ლექსები თვითო თვითოდ, აზრებიც კარგათ დასჭვრიტო, იდიების გაწყობილებას ყურად ღება მიაქციო და გარჩევით და ცხადათ გაიცნო მათი ძალა, და ის რაც იმ ორი ენის შუა გარჩეულება მოიპოების; კიდევ ძალდატანებულ გვყოფს ეს შენ რომ თვალ წინ წარმოიდგინო და გაშინჯო აღურაცხელი ლექსები, ფრაზების ტრიალი, ასწორო და შეადარო თანვე ერთისა და მეორის ღირება და ძალა, და ათას ნაირად მიატრიალო მოატრიალო ის ფრაზი, ვიდრემდისინ სრულად გამოიყვანო ერთ მარტო იმ ავტორის ფიქრი და (აზრი), არამედ თვით იმისი ლაპარაკის ნაირობაცა. (სტილი)

მთარგმნელს დასჭირდებაცა მიუცილებლად ძირით და სრულად ცოდნა ორივე ენისა რომელთაც ჰსცვლის ერთს

შეტრეზე, დ~ ამასთანვე უნდა მიხვდეს დ~ შეიტყოს იმ ავტორის გენიო დ~ მისი ლაპარაკის ფორმები, რომლის თხზულობასაც სთარგმნის. კაი თარგმნის ღირსება ამაში ჰგიებს რომ ეს ორი თვისება ჰქონდეს თხზულებას რომლებისაც ხშირად ძნელია ერთად შეთანხმება ე. ი. ნამდვილება (გინა მორწმუნება) დ~ თავის-უფლ-ება.

ნამდვილობა ამაში ჰგიებს რომ, მთარგმნელი არა თუ მხოლოდ ავტორის აზრებს სრულად გარდაიღებს თავის თხზულობაში, არამედ თვით იმავე იმისი იდიების შეწყობილებას დ~ ლაპარაკის ნაირობას გინა სტილსაცა (კილოს). თავისუფლებაც მოითხოვს რომ თუმცაღა მთარგმნელმა უნდა ეცადოს შენახვას იმ ენის თვისებისასა რომელსაცა ჰსთარგმნის, მაგრამ მაინც მუდამ უნდა შეუდგეს იგი იმ თავის ენის თვისებასაცა, მის საკუთრებათა დ~ ფორმათა, რომელზედაც რომ სთარგმნის. ამისთვის მთარგმნელმა ეს შემდეგი საშუალობანი უნდა იხმაროს სრულად გადმოთარგმნისათვის; მაგალითად:

ა. წაიკითხე ერთიან ის თხზულების ადგილი რომელიც უნდა სთარგმნო, თუ რომ ამ პირველი წაკითხვით ვერ შეიტყე დ~ ვერ ჩახვდი მის სრულს აზრსა გინა ძალასა, ცხადია რომ ერთ ნაირად ის თხზულობა შენთვის მაღალი მოჩანს.

ბ. რაც იყოს მაინც ხელმეორე გულმოდგინებით გარდაიკითხე, მერე ფრაზები თითო თითოთ გამოიძიე, რომელი ლექსებიც რომ არ გესმის ლექსიკონში მოჰძებნე დ~ კარგად შეიტყე მათი მნიშვნელობა.

გ. ის ფრაზები, რომლების ძალაც არ გესმის ცხადათ გრამმატიკულს კანონზე გააწყე (ე. ი. მოუძებნე მას უფალი, ზმნა, დ~ სხვა დ~ სხვა ნაირი ძიებები) დ~ როგორც თავის ენაშია ლექს ლექსად შეტყობას ეცადე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დ. შეადარე შენი ნათარგმნის სხვა და სხვა ადგილები ერთი მეორესთან, არ იქმნას ამაითში შენი გადმოღებული აზრები ერთი მეორის წინააღმდეგი იყოს.

ე. როდესაც საგანი თხზულობისა თავის გარემოებით შეიტყე, მაშინ გარდმოთარგმნე და გარდმოიღე შენს ენაზე სრულად იგივე აზრები და ეცადე რომ ზემორედ ნათქვამი თავის უფლება და ნამდვილობა ორნივე ერთად იპოვებოდნენ შენს ახალს თხზულებაში.

ვ. გარდაიკითხე ხელახლავ ის ადგილი რომელიც დასთარგმნე, შესატყობილად არ იქმნას რამე გამოგეტოვებინოს; შენი ნათარგმნიც გარდაიკითხე და შეადარე შენი სტილი (კილო) შენი ენის თვისებასთან, ნუ თუ აზრები და თხზულება ადვილად გასაგონნი არიან და მისდევენ ერთმან ერთსა?

ზ. როგორ შეიძლება მომახვილება გონებისა რომ ადვილად გაიზეპიროს რამე მოსწავლემ?

თ. როგორც ყოველი ნიჭიერება გონებისა ვარჯიშითა და გაწაფვითა წარიმატების, ეგრეთვე ხსოვნაცა; ამისთვის არ უნდა დავსტოვოთ უქმად ხსოვნის ნიჭიერება, არამედ ხშირად გავიზეპიროთ ხოლმე მუხლები სიტყვის ან მშვენიერის ლექსებისა და მალ მალ წარმოვსთქვათ ისინი.

მეორედ, რამის ზეპირად დასწავლის წინად გამოვიკვლიოთ მისი ნაწილები და დავისწავლოთ აზრები.

მესამედ, თუ ვრცელი რამ იყოს, გაჰყოს ის ნაწილებად.

მეოთხედ, თვითანვე გარდიწეროს დასასწავლებელი, და არ შეაცილოს გარდაწერაში; რადგან გარდაწერაცა იგი შეეწევა მეხსიერებასა.

მეხუთედ, დასაწყისში არა მაღალის ხმით არამედ ჩუმად ისწავლოს, და მერმე მაღალის ხმით წარმოსთქვას ნასწავლი.

მექვსედ, დილით უზმა დაუღალავის გონებით ისწავ-ლოს სანამ არ დამძიმებულ იყოს ფიქრებისაგან.

მეშვიდედ, ღამე დაწოლის წინად წაიკითხოს დასასწავლებელი ადგილი ორჯერ ანუ სამჯერ გულის ყურიან, რომ ღამის მოსვენებულობა ღრმად აღაბეჭდინამს მის გონებაში.

მეერვედ, გამოადგებიან გარეგანი ნიშნებიცა მოსაგონებლად დასასწავლებელი საგნებისა. მაგრამ ყველაზედ უმფრო მეტად შეეწევა ხორცის სიწმინდით და საბატიურად ცხოვრება და გონების დაწყნარებულობა, რომელნიც ყოველ ნაირი სწავლისა და მეცნიერების ვარჯისისათვის მიუცილებლად საჭირონა არიან·

## თავი ც.

### ლოღიკებრივნი მეტყველებანი სილოგიზმო და ღონის ძიება.

კ. ნამეტნავია მგონია ლოღიკის ცივი და მოსაწყენელი საშვალება, რადგან აგერ მჭევრმეტყველი უმფრო უძლიერესად გვაგონებს მხიარულ რიტორული მოუბრობითა, ფორმებითა, და ხელოვნების ღონის ძიებითა?

მ. მართალია შთაგონებისათვის ძლიერ კარგი არიან მჭევრმეტყველური ფორმები და ღონენი, მაგრამ თვინიერ ლოღიკისა უსულო სხეულია რიტორება, რადგან სუნთქი და სული მისი არის საშუალობა სიტყვიერებითის ხელოვნებისა გინა ლოღიკისა, როგორც აგერ გამოთქმის კილოთიც ირჩევიან ლოღიკოსი და მჭევრმეტყველი, რადგან ის რა წინადადებას გააწყობს და თვალ წინ დაუგებს მახეს, მაშინ ეს ალმა დალმა შეცვლით რიგისა, და მიკიბ მოკიბული ლაპარაკით დაათვარებს მახეს და არ და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფერთხობს ამითი საწადიროს.

გ. რა არის სილოგიზმო?

მ. სილოგიზმო არის საშუალება, რომელსა შინა მყოფის ორის წინადადებისაგან უთუოდ მესამე წარმოდგება. ეს არის ფილოსოფური. მაგალითად: ორგული არის ის, ვისი საქმეც წინაღმდეგია სიტყვისა. ხოლო შენ ახლა ყოველი მხიარულების ნიშანს შენზედ იჩენ, როცა ამბობ მლუგოვარებასა და მწუხარებასა ღვთისათვის. მაშა სადამე ორგული ხარ და ცდილობ ღვთის მოტყუვილებასაო, ამ ლოჯიქის მოკლე სილოგიზმოს ოქროპირი შემდეგი სახით სწერს და აკეთებს მჭევრმეტყველებრივის სილოგიზმოდ. მაგალითად:

«რაჲსა უკვე იღუწვი? სდგახარ ღვთისა მიმართ ლოცულობ და სრულიად ტანთ ოქრო გმოსიეს ზეზონართ მარგალიტ სხმულობითა. ნუ უკვე როკვად მოსულ ხარ? ფერხულს ებმები? ქორწილსა შინა ლხინობ? ნუ უკვე სიღოდსა ზედა მომართულ ხარ და მომჩვენებლობითა არა როკავ? მუნ ხამს ოქრო მარგალიტ სხმული, მუნ ნაოჭოვანი სამოსელნი, მუნვე დროშანი მორთულობათა და დრო კაბალჩანგთა, მუნ მოკვართულობა და მუნვე პრანჭვა, აქა არა არს მისი დრო და არცა რა სახმარ არიან ეგე ვითარნი. მოაჯედ მოხვედ, სავედრებელისა შეწირვად, შესახვეწარად ცოდვათა შენთათვის, მოქენედ ბრალთა ზედა შენთა, რათამცა დაეგე უფალსა შენსა? რად უკვე ირთობ თავსა? არ არის ეგე ვითარი სახე მლოცველობისა. ვითარ უკვე ძალ გედვას ოხვრაჲ ანუ სულ თქმაჲ და ცრემლვაჲ, ვითარ უკვე სულითა და გულითა შესწირავ ლოცვასა? მქონებელი ეგე ვითარისა სახისა თუ ილოცვიდე და ცრემლობდე, საცინელ ეგები მრავალთა და საკიცხელ მხილველთა, არ ეგების, ოქრო ემოსოს, და ცრემლთა ღვრიდეს: მატყუვარობას შვრები,

ორგულობას აჩვენებ, რომელი გონებისაგანცა ეგზომნი მორთვა მოკვართულობანი სწარმოებენ და ცრემლთა ღვრაცა, არა არს სახმარ, არა არს სარწმუნო. განიშორე ორგულება იგი, რამეთუ არ ძალ გიძს მოტყუება ღვთისა; სასყიდლით დადგენილთა და მროკავთა სახმარ არიან ეგე ვითარნი თვისებანი.»

აგრეთვე კიკერონი. ის იმართვის ღვთის განგებითა, რაც უკეთესად იმართვის; ხოლო ქვეყანა უკეთესად იმართვის; მაშ ქვეყანა იმართვის ღვთის განგებითა.

ხოლო რიტორნი სწილვენ ხუთად მჭევრმეტყველებრივ სილოგიზმოს კიკერონივით, მაგალითად:

«უმფრო უკეთესად მოივლება ის, რაც ყურად ღებით იმართვის, ვირემც უყურად ღებოდ (წინადადება); რა სახლიც განგებისად იმართვის, ყოვლის მხრით მორთული და მოწყობილია უმფრო იმაზედ, რაც დაუდევნელად და უთაურად მიტოვებულია. რა სამხედრო მხედართმძღვანი გონიერი და დახელოვნებულია სამხედრო ვარჯიშში ყოვლის ფრით უმჯობესად მართამს უმფროს მისგან, ვინც უგუნური და გლისპური მიდრეკილებით მართემძეს. ესვე ითქმის ზღვასა შინა მოგზაურთათვის; ის ნავი უკეთესად და უსაცდუროდ მოიმგზავრებს, რომელსაც ბრძენი და გამოცდილი ნავთ მოძღვარი ჰყავდეს (ჩვენება თუ დამტკიცება.) ხოლო აწ რა უკეთესად იმართვის უფროს ქვეყნისა (მოღება)? რადგან მნათობების ამოსვლა და ჩასვლა იცვებენ განსაზღრულს რიგებსა; და წლიური ცვლილებანი არა მარტო განგებ ერთ რიგად ბრუნვენ, არამედცა სასარგებლოდ და გამოსადეგად ყოვლიფერზედ მოყვანილი არიან; დღე და ღამის მიმყოლობასაცა მუდამ ჟამ მის დღეში არა ფრისათვის უვნიათ (ჩვენება) (დამტკიცება) მოღებისა. და აგერ ეს ყოველი მოასწავებს, რომ ყოვლად უაღმატებულესის განგე-

ბით იმართვის ბუნება ამ ქვეყნისა. » (განკიდურება)

კ. როგორ მოიგვრის ღონესა მჭევრმეტყველი?

მ. ღონეს ლოღიკოსნი უსრულს სილოგიზმოს უძახიან; რომლით წინადადებაზედვე მოვიყვანთ შედეგსა, და დავსტოვთ მეორებსა როგორც ცხადთა და გაცნობილთა, ასრევე კიკერონი:

«მშვიდობა უნდა ანტონინესა, დაავდოს საჭურველნი მ. ი. იარაღს ხელითგან რომ არ აგდებს ანტონინი, მაშ მშვიდობა არ უნდა.

«მოსპე კაცთაგან მეგობრობა და მაშინ ალარც ერთი ქალაქი დაშთება გაშენებული. » ე. ი. მეგობრობით შენდება ქალაქები, და რა მოისპობა მეგობრობა, გარდაქალაქდებიან ქალაქებიცა.

როგორც მოსპობით მიზეზისა მოისპობა საქმეცა.

ესრედ მამა იოვანეს ძე ევთიმე მისმა სიმამრმან რომ მძევლად წაიყვანა კონსტანტინეპოლს, მიუდა მ. იე. და დააყვედრა უწყალობა.

«რა არს ესე, ნუ უკვე შვილი არ გესხნეს თქვენ, გარნა არა ჯერ არს რომელ მათ სწყალობდით ვითარცა შვილთა თვისთა, და ძე ჩემი ვითარცა ობოლი მძევლად განსწირეთ; გარნა უფალმან შეგინდვენ თქვენ. »

მამათ ცხოვრებაში.

«თქვენ ხართ მარილნი ქვეყნისანი; უკეთუ მარილი იგი განქარდეს? რაჲთამე დაიმარილოს? არღარა შემძლებელ არიან მერმე, არამედ განგდებად გარე და დათრგუნად კაცთა მიერ. »

მათეს.

და იქრო პირი ამ ღონეს გინა ამ უსრულს სილოგიზმოს, რომ რადგან მიცვალებულნი შეისვენებენ და დაგვირგვინდებიან ღვთისა მიერ, ამისთვს არ გვმართებს გლოვა მათ სიკვდილზედა.

მჭევრმეტყველურად გამოსთქვამს ესრედ:

არამედ სჭურვენ უკვე მიწყივ გონებანი ჩვენნი მწარედ ვითარმედ რად მოგვიყვანა ჩვენ ქრისტემ? დ˜ რად გვიყოფიეს თავნი ჩვენნი?

რაჟამს განვიცდით მტყეპელთა ურავ პარაკთა ზედა დ˜ ღაღადისსა დ˜ გლოვასა მათსა მკვდართათვის, თუ რაძი იგიცხვიან მწუხარებითა დ˜ აღწეულის ხმითა. უკეთუმცა გრწმენისთ მრცხვენის წარმართთა, ურიათა, დ˜ მწვალებელთაგან დ˜ ზოგად ყოველთაგანცა, რომელნიცა ამას განიცდიან, გვეცინიან ჩვენ. და ამიერითგან რაზომსაცა ვიტყოდე, ამაოდ ვიტყვი აღდგომისათვის; დ˜ რაზომსაცა რას მოვიხელოვნებდე, ყოვლად არ ჰხედვენ წარმართნი სიტყვათა ჩემთა, არამედ საქმეთა თქვენთა დ˜ მუნ თქვენვე იტყვიან. ამათგანსა რომელსა ძალუძს უკვე შეურაცხყოფა სიკვდილისა? რომელთა ვერ განუცდიან სიკვდილი სხვათა? კეთილ არიან თქმულნი სიტყვანი პავლესნი, კეთილ დ˜ ღირსი ზეცისა დ˜ ღვთისა კაცთ მოყვარებისა. დ˜ განათავისუფლნეს ესენი, რავდენნი შიშითა სიკვდილისათა სამარადისოდ ცხოვრებად თანამდებ იყვნენ კირთებისა. არამედ არასადა გწადისთ თქვენ მორწმუნე იქმენით ამისი დ˜ საქმითა თქვენითა ჰბრძვით ამას სიტყვასა: დაღა თუმცა ღმერთმან მრავალ გზის აყენნა კაცნი, რათამცა აღეხვნა შორის მათგან ესე ვითარი ბოროტი ჩვეულება. ხოლო აწ უკვე სთქუ რაჲსამე ცხად ჰყოფენ კანდილნი დ˜ სანთელნი აღნთებულნი? არა მეა ვითარცა მძლეველსა განვამგზავრებთ?

რაჲსაღამე ცხად ჰყოფენ კურთხევანი? არამეა ღმერთსა ვადიდებთ დ˜ ვემადლით ვითარმედ ამიერითგან გვირგვინოსან ჰყო განსრულნი, განათავისუფლნა შრომათაგან დ˜ განიყვანა წუთისა ამის სოფლისაგან თავისთანა დაცვად·მტკიცედ დ˜ უბიწოდ. ამის პირისათვის არა არიანა კურთხევანი დ˜ ფსალმუნთა პირად პირადი გალობანი?

ესე ყოველნი გულისა სიხარულისა ცნად ჰყოფენ: «მო-ლხინე თუ ვინმე არს, ამბობს, ჰგალობდის.»

## თ ა ვ ი თ.

### ზედ მოდება — (ინდუქციონ) პირველი მაგალითი.

კ. როგორ შეითხზამს ზედმოდებასა რიტორი?

მ. ლოღიკოსნი უწოდებენ ზედმოდებასა უძლეურ ხუელ მყოფელობად, რომელსა შინა წინადებულნი საგანნი მი-უცილებლად ეკუთვნიან თვითეულთა სახეთა და ნათესავსა ანუ განუკვეთელთა სახისათა და მერმე დაამტკიცებენ იმ-ას მრთელ ნათესავსა ანუ სახესა ზედა, მაგალ: სპილოსა, ურმასა, ნიანგსა, ჭაბუკსა, კაცსა, მოხუცებულსა და მხ-ცოვანსა უძლეურობისა სჭირსთ; მაშა სადამე საზოგა-დოდ ყოველნი უძლეურნი არიან.

მაგრამ მჭევრმეტყველს არ მართებს ყოველი ნაწილის მოთვლა, არამედ შეუძლია უმთავრესნი მოიყვანოს ცნო-ბაში, როგორც სწერს გიორგი ხუცეს მონაზონი მამა გიორგი მთარგმნელისათვის მამათ ცხოვრებაში, რომ ჭირის უნახველად კეთილი საქმე არ იქმნება და უმისოდ ვერცა ამან შეიძლო ქმნა რამისა.

«რამეთუ უკეთუ არა ჰპოვოს ხელოსანმან ნივთი შემს-გავსებული საქმისა თვისისა, ვითარ გამოაჩინოს ბრ-წყინვალება საქმეთა თვისთა? ანუ ვითარ საცნაურ იქ-მნას მენავეთ მოძღვარი, უკეთუ ღელვათა შინა ზღვისა-თა არ გამოიცადოს? გინა მხედარი ვითარ გვირგვინო-სან იქმნეს, უკეთუ ულიდეს განწყობილთა არა ეკვეთოს მრავალ გზის; აგრეთვე ამან ოდეს მიიღო კვერთხი მწყემსობისა, მაშინ საცნაურ იქმნა სრულიად დაფარუ-ლი იგი სიბრძნე სულისა შინა მისსა.»

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ოქრო პირი ქრისტესაგან წინასწართქმულთ აღსრულების ზედ მოღებით ადგენს მერმისის აღსრულებასაცა გინა ქვეყნის დასასრულისაცა, ესრედ:

«მრავალი რაჲმე სთქვა ქრისტემან წინასწარ; უკეთუმცა არ აღსრულდა ყოველი იგი, ნუ ირწმუნებ სხვათაცა სიტყვათა მისთა, და თუ ათავდა და აღსრულდნენ, რად უკვე ორგულობ დანაშთითა ზედა?.. სთქვა ქრისტემან ვითარმედ იერუსალიმი აილონ და ესე ვითარი დაქცევითა დაიქცესო: და აღსრულდაცა წინასწართქმული იგი. სთქვა ვითარმედ იყოს ჭირი დიდი, და იქმნა. სთქვა ვითარმედ ვითარცა მდოგვი ითესება, ეგრედ განიფინება ქადაგება; და მასვე განვიცდით მარადღე ყოველსა ქვეყანასა ზედა წარმატებასა შინა. სთქვა ვითარმედ, რომელთა იგი დაუტეონ მამა ანუ დედა ანუ ძმანი ანუ დანი, ჰყავდესთ მამანი და დედანი; და ამასაც განვიცდით აღსრულებულსა საქმითა. სთქვა ვითარმედ, სოფელსა ამასა შინა მოგიხდესთ თქვენ ჭირი, არამედ მხნე იყვენით, მე ვსძლეო სოფელსა, ე. ი. ვერა სადა ვინ გძლევს თქვენ, და ამასაცა განვიცდით სრულ ყოფად. სთქვა ვითარმედ ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდნენ ეკკლესიასა, და კვალადცა დევნულობასა შინა ეგოს და ვერა ვის ძალ ედვას დაშრეტა ქადაგებისა, ემოწმება წინასწართქმულთა ამათ აღსრულებაცა ამისი საქმითა, თუმცა ფრიად არა სარწმუნოდ საგონებელ იყო ესე მას ჟამს, რაჟამსაც იგი იტყოდა ამას. რად? ამისთვის რამეთუ ყოველნიცა სიტყვანი იყვნენ და არ აღსრულებულ იყვნენ, რათამცა ფრიად სარწმუნო იქმნეს. სთქვა ვითარმედ, რაჟამს იქადაგოს სახარება ესე ყოველთა წარმართთა შორის, მერმე მოვიდეს აღსასრული. აჰა ესე რა ამიერითგან აღსასრულსა მოსვლით მოვეწიენით, რამეთუ უდიდეს ნაწილსა სოფლისა ამის იქადაგა სახარება იგი; ამიერითგან მოვიდა

მოიწია აღსასრულმან, შევიშინოთ უკვე საყვარელნო.»

კ. როგორ გაიწყობა პირველი მაგალითი?

მ. პირველი მაგალითი უსრული ზედ ძოდება არის, რომლითაც მსგავსისაგან სხვა რამე მსგავსის მოლოდინებას გამოვაცხადებთ, მაგალითად: სარქის თმოგველი.

«მე ჩემითა სიყმაწვილითა ღვთისაგან საუკუნოსათვის მეშინიან, შენ შენითა სიბერითა ღმერთს რად დაივიწყებ?» ვითამც მე რომ სიყმაწვილით მეშინიან, შენ სიბერით უმფრო უნდა შეიშინოვო.

ამ ნაირად ოქრო პირი ურიების გამოვლილის რისხვისაგან გვაჩვენებს მომავალ ქრისტიანთა რისხვასა.

«გაყმაწვილებულთა, რომელთა არა ეგოდნად შესცოდეს თუ ეგრედ განსტანჯნა იგინი, ჩვენ უკვე ბვრიდებს? არა არს ესე შესაგვანებელ. დალა თუმცა მცოდველობითა მით მათითა შევსცოდნეთ, უდიდესთა ტანჯვათა ღირს ვიქმნებით უმფროს მათსა. რად? რამეთუ მრავალნი მადლნი მიგვიღიეს უკვე, და რაჟამს უმეტეს უფროს მათსა უდიდესთა ვსცოდავთ, ვითარ რა რისხვასა არა შევარდებითა? . . . გნებავსა კვალად სხვისაცა სმენა? რაზომ რა ჭირნი პალესტინის ქვეყანასა შეხდა, სიყმილი, ხმალი, ბრძოლანი, ტყვეობა ბაბილონელთაგან, ასორესტანელთაგან. მაკედონელთაგან, და საზარელნი ბოროტნი ტიტესა და ვესპასიანესაგან . . . გნებავსა სხვაცა ბოროტთა მათგანი ისწავლო, ნახე წიგნი იოსებისისა, და იქიდგან ისწავებ ყოველსა ხავაგლახოსა მათსა. და აწ უკვე დარწმუნდით თქვენ აწვე ამ ყოვლისაგან, ვითარმედ არს გეენია. გულის ხმა ჰყავ, რამეთუ იგინი თუ გაიტანჯნენ, ჩვენ ვითარ არ უნდა ვირისხნეთ, რომელნი იგი უმფროს მათსა უფიცხესის ბრალითა ბრალიერნი ვართ, თუმცა არ იყოს ცხად, რამეთუ დაცულ არიან ჩვენთვის პატიჟნი.»

## თავი ი.

ერთად რთულობა (დედუქციონ) — მახვილი მეტყველობა თუ ორჭოფოვან მეტყველება.

კ. როგორ შესდგება ერთად რთულობა?

მ. ერთმან ერთთან აზმით მიჰყვებიან სიტყვები, ეგრედ ვიდრედა რაც ბოლო ქვემდებარეზედ მოვა შედეგი, ისევე დამტკიცდება პირველზე. მაგალითად:

დასამტკიცებლად სულის უკვდავებისა ვიტყვით: სული არს მარტივი, მარტივი არს თვინიერ ნაწილთა, თვინიერ ნაწილისა არს განუყოფელი, განუყოფელი არს განუხრწნელი, განუხრწნელი გინა არა განხრწნადი არს ბუნებითად უკვდავი, მაშა სადამე სული არს ბუნებითად უკვდავი.

სწავლა ღვთის მსახურებისა, ღვთიური ნიჭია: რაც ღვთიური ნიჭია, ღმერთთან დაგვაახლოვებს; რაც ღმერთთან დაგვაახლოვებს, დაგვიცვამს მრავლისა ბოროტისაგან; რაც მრავლის ბოროტისაგან დაგვიცვამს, უდიდესია უფროს ყოვლისა სათნოებისა; მაშა სადამე სწავლა ღვთის მსახურებისა უდიდესია ყოველი სათნოებისა.

ამ ფორმას იხმარებს მჭევრმეტყველი უფრო განფართოებით, როგორც გიორგი ხუცეს მონაზონი სწერს მამა გიორგი მთარგმნელისათვის, რომ მრავალი ნაყოფი გამოიღო ქადაგებითა და სწავლითა.

ეგრეთვე მონაზონთა და მოწესეთა და ყოველსა ერსა შემსგავსებულითა სწავლითა განანათლებდა; უსწავლელთა სწავლიდა და სწავლულთა სწავლათა მათ აღუხსნებდა, მდიდართა ასწავებდა წყალობად გლახაკთა, ხოლო გლა-

ხაკთა მოთმინებასა ასწავებდა, და ქველის საქმითა წარგზავნიდა. დაცემულთა აღმართებდა, ხოლო დაცემადთა განამტკიცებდა, მოწყლულთა ისრითა უხილავთა მტერთათა განჰკურნებდა, ხოლო მოწყლვადთა მათ მოწყლისაგან უვნებლად დაიცვიდა; დანთქმულთა ღელვათა შინა ვნებათასა აღმოიყვანებდა, ხოლო დანთქმადთა დანთქმად არ უტევებდა; არამედ ვითარცა ხელოვანი მენავეთ მოძღვარი ზღვისაგან ამის სოფლისა დაუნთქმელად განარინებდა.» მამათ ცხოვრებაში.

თითქმის ამ რიგად სწერს ოქრო პირიცა, რომ მდაბალი მხა არის ყოველ შეწუხებასა და თავის დაძლევასა ზედა.

«ამისთვის უკვე მარად პირველითგანვე მომავალისათვის მცნებათა გზასა წინასწარ აწრთვილებს და ვითარცა იგი ოქროსა ლარი, დაუტვირთვიეს თვითო ოვითოდ მცნებანი. რამეთუ მდაბალი თუ იყოს ვინმე, ცხად არს ვითარმედ მგლოვარე არს ცოდვათათვის; ხოლო მგლოვარე და მშვიდი, ცხად არს ვითარმედ მართალ და ქველის მომქმედი არს; ხოლო რომელი იგი ქველის მომქმედი და მართალი არს, ცხად არს ვითარმედ გულ-ხმიერ და წმიდა გულისა არს. ხოლო ეგე ვითარი ხამს ვითარმედ მშვიდობის მყოფელიცა იყოს; ხოლო რომელსაც ყოველი სიწრთველე იგი მოაქუნდეს, ეგე ვითარი დაყუდებასა არა სადა დარიდამს და არცა რას შეშფოთდების, ისმენს რა სიტყვათა შესმენისათა და არცაღა შეძრწუნდების, რაჟამს ზედამოადგეს მას უმრავლესნი ტანჯულებანი.»

კ. როგორ გაიწყობა ორჭოფოვანობა? (დილემმა)

მ. ორჭოფოვან მეტყველებას ლოღიკოსნი უწოდებენ ხელმყოფელობას გინა ლაპარაკსა შედგენილსა ორთა წინადმდეგთა წინადადებათაგან, რომლების საშვალში

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა არა იყოს რა.

ერთი ქურუმი ხშირად აკვალებდა თავის შვილს, არა ფერი სიტყვა ეთქვა ერისათანა, რადგან ეუბნებოდა: «თუ რომ უჯერო რამე სთქვა, გააწყრომებ კერპებსაო, და თუ მართალი, მოიძულებ ერისაო; მაშ უკეთესია რომ არა სთქვა რაო.»

ეს ორჭოფოვანი მეტყველება ასრე მოახმარა ისევ თავის მამასა გონიერმა შვილმან: «კი, მაგრამ უფრო სასარგებლოა საუბარი ყოველთვის ერთანა, რადგან მართლის თქმით კერპებს შეუყვარდები და უჯერო სიტყვებით ერსაო.»

ერთი ფილოსოფოზი ამტკიცებდა, რომ სიმართლე არ არის ქვეყანაზედაო, უთხრა იმას არისტოტელმან; ეგ შენი დამტკიცება ან მართალია ან ტყუილია; თუ ტყუილია, მაშ იპოვება სიმართლე ქვეყანაზედა; ხოლო თუ მართალია, მაშ შენც სიცრუით მაჭქარამ რომ არ იყოს სიმართლე ქვეყანაზედაო.»

მეტად წინდებული ორჭოფოვანი მეტყველება არის ტერტულიანესი მიწერილი ტრაიანე კეისართანა, რომელსაც ეთხოვნა რომ არღარ ეძებნათ ქრისტიანენი, ხოლო თუ დაბეზღებულნი ვისმე და მტკიცედ დამოწმებულ იყვნენ იგინი ქრისტეს სარწმუნოებისა ზედა, მაშინ კი გაუკითხავად დაეხოცათ ქრისტიანენი.

«ანუ მავნებელნი არიან ქრისტიანენი და ანუ მართალნიო; უკეთუ მავნენი არიან, რად უნდა აყენებ არა ძებნად და არა განკითხვად? ხოლო თუ მართალნი, არიან რად უნდა ჰსჯი იმათ სასიკვდილოდაო.»

ამ ნაირ ორჭოფოვან სიტყვას რიტორი გააწყობს უფრო ფართოდ, მაგალითად: შესაგონებლად ვისმესი მოთმინებაზედ, ეტყვის მას ესრედ:

ოდეს ვინმე ილაპარაკებს შენზედ ზრახვა კილვასა, არ

უნდა აღშფოთდე; რადგან ანუ იტყვის იგი მას სიცრუით ანუ სიმართლით. აწ უკეთუ იტყვის სიცრუით, რას გავნებს შენ ძრახვა იგი? რადგან მაშინ თვით დამძრახველი არს ბრალიერი, და არა შენ; ხოლო თუ იტყვის სიმართლით, მაშინ შენვე ხარ მიმცემი მიზეზისა იმ ძრახვისა გინა იმ ავის თქმისათვის შენზედ. მაშ ორსავე შემთხვევაში არა გხამს შენ აღშფოთება, არც მოუთმენლობა, და არცა ძრახვის წილ დაძრახვა მძრახველისა შენისა.

ამ ნაირივე გაჭრებმა რომ უთხრეს ავთანდილსა, რომ-ცა მეკობრეების შიშით ვერ შესულნ იყვნენ ზღვაში, და ვერც უკან წასულნ იყვნენ.

«ლომო და მზეო ესეა მიზეზი აქა დგომისა,
დაბრუნებითა გვეცემის ზიანი ან საზომისა,
შევიდეთ ვაჲ თუ დაგვხოცონ, ძალი არა გვაქვს ომისა,
და ვერ ვდგავართ; ვერცა წასულნ ვართ; ღონე წაგვხვ-ლია რწომისა.»

შოთა რუსთაველი.

## თავი ია.

## შედრკენისათვის წინადადებათა.

ყოველი განსაკონი სიტყვა მდგომარე რაოდენთაგანმე ლექსთა, იპყრობს თავის შორის ვითარსამე სჯასა გონებისა ჩვენისასა; მაგალ: ღმერთი, არს ყოვლად შემძლებელი, რომი იყო დიდებული, ოქრო არა არს მსუბუქი და სხვანი. ლექსთა ამათ მიერ ჰსჩანს, რომელ ჩვენ ვსჯით საგანთათვის ღმერთი, რომი, ოქრო, ესე იგი მივაწერთ მათ გონებასა შინა ჩვენსა, ანუ მოვაკლებთ ვითარ სამე თვისებასა (ყოვლად შემძლებელი, დიდებული, მსუბუქი.)

ჰსჯა ლექსთა მიერ გამოთქმული იწოდების წინადადებად.

წინადადება მდგომარეობს სამთა ნაწილთაგან: ქვემდება-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რისა (შესმენილისა) და კავშირისაგან.

ქვემდებარე არს საგანი, რომლისათვისცა მოითხრობის წინადადებასა შინა, ღმერთი, რომი, ოქრო.

შესმენილი არს თვისება, რომელიცა მიეწერების ქვემდებარესა ანუ მოაკლდების მას. ყოვლად შემძლებელი, დიდებული, მსუბუქი.

კავშირი არს ლექსი რომელიცა შეაერთებს ქვემდებარესა და შესმენილსა, მაგალ. არს (იყო) არა არს.

სხოლიო. ოდესმე წინადადებათა შინა არა დაიდების ლექსი, არს, არამედ სხვა რომელიმე ზმნა, რომელსაცა შინა შეიპყრობის შესმენილი და კავშირი, მაგალ: ნაცვლად თქმისა კაცი არს მცხოვრები, ვიტყვით: კაცი ჰსცხოვრებს.

წინადადება განსჯისაებრ ქვემდებარისა და შესმენილისა განიყოფების მარტივად და რთულად.

მარტივი წინადადება არს იგი, რომელიცა მდგომარეობს ერთისა ქვემდებარისა და ერთისა შესმენილისაგან; მაგალ: სიბრძნე არს მაღალი ნიჭი კაცისა, რთული წინადადება არს იგი, რომელიცა მდგომარეობს მრავალთა ქვემდებარეთა და შესმენილთაგან, მაგალ: სათნოება, სიბრძნე და სიმრთელე არიან საჭირონი ბედნიერებისათვის ამის ცხოვრებისა.

მარტივნი წინადადებანი, რომელნიცა შევლენ შედგენასა შინა რთულთასა, იქმნებიან მრავალნი, გარნა ერთი მათგანი არს უმთავრესი და მეორე ზედართვითი ანუ დამატებული.

უმთავრესი წინადადება არს იგი, რომელიცა არა მოაკლდების სხვასა, მაგალ: იოვანემან მიიღო ცნობა...

ზედ დართვითი წინადადება არს იგი, რომელიცა განაცხადებს და განამრავლებს უმთავრესსა წინადადებასა.

ივანემან მიიღო ცნობა რომ მოსულა ძმა მისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## თ ა ვ ი   ი ა .

სხვა და სხვა თხზულებანი — ქადაგება — მოთხრობის წერა — უსტრის წერა .

კ. მითხარ მე შემოკლებით, რა საკუთარი კანონებიც რომ აქვსთ სხვა და სხვა თხზულებათა და უპირველესად საჭირო კანონნი ქადაგებისანი ?

მ ქადაგება არის სიტყვა შემგონებელი ყოფა ქცევის გასასწორებლად ; და რადგან გონების დაუყოლიებლად არ შეიძლება ვისმეს შეგონება, მისთვის პირველად გონებას უნდა ეკამათებოდეს მოქადაგე .

სულიერი ქადაგება უნდა იყოს წყნარი და ცხარე ; წყნარი მისთვის, რომ საქმის უაღრესობა იმას მოითხოვს, და ცხარი იმისთვის, რომ ამბობს გამოსადეგთა კაცის სიკეთისათვის . მით უნდა შეიფეროს მოქადაგემ ცხებულობა იგი ყოვლად ღრმა ჭეშმარიტებათა მათ რასაც ამბობდეს, და სურვილი რათა ღრმად აღბეჭდოს იგინი გულში მსმენელთა .

უნდა რომ სულისათვის სასარგებლო და ერის შესაფერი წარმოსთქვას, და არა თუ მაღალ სასწავლო საგნები არც ფილოსოფური წვრიმალი გამოკვლევანი, არც გონებითი ღვთის მეტყველების ძიებანი და არცარა ურწმუნოთ და ღვთის გარეგანითადში მიაქციოს სიტყვა . რადგან ქადაგება მორწმუნეთათვის არის, რომელთაც უეჭველად სწამდესთ ჭეშმარიტებანი სარწმუნოებისა , ოღომც მათი ჩასახვდენი და დასაყოლიებელი იყოს იგი, რომ შეიგონონ და აღასრულონ კიდევაც .

ყოვლად საჭირო კანონები სულიერის ქადაგებისა არიან შემდეგნი .

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. უნდა დაიცვას, ერთ მნიშვნელობა; ვითამც: იმისი ყოველი ნაწილები ერთს აზრზედ უნდა მიიმართოდნენ.

ბ. გასაკუთროს ნივთი, ვითამც, თუმცა ფრიად კეთილია საუბარი საზოგადოდ მორჩილობაზედა ანუ სხვა სათნოებათა ზედა, გარნა უფრო უკეთესი იქმნება გარჩევა მისი, და წარმოთქმა საკუთრად მორჩილობაზედ მშობელთა, და სხვაც.

გ. არ უნდა ცდილობდეს ყოვლიფრის დასრულებასა, რაც შეიძლება თქმა წინ ნადებ სათაურსა ზედა; არამედ წარმოსთქვას ყველასაგან უსაჭიროესი და უძლიერესი სიტყვები, რათა თავი არ შესწყინდესთ მსმენელთა.

დ. უფრო მოქმედებითი საგნების უნდა ეტანებოდეს და უბნობდეს იმ საგნებზედ რაც დღე ყოველ ხდება საზოგადოებაში, რადგან ეგოდნად სასარგებლო არ არის გონებრივულად საუბარი სათნოებათა და ვნებათა ზედა, როგორც გამოხატვა მათი საზოგადოებასა ზედა; რომლითა ყოველი პირი ცხად სახეს დაინახავს თავის ზედა და კარგი გავლენა ექმნება შენს სიტყვასა, ამისთვის ძლიერ შეეწევა მოითხრობითი მაგალითებიც მოტანილი სამღთო წერილითგან ქადაგებაში.

ე. არ უნდა იხმაროს ქადაგებაში ახალი გამოგონებული ფორმები, ანუ დალექსილი სიტყვის სახეები, ანუ ფილოსოფური და ლოღიკური სქესები; არამედ უნდა იყოს სულიერი ქადაგება მარტივი და შინაურული ლაპარაკით შესაფერი ყოველი ერისა და ადვილად ჩასახვდენი; და თუ ზოგჯერ სიცხარით გარდასხვაფერება ანუ რიტორებრივი ფორმების შემოტანა საჭირო გახდეს კიდევაცა, შინაურულად და მიუკიბ მოუკიბავად უნდა შემოიტანოს ისიცა; რადგან საზიზღარია ღვთის სიტყვის ქადაგებაში სურვილი თავ მომწონობისა და შემჭვრებული საუბრის გამოჩენა.

ვ. საღმრთო წერილის სიტყვები ძალად არ იხმარონ, და არც განუმარტებელი და ძნელად მისახვდენი მოწმობად მოიტანონ და ნუცა რა ცხადსა და გარკვეულს საგნებზედ მოწმობას დააყრის საღმრთო წერილისაგან.

კ. რა და რა ეჭირება ისტორიკოზსა?

მ. რადგან მოთხრობა არის სიმართლით მოხსენება გავლილთა დროთა და მოხვდენილობათა სასწავლებელად და განსაწაოვავად კაცთა, ამის გამო:

ა. მოთხრობის მწერალსა არ უნდა ჰქონდეს მეთავისობა და მომხრეობა გინა მხარის დაჭერა ვისმესი.

ბ. ყოველი შემთხვევა ერთიან განურჩევლად არ უნდა ასწეროს, არამედ ჩინებულნი მათგანნი საჭირონი სწავლისათვის, და სასარგებლონი წურთვისათვის, ისინიც მიზეზებითა და ფაქტებით უნდა დაამტკიცოს ნამდვილად.

გ. ნუ გამოიჩენს მეცნიერებასა უბრალო და უსარგებლო მორთულობითა და ანუ ნამეტნავი მიმხდურობითა, არამედ საჭირო მიმხდურობანი მოთხრობაშივე შერევნით გარდააყოლოს, და არა თუ ცალკე თავად გააწყოს ისინი.

დ. დაიცვას რიგი და ერთობა მოთხრობაში და ხშირად საგნების შესხმითა ნუ დაანაწევრებს იმასა.

ე. მარტივი და გარჩეული სქესი და კილო დაიჭიროს, თვინიერ მდარე სიტყვაობისა, და კარგად აღწერითა სურათივით წარმოადგინოს თვითეული გვარის ყოფა ქცევა, თვითეულთა ჰირთაცა მისთა ავი ზნენი და სათნოებანი, სახე ქალაქებისა, ადგილებისა მისისა, და ამასთანვე სჯული, სარწმუნოება და ჩვეულებანი მისნი სხვები თურთ.

ვ. ნუ იქმნება ვრცელ მოლაპარაკე და ნუცა შემმოკლებელი, არამედ საშვალო საზღვარზედ მდგომი, ორივე გზის გარედ მსვლელობასა ერიდოს, რადგან იმითი მო-

საწყენი, ცივი, და უგემური გახდების ისტორია.

კ. რა საჭიროა უსტრის თუ წიგნის მიწერისათვის?

შ. საჭიროა შინაურული სიტყვა პასუხი რაც გამოსადეგი იყოს, ვითამც, სიმარტივე, ბუნებითობა თვინიერ ყოველი ხელოვანობისა, გენია და შემოკლებულობა მშვენიერის სქესით (სტილით) და ტკბილ მოუბრობითა.

ყოველი ყურად ღება უნდა მიაქციოს ამ წიგნის წერასა რათა დაუფიქრებლივ იმისთანა არა რაჲ ჩაიწეროს, რომელსაც შეეძლოს რამე ზიანის მიცემა როდისმე.

წინადადების საგნებისა დაგვარადაც უნდა შესცვალოს ხოლმე ტიპნი ნაირობანი სიტყვისა ამაში ვირემც ყოველს სხვა და სხვა თხზულობაში.

### თ ა ვ ი იბ.

### აღმოჩენა და დასაწყისი მჭევრმეტყველებისა.

კ. მჭევრმეტყველებითი სწავლის დასასრულსა გვსურს ვიცოდეთ დასაწყისი და აღმომჩენელნიცა მჭევრმეტყველებისა.

შ. რიტორებრივი ხელოვნება თავ და პირველად დაიწყეს ელლადაში ათინელთა, რომელთა თავოსანურმა მმართებლობამ კარგ წარმატებაში მოიყვანა ეს ხელოვნება; რადგან იქ ყოველი საჭირო საქმე კრებაში გარდაწყდებოდა ხოლმე, და რომელნიც უმოვრო ძლიერნი მჭევრმეტყველნი იყვნენ, ისინი უფლობდნენ ხოლმე კრებაზედ.

როგორც პლუტარქი სწერს, პირველი მჭევრმეტყველი გამოვიდა ბერძნებში პისისტრატი თანამედროვე სოლონისა 528. წლით უწინ ქრისტეს ქრონიკონისა, რომელმანც ძლიერი რიტორობით მძლავრობა დაიწყო ათინაში.

პერიკლიმ 450. უწინარეს ქრისტესი სისრულეში მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღყვანა ხელოვნება ჩვს ათინაში; რომელსაც ძლიერ ორა-ტორების გამო უღიმპიად უწოდეს, ვითამც, მქუხარე არმაზისაგით. ამას, ამბობენ, რომ პირველად წიგნად ქდგინოს სახალხო საუბარი.

მის შემდგომ პელოპონისელთ ომების დროს გამოვიდნენ კლეონი, ალკივიადი, კრიტიასი და თერამინე. მაშინ იყო თუკიდიდე ისტორიკოსიც.

შემდგომ პერიკლისა გამოვიდნენ ზოგიერთნი ბრძენავნი რიტორებად წოდებულნი, რომელთაც განხრწნეს ხელოვნება დიდთქვიანობითა რომლებშიც შესანიშნი იყვნენ გორგია, ლევონტინო, პროტაგორა, პროტიგო და თრაზისმო.

ამათ მოწინააღმდეგედ აღმოსნდა სოკრატი რომელმან დაწმინდავებული და მარტივი რიტორობითა დაარღვია და სასაცილო გახადა მათი ბრძენაკობა და მოიყვანა ხელოვნება პირველ სიმშვენიერებაზედ.

სოკრატის მერმედ გამოვიდნენ ლიზისი, ისოკრატი და ისიო, გარნა ისიო უფრო თავისი მოწაფე დიმოსთენითა სახელოვანი შეიქმნა.

დიმოსთენე მხნე და დიდებული მჭევრმეტყველი გამოვიდა ელენებში 340. ამან დიდად მოიჭირვა მჭევრმეტყველებაში გაჩვევისთვის, სრულ არ გაიტეხა გული თავის პირველი შედგენილის სიტყვების მარცხად წასვლაზედა, სულგრძელებითი სძლია ყოველს სიძნელეს, რასაც ბუნება უშლიდა მას; გამოთხარა და გაიკეთა მიწაში სამყოფი და იქ ადგა მჭევრმეტყველების სწავლაზე დღე ყოველ, მაღლის ხმით წარმოთქმაც გაიგვარა მღელვარე ზღვის პირებზედ შესაჩვევლად ერის სიმრავლისაგან წარმოსული აღშფოთებისა, კენჭები ენის ქვეშ ეყარა რომ გაესწორებინა ენა ჩლიგობის ნაკლებულობა, ხრმალი მხარზედ ეკიდა რომ დაეთმო წარმოთქმაში მალ მალ მხრების

აყრა და განკალი. ეს ყველა ღონის ძიებანი გამხნევებენ მოწაფეთ: რიტორობითი ხელოვნების წარმატებაში ცდაზედ მაგალითისა ებრ დემოსთენესი რომელს თუმცა იქამდინ სრულ არა რაჲ ეხერხებოდა გარნა შემდგომ გა-ჩვევითა და ცდითა დიდებული მჭევრმეტყველი გამოვიდა.

დიმოსთენეს მოპირდაპირე გამოვიდა ესქინე, მხნე რი-ტორი, გარნა არა იმისი თანასწორი. ამათ შემდგომ კი აღარავინ გამოსულა ორმოც და ათ წლამდინ სანამ გა-მოვიდა დიმიტრი ფალირელი, რომლის კილო სქესი თუმცა იყო მაღალი და მრავლად მორთული, მაგრამ გამკვე-თილობისა და ძალისაგან კი ცარიელი იყო.

დიმიტრის მერმე კი ღირს სახსოვარი არღარა ვინ გა-მოსულა მანამდინ რომაელებმა დაიპყრეს ელლადა, და ამისი ყოველი ხელოვნება, განათლება და რიტორობაცა გარდაიტანეს თავიანთში.

რომაელებისაგან სახელოვანი რიტორნი გამოვიდნენ კრასო და ანტონიო, და ამათ შემდგომ კიკერონი, და მოშურნე მისი ორტენსიო, გარნა ყოველთაგან დიდე-ბული იყო კიკერონი, 50. წლით უწინ ქრისტეს ქრონი-კონისა, რომელი ეგრედ წარემატა ამ ხელოვნებაში ვიდრე გაუთანასწორდა იგი დიმოსთენესა.

კიკერონის შემდგომ თავისუფლობა, რომ აიწია, აღ-იხვნა მასთან რომაელების მჭევრმეტყველებაცა; რადგან აღარ სჭიროდათ სახალხო საუბარი და აღარც იყო შე-გონება რიტორობის წარმატებისათვის. მერე რა გახ-შირდა სამწიგნობროები მდარე მჭევრმეტყველთაგან, დიდ თქვიათა იწყეს უმყოფ რამეთა ზედა სიტყვა მკობილო-ბით შესხმა. ეს სქესი პირველად სენექას თხზულებისაგან წამოვიდა და პლინიოს შესხმისაგან თქმულისა ტრაიანოს ზედა, რომლით რომაელების რიტორება ანაზდეულად დაბოლოვდა კიდევცა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ხოლო ქრისტეს სარწმუნოება მოეფინა, რა აღმოჩნდნენ ეკკლესიის მოძღვარნი ლათინებში მინუციო ფელიქსი, ლაკტანციო, წმიდა იერონიმე, ტერტულიანე, წმიდა ამბროსი, წმიდა ავგუსტინე, წმიდა დიდი გრიგოლი და წმიდა ლეონი. ხოლო ბერძნებში წმიდა ბასილი, წმიდა გრიგოლ ნაზიანზელი ღვთის მეტყველი, წმიდა გრიგოლ ნისელი და ყოველთასაგან დიდებული წმიდა იოვანე ოქრო პირი სიქადული ეკკლესიისა, რომელნი ღვთიური მჭევრმეტყველებითა ებრძოდნენ წარმართთა. მერმე კი მოისპო ბერძნებშიც რიტორება უფრო მეათე საუკუნეში.

ვიდრემდის გამოვიდნენ ჩვენშიცა სახელოვანნი რიტორნი და მთარგმნელნი საღმრთო წერილისა, როგორც მე-მქვსე საუკუნოებაში კვირიონ კათალიკოსი, და მეთერთმეტში მამა ევთიმი, მამა გიორგი და მამა იოვანე ფილოსოფოსი, და სხვანი მრავალნი, ხოლო სამხედროდ გამოვიდნენ მესხი შოთა რუსთაველი, სარგის თმოგველი ფილოსოფოზი და მხნე რიტორი, აწყვერელი მამა იოვანე შავთელი, და ქვასბლიანით ჩახრუხაძე. სამწუხარო არის რომელ ამათ თხზულებათაგანი უმრავლესნი დამალულ და დაკარგულნი არიან და თითო ოროლა გამოცემულიცა ძლივს თვალით გვინახიან.

## ლოცვა ყოველ დღივ სათქმელი.

მაცხოვარო ჩემო იესო, მრწამს მე მტკიცედ და ვწყნარულობ ყოველსა მას, რაჲცა სწამს და რაჲსაცა ასწავლის წმიდა ეკკლესია შენი, რადგან შენ გამოგიცხადებია იგი ყოველი მისთვის. გესავ, და მიყვარ-ხარ შენ გულით უფროს ყოვლისა რაჲმისაგან, ჰოი განუზომელო კეთილო, და რადგან მიყვარ-ხარ, ამისთვის ვნანულობ და ვსწუხვარ ფრიად ყოველს ჩემს ცოდვებზედ შეწყენისა შენისათვის, მძულს იგინი, და ვსდებ მტკიცე პირობასაცა ამიერით არღარა ოდეს შეცოდებისას და ყოვლითურთ გასწორებისასა სიცოცხლისა ჩემისა მადლითა შენითა. შემიწყალე უფალო, და მომანიჭე მე მოტევება ყოველთა ცოდვათა ჩემთა, წმიდა მადლი და სიყვარული შენი, სიმძულვარე ცოდვისა, გამძლეობა კეთილს ცხოვრებაში, და სხვა ყოველნი სულიერნი თუ ხორციელნი წყალობანი შენნი. ყოვლად წმიდაო ღვთის მშობელო, და ყოველნო წმიდანო, ევედრენით ჩემთვის ღმერთსა და შემეწიეთ, რათა დავიცვა მარადის ყოველნი მცნებანი ღვთისანი, ვემსახურო მას კეთილი სიცოცხლის გატარებით, და ამითი ღირსი გავხდე საიქაოს საუკუნო დიდების დამკვიდრებისა სასუფეველში საქებლად და სადიდებლად ღვთისა უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

სასოებად ჩემდა მამა, შესავედრებელად ჩემდა ძე, მფარველ ჩემდა სული წმიდა, სასოებაო წმიდაო დიდება შენდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ს ა ძ ი ე ბ ე ლ ი

## ნ ა წ ი ლ ი   პ ი რ ვ ე ლ ი

მჭევრმეტყველების საზოგადოთა და საკუთართა ადგილთა ზედა, გინა პოვნისათვის ფაქტებისა.


თავი. ფურცელი.

ა. საზოგადო ცნობა მჭევრმეტყველებაზედ ..... 1

ბ. სამნაირი ლაპარაკი რიტორისა: წინა სიტყვა, წინადადება, და განწილვა ............. 3

გ. მოთხრობა, დამტკიცება (ჩვენება) შინაგანი ადგილებისაგან, საზღვარი, აღრიცხვა ნაწილებისა და ნამდვილი დამტკიცება ............. 8

დ. შენაყოლნი ნათესავი და სახე, მიზეზნი და საქმენი, მსგავსება და უმსგავსება, შედარება ...... 14

ე. წინამდგომ დადება, წინამავალი, შემდეგი, და მარად მიმყოლი გარემოებანი ........ 23

ვ. გარე ადგილთა ზედა მჭევრმეტყველებისათა .. 26

ზ. უხვ მეტყველებასა ზედა .......... 30

ჱ. შეგონება, სიტყვის დასასრული ...... 34

თ. მჭევრმეტყველების სამივე სახის საკუთარნი ადგილნი ................. 38

ი. სამსჯავრო მჭევრმეტყველების ადგილები ... 42


## ნ ა წ ი ლ ი   მ ე ო რ ე

მჭევრმეტყველებრივი ფორმები ანუ სქესნი თქმობათანი.


ა. ფორმები ლექსებისა ............ 45

ბ. ფორმები აზრებისა ............ 51

138-ში

ეროვნული ბიბლიოთეკა



თავი. ფურცელი:

გ. გაცინვა, ბასრობა, სესხვა, სახელ-მიხადებილობა 54

დ. ნაცვალ-სახელობა და გარდმოვლით მეტყველება, ზომის გარდამეტებულობა, განმაძალლება . . . 58

ე. იჭვნეულობა, ვედრება, წყევლა . . . . . . . . 62

ვ. დაკითხვა, გამზიარებლობა, დუმილი შიმადლების 65

ზ. შორეულ უბნობა, პირნაცვლობა აღწერილობა 70

ჱ. წინამღდგომ დადება, დამოკიდებულობა . . 77

თ. წინაღმდეგობა, ფორმა მრავალი სახისა, განწილადება . . . . . . . . . . . . . . . . . 80

ი. წრფელობა, გარდავლა; აქცევა . . . . . . 82

ია გავრცობა . . . . . . . . . . . . . . . . 85

## ნაწილი მესამე

სხვა და სხვა საქმეთა ზედა რიტორისა.

ა. საქცევი გინა წინადადება . . . . . . . . . 95

ბ. მოძრაობანი მჭევრმეთქვისა . . . . . . . . 99

გ. მაღალი სქესი გინა კილო . . . . . . . . . 102

დ. მარტივი სქესები . . . . . . . . . . . . . 104

ე. აღრჩევა სქესისა . . . . . . . . . . . . . 107

ზ. სწავლა სქესისა (კილოსი) . . . . . . . . 110

ჱ. ლოღიკურნი მეტყველებანი, სილოგიზმო . 116

თ. ზედმოღება, (ინდუქციონ) . . . . . . . . 121

ი. ერთ რთულობა (დედუქციონ) ორჭოფავანი მეტყველება . . . . . . . . . . . . . . . . 124

ია შედრკინებისათვის წინადადებათა . . . . . 127

იბ სხვა და სხვა თხზულებანი, ქადაგება, მოთხრობის წერა, ისტრის წერა . . . . . . . . . . . 129

იგ აღმოჩენა და დასაწყისი მჭევრმეტყველებისა. 132

ლოცვა ყოველ დღიუ სათქმელი . . . . . 136

125
1879=41
ეროვნული ბიბლიოთეკა
ნ. 3.
1879.